www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 26 დეკემბერი, 2008 წელი, №290 (2034) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ევროკავშირის მისიის მოლოდინი
A2

კულტურის მინისტრი განათლებით იწყებს
A4

25 დეკემბერი - შობა
A10

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი განკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთობას
BORJOMI
ბორჯომი
GRDC
ჯი პი აი
ჩვენი საერთაშორისო ჯგუფი

„შევთხოვ უფალს, რომ კვლავ დაბრუნდეს მშვიდობა"

ვერიკო თევზაძე

გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს აღსაყდრების 31-ე წლისთავი აღინიშნა. სპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით წირვა-ლოცვა აღევლინა ყოვლად წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. პატრიარქის პატივისცემის ნიშნად, ღვთისმსახურებას საბერძნეთის და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მაღალი რანგის სასულიერო პირები ესწრებოდნენ. სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. პატრიარქის მიერ აღვლენილი წირვის შემდეგ რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ალიარება და ნიშნის მოგება

დიმიტრი ავალიანი

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოსთან ომისთვის წინასწარ ემზადებოდა, თუმცა კონფლიქტის დაწყებაზე პასუხისმგებლობა კვლავ ქართულ მხარეს დააკისრა. ამავე დროს, დმიტრი მედვედევის მონაყოლი ეწინააღმდეგება რუსულ ოფიციალურ ვერსიას რუსული ძალების კონფლიქტში ჩართვის შესახებ. თბილისში მედვედევის განცხადებებს "ალიარებით ჩვენებას" უწოდებენ.

AFP © 2008

მედვედევის "გულახდილობა"

"ღამის პირველი საათისთვის თავდაცვის მინისტრმა სერდიუკოვმა დამირეკა და მითხრა, რომ მათი ინფორმაციით, საქართველომ სამხრეთ ოსეთს ომი გამოუცხადა," - 7-8 აგვისტოს ღამის მოვლენები დმიტრი მედვედევმა რამდენიმე რუსული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველო-ამერიკას შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას 4 იანვარს მოეწერება ხელი

საქართველო-ამერიკას შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას 4 იანვარს მოეწერება ხელი, - ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულ ხელშეკრულებას ისტორიული დანიშნულება აქვს. "ამერიკა ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა, ამიტომ ასეთ ქვეყანასთან პარტნიორობა ისტორიული მომენტია. რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების საკითხებს, რამდენადაც ვიცი, ხელშეკრულებაში უსაფრთხოებას მთლიანი ბლოკი ეხება, რაც საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობას გულისხმობს"" - განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, დოკუმენტი ორ სახელმწიფოს შორის ყველა სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ჯი-ეიჩ-ენი

მინისტრთა კაბინეტის გუშინდელ სხდომაზე 2009 წლის ბიუჯეტი განიხილეს

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა, 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პარლამენტს გუშინვე გადაეგზავნა, ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია. მისივე თქმით, გლობალური ფინანსური კრიზის ფონზე საქართველოს მოსახლეობა და საქართველოში არსებული სამუშაო ადგილები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს.

მინისტრის განმარტებით, 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ორი ძირითადი მიმართულება. ერთ-ერთია იმპორტის ხარჯების მაქსიმალური შემცირება და ინფრასტრუქტურის ხარჯების მაქსიმალურად ზრდა, რომელიც ადგილზე, ქვეყანაში დაიხარჯება და ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მეორე მიმართულებაა სოციალური ნაწილი. როგორც გილაურმა აღნიშნა, მაქსიმალური ფოკუსირება მოხდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობაზე, მათ ფულად დახმარებასა და დაზღვევაზე.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტში ასახულია დონორ ორგანიზაციებთან ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება და ყველა თანხა, რაც დონორი ორგანიზაციებიდან საქართველომ უკვე მიიღო. საბოლოოდ, 2009 წლის ბიუჯეტის ჯამური ასიგნება 6 მლრდ 856 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, 2009 წლის ბიუჯეტში 2,5 პროცენტზე იქნება გათვალისწინებული, ინფლაცია - 7 პროცენტზე. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს პარლამენტი 30 დეკემბერს განიხილავს.

ინტერპრესნიუსი

დღეს პარლამენტის რიგგარეშე სესია გაიმართება

დღეს პარლამენტის რიგგარეშე სესია გაიმართება, იქამდე კი ბიუროს სხდომაა დანიშნული. მიმდინარე წელს პარლამენტის კიდევ ერთი რიგგარეშე სხდომა 30 დეკემბერს გაიმართება. რეგლამენტის თანახმად, საშემოდგომო სესია გასულ პარასკევს დაიხურა, თუმცა იმის გამო, რომ განსახილველი დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი, მათ შორის 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი, რიგგარეშე სესიები დაიგეგმა. წლის ბოლომდე იგეგმება სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის მოხსენების განხილვაც.

ჯი-ეიჩ-ენი

ზემო აფხაზეთიდან დევნილები საახალწლოდ მატერიალურ დახმარებას მიიღებენ

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია ზემო აფხაზეთიდან დევნილ პედაგოგებსა და ექიმებს შეხვდა. შეხვედრას აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი დალილა ხორავა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი ესწრებოდნენ. მალხაზ აქიშბაიამ ზემო აფხაზეთიდან დევნილთა ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაციის საკითხებზე და მათი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაზე ისაუბრა. როგორც აქიშბაიამ განაცხადა, "აგვისტოს მოვლენების შემდგომ აფხაზეთის მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს ზემო აფხაზეთის მოსახლეობასთან, ჩვენთვის პრიორიტეტულის 2 მიმართულება - განათლებისა და ჯანდაცვის სფერო, ჩვენ შევპირდით მოსახლეობას, რომ ამ სფეროს თანამშრომლების ინტეგრაცია სხვადასხვა სტრუქტურებში განხორციელდება, ზემო აფხაზეთიდან ადგილნაცვალი ექიმებისა და პედაგოგების დასაქმებაზე აფხაზეთის მთავრობის შესაბამისი უწყებები იზრუნებენ. გარდა ამისა, საახალწლოდ ამ სფეროს მოღვაწეებს მატერიალურ დახმარებას გადავცემთ და ასევე დავეხმარებით ექვსი კრიტერიუმით შერჩეული სოციალური ფენის წარმომადგენლებს ზემო აფხაზეთიდან, ვეხმარებით ძველ დევნილებს, რომელთა სოციალური დონე დახმარებას მოითხოვს". აფხაზეთის მთავრობამ ზემო აფხაზეთიდან დევნილ 90 პედაგოგს და 69 მედიცინის მუშაკს საახალწლო 100-ლარიანი დახმარება გუშინვე დაურიგა.

ჯი-ეიჩ-ენი

ევროკავშირის მისიის მოლოდინი

დათო გამისონია

სავსებით შესაძლებელია, საქართველოში ეუთო-ს მისიის ბედი გაერო-ს დამკვირვებლებმაც გაიზიარონ. ეს იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის ფედერაცია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, მისიის გაგრძელების შესახებ რეზოლუციას ვეტოს დაადებს. თუ მოვლენები ასე განვითარდა, საქართველოს ხელისუფლება ეუთო-სა და გაერო-ს სამშვიდობო მისიების ჩანაცვლებას ევროკავშირის დამკვირვებლებით აპირებს.

გრიგოლ ვაშაძე

"რუსეთის ფედერაცია არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. შესაბამისად, მას, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია, უბრალოდ, ვეტო დაადოს რეზოლუციის მიღებას და ამგვარად გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ფუნქციონირება საქართველოში შეწყდება. ასე რომ არ მოხდეს, ამისთვის მოლაპარაკებები ყოველდღე მიმდინარეობს. მიუხედავად იმ პესიმისტური სცენარისა, რომელიც მე ახლა აღვწერე, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ შესაძლებელი გახდება ყველასათვის მისაღები გამოსავლის მოძებნა," - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვმა.

არსებულ ვითარებაში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელ გრიგოლ ვაშაძეს ოპტიმალურ გამოსავლად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის კიდევ უფრო გააქტიურება ესახება, რადგან ამ ორგანიზაციაში რუსეთს არ გააჩნია მისაღები გადაწყვეტილებების ოფიციალურად დაბლოკვის საშუალება: **"ხელსაყრელი იქნებოდა, როგორც ეუთო-ს, ასევე გაერო-სა და ევროკავშირის მისიების მუშაობა. თუმცა, იმ შემთხვევისთვის, თუკი რუსეთის ფედერაციამ საქართველოში გაერო-ს მისიის საქმიანობაც მოკლა, რაც მან ეუთო-ს მიმართ გააკეთა, ახლავე ვიწყებთ მუშაობას ევროკავშირთან, რათა მან ამ ორგანიზაციების ფუნქციებიც თავის თავზე აიღოს,"** - აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

პარლამენტში მიესალმებიან გაერო-ს მისიის ჩანაცვლებას ევროკავშირის დამკვირვებლებით. "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარემ გია თორთლაძემ განაცხადა, რომ: **"ევროკავშირი არის ორგანიზაცია, სადაც რუსეთს არ აქვს ბერკეტები და, მით უმეტეს, ვეტოს უფლება. ეს საერთაშირისო ორგანიზაცია უნდა იყოს კონფლიქტის ზონების ძირითადი მონიტორი. რაც მთავარია, ამ ორგანიზაციამ უნდა მოიპოვოს უფლება და შევიდეს კონფლიქტის რეგიონში, რათა ნახოს იქაური სიტუაცია. რეალურად ადამიანის უფლებების დარღვევა სწორედ რუსეთის მიერ ჩაკეტილ ზონებში ხდება,"** - აღნიშნა თორთლაძემ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედების მანდატი აქვს, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგობის გამო ის თავის ფუნქციას სრულად ვერ ასრულებს. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში მხოლოდ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია - გაერო-ს მისია საქმიანობს, თუმცა, ქართველი ექსპერტები მის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ამის საფუძველს იძლევა ორგანიზაციის მოხსენებები, რომლებშიც საქართველოს ტერიტორიაზე წლების მანძილზე მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების მუშაობა ხშირ შემთხვევაში დადებითად ფასდებოდა. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის, პროფესორ თორნიკე შარაშენიძის თქმით, **"გაერო-ს მისია დიდი ხანია, არაპროდუქტიულია და რუსეთის ნება-სურვილის სასარგებლოდ მოქმედებს. მართალი გითხრათ, მათი საქმიანობის შეჩერებაში დიდ დანაკლისს ვერ ვხედავ."** ექსპერტის აზრით, გაერო-ს გასვლის შემდეგ მათი ევროკავშირის მისიით ჩანაცვლება დამოკიდებულია ევროპელებსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებაზე: **"მხოლოდ მათ შორის კომპრომისის შემდეგ უნდა ველოდოთ რეალურ შედეგს. თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები ძალიან მოინდომებენ და რუსეთის ფედერაციას მისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე წინადადებებს შესთავაზებენ, მაშინ ევროპელი დამკვირვებლები კონფლიქტურ ზონებში შესვლას შეძლებენ. თუმცა, არა მგონია, ევროპელმა ლიდერებმა თავი გადადონ ამ საკითხზე, და ისეთი რამ დაუთმონ რუსეთს, რომლის გამოც ის კომპრომისზე წავა,"** - აღნიშნა შარაშენიძემ.

პოლიტიკური რეალობის შექმნის მორიგი მცდელობა

ნათია მსხილაძე

ოპოზიციური პარტიები ირაკლი ალასანიასთან შესახვედრად და სათანამშრომლოდ მზად არიან. ისინი რაიმე სახის გაერთიანებას არ გამორიცხავენ, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტული შეთანხმებები არ არსებობს.

გაერო-ში საქართველოს ყოფილმა მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ უკვე დაიწყო აქტიური კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებთან.

გუშინ ალასანია „ახალი მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერებს, დავით გამყრელიძესა და დავით უსუფაშვილს შეხვდა. მათ მიმდინარე პოლიტიკური საკითხები განიხილეს, თუმცა კოალიციის შექმნაზე ვერ შეთანხმდნენ. როგორც "ახლების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განმარტა, ირაკლი ალასანიასთან „ახალი მემარჯვენეებისა" და „რესპუბლიკელების" თანამშრომლობის შესახებ საზოგადოება უახლოეს დღეებში უფრო დეტალურად შეიტყობს.

„ეს არ იყო პირველი კონსულტაცია. ბატონ ირაკლისთან კონსულტაციები ადრეც მიმდინარეობდა, მაგრამ საჭირო იყო, რომ მას პირველი ნაბიჯი გადაედგა, არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე საზოგადოებისთვის საკუთარი შეფასებები წარმოედგინა და სამომავლო გეგმები გაეცნო. ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ არსებული პოლიტიკური რეალობა დამღუპველია და საჭიროა რადიკალური ცვლილებები, რისთვისაც აუცილებელია, შეიქმნას ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, რომელსაც საზოგადოება ნდობას გამოუცხადებს. ჩვენ შორის გაგრძელდება კონსულტაციები და კონკრეტული პოლიტიკური კონტურები უახლოეს მომავალში გამოიკვეთება," - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

პოლიტიკური პარტია "საქართველოს გზის" ლიდერი საღლომე ზურაბიშვილი გაერო-ში საქართველოს ყოფილ ელჩს ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად მიიჩნევს. ზურაბიშვილი ახლო მომავალში ახალი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნასაც არ გამორიცხავს, თუმცა თვითონ ჯერ არავისთან აპირებს გაერთიანებას. **„ალასანიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ძალიან კარგია, რომ ჩამოვიდა და მის პოლიტიკურ გააქტიურებასაც დადებითად ვაფასებ. ვფიქრობ, ძალის ნაკლებობას ნამდვილად განვიცდით. რაც მეტი და მომზადებული პოლიტიკური ძალა ეყოლება ქვეყანას, მით უკეთესი. როდესაც სააკაშვილი და მისი ხელისუფლება წავა და ახალი პოლიტიკური პროცესი დაიწყება, საქართველოსთვის ყველა ამ ძალის არსებობა აუცილებელი გახდება. ვინც მიიჩნევს, რომ არჩევნების დროს ერთად უნდა იდგეს, ალბათ, გაერთიანდება, თუმცა პირადად მე ჯერჯერობით არავისთან გაერთიანებას არ ვგეგმავ. ჯერ ჩვენი პარტიის სტრატეგია და მომავალი სამოქმედო გეგმა უნდა ჩამოვაყალიბოთ და მერე ვნახოთ. გამორიცხული არაფერია,"** - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური გარემოცვის წევრები ირაკლი ალასანიასთან შესახვედრად და სათანამშრომლოდ მზად არიან. **„ირაკლი ალასანიამ თავის განცხადებებში ძალიან სწორი და მნიშვნელოვანი აქცენტები გააკეთა. ჩვენ მასთან შესახვედრად და მისი პოლიტიკური გეგმების გასაცნობად მზად ვართ. ალასანიას ახალი არაფერი უთქვამს, თუმცა საქართველოს ხელისუფლების ყოფილი წევრისგან ნათქვამ სიმართლეს სხვა დატვირთვა და ძალა აქვს. ირაკლი ალასანია, შესაძლოა, ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთი წარმატებული ფიგურა გახდეს,"** – აღნიშნა პოლიტიკური მოძრაობის "ერთიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირისიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„შევთხოვ უფალს, რომ კვლავ დაბრუნდეს მშვიდობა"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

პატრიარქის საიუბილეო ღონისძიებები კვირეულს მოიცავს, თუმცა 25 დეკემბერი გამორჩეული დღესასწაულია, ვინაიდან 31 წლის წინათ, 1977 წლის 25 დეკემბერს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ახლად არჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია მოხდა.

„მე შევთხოვ უფალს, რომ კვლავ დაბრუნდეს მშვიდობა საქართველოში. კვლავ დაბრუნდეს მშვიდობიანი ურთიერთობა რუსეთთან, ჩვენს მეზობლებთან და საერთოდ, მთელ მსოფლიოსთან. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გააძლიეროს, გაამთლიანოს სრულიად საქართველო," - ეს სიტყვები უწმინდესმა გუშინ წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ წარმოთქვა.

ქართველი ერის წინაშე პატრიარქის ღვაწლი და დამსახურება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა? შეაფასა. **"ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერის სულიერი შეკავშირებისთვის არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ... ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის სულიერი სიმტკიცისთვის ილია ჭავჭავაძის შემდეგ არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ილია მეორემ მოახერხა. როცა ჩვენს ერს სულიერად უჭირდა, როცა ქართულ ენას საფრთხე ემუქრებოდა, სიონის ტაძარში ილია მეორე გამოჩნდა და მას შემდეგ მთელ საქართველოში მისი სულიერი სიძლიერე და რწმენა გავრცელდა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა გუშინ ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე ისაუბრა. **„ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი გადარჩენა არის ტრადიციის დაცვაში, რწმენაში, სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ერთობის განმტკიცებაში,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. მისივე თქმით, საუკუნეების განმავლობაში მრავალი უძველესი ცივილიზაცია გადაშენდა, საქართველო კი ისევ არსებობს, რაც ეკლესიის დამსახურებაა.

გუშინვე სამების ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო პატრიარქის აღსაყდრებისადმი მიძღვნილი გამოფენა. საქართველოში ჩამობრძანებულმა სტუმრებმა სვეტიცხოველი მოილოცეს. დღის მეორე ნახევარში რუსთაველის თეატრში გაიმართა საზეიმო კონცერტი.

ილია მეორეს აღსაყდრების იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გუშინ იუბილე რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა წერილობით მიულოცა. მედვედევის წერილი სამების საკათედრო ტაძარში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა წაიკითხა. **"ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ლიდერი,"** - ასე უწოდებს მედვედევი ილია მეორეს. რუსეთის პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ ორ ქვეყანას შორის დიალოგი საქართველოს პატრიარქის ძალისხმევით გაგრძელდება.

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისია დახურულ სხდომებზე მოსმენილ მასალებზე "გრიფით საიდუმლოს" მოხსნას ითხოვს

გუშინ საქართველოს პარლამენტში აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნით სხდომაზე კომისიის წევრებმა ის ინფორმაცია შეაჯერეს, რაც კომისიის სხდომებზე დახურულ ფორმატში თანამდებობის პირებისგან მოისმინეს. აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია უშიშროების საბჭოს მიმართავს მოთხოვნით, მოხსნას "გრიფით საიდუმლო" იმ მასალებს, რაც კომისიამ დახურულ სხდომებზე მოისმინა. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში კომისიის თავმჯდომარემ პაატა დავითაიამ განაცხადა. მისი თქმით, კომისიას დახურულ სხდომებზე ყველაზე საინტერესო ინფორმაციები სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა და უშიშროების საბჭოს მდივანმა კახა ლომაიამ მიანოდეს. როგორც დავითაიამ აღნიშნა, სწორედ ეს საიდუმლო მასალები გადაეგზავნება უშიშროების საბჭოს გრიფის მოსახსნელად, რათა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს და პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოში მიმდინარე წელს ჯილეხით 50 ადამიანი დაავადდა

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობის სამსახურის უფროსი ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, საქართველოში 2008 წელს ჯილეხით დაავადების გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა ბოლო წლებისთვის დამახასიათებელ საშუალო მაჩვენებელს არ აღემატება.

ჯილეხი (ციმბირული წყლული) მწვავე ბაქტერიული ინფექციაა, რომლითაც, ძირითადად, ბალახისმჭამელი ცხოველი ავადდება. ადამიანი დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის (მოვლა, დაკვლა, გატყავება, დანაწევრება, ბეწვის დამუშავება) ან ამ ცხოველისაგან დამზადებული საკვების მიღების შედეგად ინფიცირდება. ადამიანის ორგანიზმში ჯილეხის გამომწვევი ჩხირის სპორის მოხვედრა დაზიანებული კანიდან, ნიადაგიდანაც არის შესაძლებელი. ადამიანებს ყველაზე ხშირად ჯილეხის დაავადების კანის ფორმა უვითარდებათ. იშვიათია ჯილეხის ფილტვის ან კუჭ-ნაწლავის შემთხვევები.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსი სამხედროები ენგურჰესის ადმინისტრაციის შენობის დარაჯს, ენგურის გადაკვეთის სანაცვლოდ, 5000 რუბლს სთავაზობდნენ

გალის რაიონის სოფელ საბერიოს ჩეღალის უბანში, სადაც ენგურჰესის ადმინისტრაციის შენობა მდებარეობს, ათი უიარაღო რუსი სამხედრო პირი დარაჯს ენგურის გადაკვეთის სანაცვლოდ 5000 რუბლს სთავაზობდა. როგორც "აფხაზეთის მედიაცენტრს" სოფელ საბერიოდან სანდო წყარომ აცნობა, სამხედროები ენგურჰესის ადმინისტრაციის შენობის დარაჯს აფხაზეთ-საქართველოს ე.წ. საზღვარზე, მდინარე ენგურის ცენტრალურ ხიდამდე მიყვანას სთხოვდნენ, რის სანაცვლოდაც ჯარისკაცები დარაჯს თითო ადამიანის გადაყვანისთვის 5000 რუსულ რუბლს გადაუხდიდნენ. წყაროს ინფორმაციით, ჯარისკაცები უიარაღოდ იყვნენ. სავარაუდოდ, ისინი გალის რაიონში დაბანაკებული რომელიმე საგუშაგოდან გამოიქცნენ და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცდილობდნენ მოხვედრას, თუმცა გაურკვეველია რა მიზნით. ენგურჰესის ადმინისტრაციის სხვა პირების ჩარევის შემდეგ ჯარისკაცებმა ტერიტორია დატოვეს.

ჯი-ეიჩ-ენი

დავით ბაქრაძე დღეს თსუ-ში ლექციას წაიკითხავს

დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტს ეწვევა. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბაქრაძე უნივერსიტეტში წაიკითხავს ლექციას თემაზე: "საქართველოს საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და უახლესი გამოწვევები". შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართება.

ჯი-ეიჩ-ენი

თავდაცვის მინისტრი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა

გუშინ თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანს საქართველოს თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობისა და შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის გაუმჯობესება წარმოადგენდა. შეხვედრაზე თანამშრომლობის სამი ძირითადი მიმართულება განიხილეს, მათ შორის - სტრატეგიული თავდაცვის მიმოხილვის ახალი დოკუმენტის შემუშავების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე თანამშრომლობა, თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიის დახვეწა და თავდაცვის სფეროს ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების მიზნით სამოქალაქო უნივერსიტეტებში სპეციალური სასწავლო კურსის შექმნა. თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძის განცხადებით, სამინისტროს ჩამოყალიბებული აქვს ფორმატი, რომლის ფარგლებშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სამხედრო ექსპერტებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობს.

ჯი-ეიჩ-ენი

აღიარება და ნიშნის მოგება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

მისი თქმით, მან მინისტრს მდგომარეობაზე თვალყურის დევნება და ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება დაავალა და სწორედ სერდიუკოვის მოხსენებებიდან შეიტყო, რომ კონფლიქტის ზონაში ქარაფული სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა.

"გარკვეულ დრომდე იმედი გვქონდა, რომ ეს რაღაც პროვოკაციაა, რომელიც ბოლომდე არ იქნება მიყვანილი. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც სარაკეტო ქვემეხები ამუშავდა, ტანკებმა სროლა დაიწყეს და მე მომახსენეს ჩვენი მოქალაქეების, მათ შორის მშვიდობისმყოფელების დალუპვის შესახებ, ერთი წუთითაც არ დავიჯერებულვარ და საპასუხო ქმედების ბრძანება გავეცი," - განაცხადა მედვედევმა.

იმავდროულად, მან კონფლიქტის დაწყებაზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დააკისრა. მედვედევის თქმით, ქართული მხარე საბრძოლო მოქმედებებისთვის ემზადებოდა: **"რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ქართველ კოლეგას აღარ სურს საუბარი რუსეთთან. მანამდე მთხოვდა შეხვედრას, შემდეგ კი გაქრა. მაშინ ეჭვი გამიჩნდა, რომ ძალისმიერი აქციის განხორციელებას აპირებდა."** თუმცა, მედვედევს არ განუმარტავს, თუ რატომ არ ხდებოდა ომის დაწყებამდე ქართველ კოლეგას, რომელიც შეხვედრას ასე დაჟინებით ითხოვდა.

როგორც, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილი აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ საპარლამენტო კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა, შეხვედრაზე უარს მას თავად მედვედევი ეუბნებოდა. კერძოდ ივნისში, ასტანაში ყოფნისას, მედვედევმა სააკაშვილს განუცხადა, რომ **"ახლა შეხვედრის დრო არ არის." "სამწუხაროდ, მან ამ შეხვედრაზე იქვე ძალიან ნათლად განმიცხადა უარი. მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრში მას უსაყვედურეს,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

"ბოლო მცდელობა ომის წინ პრეზიდენტ მედვედევთან შეხვედრისთვის 6 აგვისტოს საღამოს მქონდა, როცა სიტუაცია ძალიან გართულდა. პასუხი მათი საგარეო საქმეთა სამინისტროდან ასეთი იყო: სიტუაცია არ არის მომწიფებული. მედვედევთან ან პუტინთან დარეკვას 8, 9, 10 აგვისტოს ყოველდღე ვცდილობდი," - აცხადებდა საქართველოს პრეზიდენტი.

დმიტრი მედვედევმა, თავის მხრივ, საკუთარ ტელეინტერვიუში რუსეთის სამხედრო მზადების ფაქტი აღიარა, რაც მან ქართული მხარის სამზადისით ახსნა. **"ამიტომ ჩვენ, რასაკვირველია, ვემზადებოდით,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ **"სწორედ ასეთი მზადების წყალობით, ოპერაციის დანაკარგი მინიმალური იყო".**

აღსანიშნავია, რომ მედვედევის მონაყოლი არ შეესაბამება აქამდე არსებულ რუსულ ოფიციალურ ვერსიას საქართველოსთან ომში რუსული ძალების ჩართვის მომენტის შესახებ. კერძოდ, მედვედევის განცხადება საქართველოში საომარი ოპერაციის დაწყების თაობაზე რუსულმა სააგენტოებმა 8 აგვისტოს, მოსკოვის დროით 15 საათისთვის გაავრცელეს.

ამავე სააგენტოების ცნობით, პირველი რუსული სამხედრო კოლონა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 15 საათსა და 20 წუთზე შევიდა და ცხინვალის გარეუბნებს, სულ რაღაც, ორმოც წუთში მიაღწია, რაც, გასავლელი მანძილის გათვალისწინებით, არარეალურია.

მედვედევის ტელეინტერვიუდან კი ირკვევა, რომ ბრძანება ომის დაწყების შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა უკვე 7 აგვისტოს ღამით გასცა. ყოველ შემთხვევაში, თავად რუსეთის პრეზიდენტი ბრძანების გაცემის მომენტს ქართული არტილერიის მიერ ცეცხლის გახსნას უკავშირებს. ეს კი ადასტურებს როგორც ქართული მხარის მონაცემებს, ასევე რუსული მედიის ზოგიერთ პუბლიკაციაში არსებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსული ქვედანაყოფები სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დაწყებამდე იმყოფებოდნენ და ბრძოლაში 7 აგვისტოს ღამითვე ჩაებნენ.

ამავე ინტერვიუში მედვედევმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება ნატო-ს გაფართოებას. **"ჩვენ აბსოლუტურად არ მოგვწონს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის სურვილი, საკუთარი საზღვრები უსასრულოდ აფართოვოს. ჩვენ ამის შესახებ ღიად ვამბობთ და მივიჩნევთ, რომ ეს არ განამტკიცებს საერთაშორისო უსაფრთხოებას,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. მისი აზრით, უსაფრთხოების სხვა მექანიზმები უნდა შეიქმნას, მაგალითად - ახალი ხელშეკრულება ევროპაში უსაფრთხოების შესახებ. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, დაიცვას რუსეთის მოქალაქეები, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი.

მედვედევი უკრაინასაც შეეხო და აღნიშნა, რომ **"უკრაინის რიგი ხელმძღვანელები იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომ საქართველოსთვის იარაღი მიეწოდებინათ და იქ გაეგზავნათ გაწვრთნილი ადამიანები, რომლებიც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ესროდნენ. ამას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა დანაშაულს რუსულ-უკრაინული ურთიერთობების წინააღმდეგ."** მედვედევის თქმით, **"ეს სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში."**

თბილისის რეაქცია

"თუ მთელ მსოფლიოს ჰქონდა კითხვა, მაინც რა მოხდა აგვისტოში, მედვედევმა ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა," - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილის თქმით, **"ბევრს ვფიქრობდი, რით არის გამოწვეული მედვედევის განცხადება და დავასკვენი, რომ რუსეთში არსებულ ვითარებასთანაა დაკავშირებული."**

"რუსეთში დღეს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისია, რის გამოც მედვედევმა ყურადღება ამ განცხადებაზე გადაიტანა," - აღნიშნა მან. მიხეილ სააკაშვილი საქართველოზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენასაც შეეხო. **"საქართველოსთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად სახელმწიფოს გაძლიერება, ქართული ეკონომიკის გადარჩენა და სახელმწიფოს აღმშენებლობა რჩება,"** - აღნიშნა მან.

"რუსეთის პრეზიდენტმა გააკეთა აღიარებითი ჩვენება, რომ რუსეთი საქართველოში აგრესიის განსახორციელებლად ემზადებოდა," - ასეთი განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე რუსეთის პრეზიდენტის კომენტარებს.

როგორც ვაშაძემ ბრიფინგზე აღნიშნა, რუსეთის პრეზიდენტის აღიარებითი ჩვენება არის ქვაკუთხედი, რაზეც საერთაშორისო კომისიამ უნდა ააგოს მუშაობა და დანახოს მთელ მსოფლიოს, ვინ არის აგრესორი.

„რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც არაფრად აგდებს საერთაშორისო პრინციპებს და კანონებს," - აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ვაშაძის განცხადებით, მაშინ, როდესაც რუსეთი საქართველოს ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთში აგრესიაში სდებდა ბრალს, საქართველოს მთელი მთავრობა შვებულებაში იმყოფებოდა.

მისივე ვარაუდით, მომავალშიც არ არის გამორიცხული რუსეთის მხრიდან მსგავსი პროვოკაციები, თუმცა საქართველო, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, მზად არის, თავიდან აიცილოს მოვლენების ასეთი განვითარება.

„ეს არის იმათ გასაგონად, ვისაც ეჭვი ეპარებოდა, ვინ და როგორ დაიწყო აგვისტოში ომი. რუსეთის პრეზიდენტმა აღიარა, რომ ემზადებოდა ამ ომისთვის," - ასე შეაფასა მედვედევის განცხადებები სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა. რაც შეეხება რუსეთის მხრიდან გაცხადებულ მუქარას, იაკობაშვილის აზრით, ეს მაინცდამაინც სერიოზულად არ უნდა იყოს აღქმული. **„ეს არის შიდა აუდიტორიისთვის გაკეთებული განცხადება. რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში არავინ არასდროს ემუქრებოდა. ასე რომ, მსგავსი ტიპის განცხადებები იმ ფონზე, როცა რუსული ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად არის შემცირებული, გასაკვირი ნამდვილად არ არის,"** - მიიჩნევს იაკობაშვილი.

კითხვაზე, არსებობს თუ არა რუსული მხრიდან პროვოკაციებისა და საომარი მოქმედებების განახლების რეალური საფრთხე, იაკობაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან პროვოკაციების რეალური საფრთხე ყოველთვის იყო და, შესაძლოა, ეს კიდევ ორ წელს გაგრძელდეს, ვიდრე ისინი იქნებიან იმ აზრზე, რომ საკუთარი თავის ტკივილი სხვის თავის ტკივილად გადააქციონ.

თუმცა, იაკობაშვილი იმ მასშტაბის პროვოკაციებს, რაც აგვისტოში განხორციელდა, არ ელოდება. **„ალბათ, უფრო შესაძლებელი და მოსალოდნელია პატარა პროვოკაციები, მაგალითად, შეიძლება მათ გარკვეული პრობლემები შექმნან ადმინისტრაციულ საზღვარზე,"** - განაცხადა იაკობაშვილმა.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის შეფასებით, დმიტრი მედვედევის გამოსვლა არა აღიარებითი, არამედ ნიშნის მომგები იყო. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დავით დარჩიაშვილმა აღნიშნა, მედვედევი, მართალია, აცხადებს, რომ ომისთვის ემზადებოდა, მაგრამ ამას ქართველების აგრესიულობით ხსნის.

"მედვედევი საკუთარი გამოსვლით არ ამბობს, მაგრამ აშკარას ხდის, რომ ომისთვის საქართველოს ტერიტორიაზევე ემზადებოდა და მას შემდეგ იწყებს "ისკანდერებით" შემოტევას, რაც საქართველო ყველანაირი საერთაშორისო სამართლის თუ ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით აგრესორს უპირსპირდება," - მიიჩნევს ქართველი დეპუტატი. დავით დარჩიაშვილი პიარკამპანიას უკავშირებს იმას, რომ დმტირი მედვედევმა ომის მზადებაზე საუბარი ახლა დაიწყო. მისი თქმით, ეტყობა, მედვედევი გრძნობს, რომ რუსული პროპაგანდისტული მანქანა სრულყოფილი არ არის და ცდილობს, დამატებითი არგუმენტები მოიშველიოს. **"მაგრამ რუსული პოლიტიკა იმდენად არასამართლიანია, რომ მას ვერანაირი არგუმენტები ვერ აქცევს სამართლიანად,"** – აღნიშნა დარჩიაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის მინისტრი განათლებით იწყებს

„სპილოს წესი" ქართული კულტურისათვის

ინტერვიუ კულტურისა და სპორტის მინისტრთან ნიკა რურუასთან

მაია ჭალაგანიძე



- ყველასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. მუსიკოსების, მწერლების, რეჟისორების და სპორტული ფედერაციების ნაწილს ვესაუბრე და შევეცადე გამეგო, რა მდგომარეობაა ამა თუ იმ სფეროში.

- რა საერთო პრობლემაა და რა იქნება ის პირველი ნაბიჯი, რასაც ამ პრობლემების მოგვარებისკენ გადადგამთ?

- ეს მართლაც ბევრი დარგის ერთობლიობაა და იმისთვის, რომ გავიგო, რა არის გასაკეთებელი, უნდა დავინახო ყველა სფეროს დიდი სურათი. უბრალოდ, რთულია ერთ კვირაში საფუძვლიანად გაერკვე ყოველ მათგანში. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ნელა მუშაობას ვაპირებ. პირიქით, მე მიყვარს გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, მაგრამ, ეს უნდა იყოს ინფორმირებული და არა იმპულსური გადაწყვეტილება და რაც მთავარია, ურეზულტატო არ უნდა იყოს. მინდა, რომ აქ მუშაობის პერიოდში ადამიანებმა თავიანთი ნიჭის, ტალანტისა და გეგმების რეალიზაციისას რეალურად უკეთ იგრძნონ თავი, ვიდრე მანამდე. მაგრამ, ამისთვის ერთჯერადი ინექციები საკმარისი არ არის. ჩემი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს ყველა მიმდინარეობის ხელშეწყობისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა.

- აქამდე ასეთი რამ არ გვქონია?

- ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი არსებობს, მაგრამ ეს ძალზე ზოგადი დოკუმენტია, რომელიც შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე იხილოთ.

- რა ტიპის განახლება ჭირდება ამ დოკუმენტს?

- ჯერ ვერ გეტყვით... მაგრამ, თუ მაინცადამაინც მეკითხებით, დღესდღეობით, ჩემი პრიორიტეტი საწყისი პროფესიული განათლების სისტემის აღდგენაა. მინდა, რომ მუსიკალურ სკოლებს, სასწავლებლებს და ათწლედს ეფექტურ ინსტიტუციებად გადაქცევაში დავეხმარო. უმეტესობა დახურულია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენ, ჩვენს ორკესტრებს მუსიკოსების გარკვეული ნაწილი არ გვეყოლება. რადგანაც ცვლა არ მოდის. განათლების პირველი-მეორე საფეხური, უბრალოდ, მორღვეულია. ასევეა სპორტშიც.

- და თეატრშიც..

- ამ მხრივ თეატრსა და კინოში უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე სპორტსა და მუსიკაში. ყველა სფროს ერთი საზომით და კრიტერიუმით ვერ შევაფასებთ, ეს არასწორი იქნება. ამიტომ, ყველაფერზე ცალ-ცალკე ვილაპარაკოთ... საწყისი განათლების რგოლები მუსიკასა და სპორტში დაზიანებულია. რეფორმებს არსებული სისტემების მოშლა მოჰყვა და მათი ადგილი უკეთესი სისტემით არ შეივსო. ამიტომ, რამდენიმე წელიწადში ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები სერიოზულად დაგვაკლდება (განსაკუთრებით, სპორტს ვგულისხმობ) და თუ საწყისი სპორტული განათლების სისტემა არ აღვადგინეთ, ოლიმპიური ჩემპიონები, რომელთა არსებობაც ასე საამაყო და სასიხარულოა, უბრალოდ, არსაიდან აღარ მოვლენ. ოლიმპიურ ჩემპიონებად არ იბადებიან. ბავშვები გარკვეულ ასაკში ინტერესდებიან სპორტით, შემდეგ გადადიან აქტიურ სპორტზე და ამის მერე ხდებიან დიდი სპორტსმენები. პირველი ორი ნაბიჯი დღეს მოშლილია. სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილი არის ფიქცია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, ისე მოხდა, რომ "განათლების შესახებ კანონში" მწვრთნელს, რაოდენ აბსურდულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, სტატუსი არ აქვს, მწვრთნელი პედაგოგად არ ითვლება, რაც ვფიქრობ, სრული უაზრობაა. არადა, მწვრთნელი, სატყვის არსიდან და პროფესიის დანიშნულებიდან გამომდინარე, ისეთივე პედაგოგია, როგორიც ისტორიის, ან მათემატიკის მასწავლებელი.

> **დღესდღეობით, ჩემი პრიორიტეტი საწყისი პროფესიული განათლების სისტემის აღდგენაა. მინდა, რომ მუსიკალურ სკოლებს, სასწავლებლებს და ათწლედს ეფექტურ ინსტიტუციებად გადაქცევაში დავეხმარო. უმეტესობა დახურულია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენ, ჩვენს ორკესტრებს მუსიკოსების გარკვეული ნაწილი არ გვეყოლება. რადგანაც ცვლა არ მოდის.**

იმედი მაქვს, ეს სტატუსი კანონიდან შემთხვევით გაქრა, გაუგებრობა იყო. შეიძლება, ვინმე ამისთვის სხვა ფორმის მინიჭებას აპირებდა, მაგრამ ეს არ მოხდა და დღეს მწვრთნელის სტატუსი არ არსებობს. ამ, და კიდევ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს მინდა გადავხედო...

სპორტსკოლების უმეტესობა დაიხურა, ნაწილი კი კომერციული გახდა, სწავლა ფასიანია, რაც გარკვეულ სახეობებში მაინც, ბავშვების ნაკადს აფერხებს. საქმე ისაა, რომ ამ სპორტსკოლებში საშუალო და მასზე დაბალი შემოსავლების ოჯახებიდან წამოსული ბავშვებისთვის თანხების დაფარვა რთულია. დიდ სპორტსმენთა უმეტესობა კი სწორედ ამგვარი ოჯახებიდან არიან, რადგან ამ ბავშვებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ცხოვრებისეულ ასპარეზზე წინსვლის საშუალებად სწორედ სპორტი მიაჩნიათ. დალხენილი ოჯახებიდან დიდი სპორტსმენები არ გამოდიან - ასეა საქართველოშიც და ყველა სხვა ქვეყანაშიც. თუკი სპორტსკოლების გარკვეული ნაწილი მაინც არ გახდა ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი, შეიძლება, პროფესიულ სპორტში ნაკადმა იკლოს და მხოლოდ აქა-იქ გვქონდეს გამობრწყინებები. ახლა სიტუაციის შესწავლის ფაზაში ვარ, შემდეგ ამას დასჭირდება საკანონმდებლო ცვლილებები, პოლიტიკური კონსულტაციები, კოალიციების შექმნა, იდეის გარშემო ადამიანების გაერთიანება, შემდეგ, გადაწყვეტილების მიღება და მისი იმპლემენტაცია. ამ ეტაპზე პრობლემების დანახვა შევძელი და ამ ყველაფრის შეცვლას ვაპირებ.

- კულტურისთვის არანაირი ფული არ არის საკმარისი. ჩვენს ქვეყანაში რთულია ამ დარგის მთლიანად საბაზრო პრინციპზე გადასვლა.

- გეთანხმებით, ჩვენი ქვეყნის მასშტაბი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კულტურამ თავი მთლიანად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით გადაირჩინოს. გარკვეული სფეროების, ძალზე მნიშვნელოვანი დარგების სუბსიდირება საჭიროა. უნდა გაკეთდეს პრიორიტეტიზაცია. თუმცა, რომელიმე დარგის გამოყოფა რთულია - ქართული მუსიკა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახვითი ხელოვნება, როგორც კინო და ა.შ. მთავარია, შეიქმნას ყველა დარგის გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკა, რომელიც აქამდე არ არსებობდა. ამ პოლიტიკას ვერ შეიმუშავებს სახელმწიფო მოხელე, ან პოლიტიკოსი, ან სამინისტრო. ეს ამ ადამიანების თანამონაწილეობით უნდა გაკეთდეს. მივიღე გადაწყვეტილება, რომ ყველა დარგში შეიქმნას სამინისტროს მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად შეიკრიბება, არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და ზოგადად პოლიტიკის შემუშავებაზე ილაპარაკებს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტიკაზე გადაწყვეტილებას სახელმწიფო იღებს, მაგრამ მათი რჩევა უმნიშვნელოვანესი იქნება.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვხვდები სხვადასხვა დარგის ძალიან ბევრ ადამიანს და ერთი რამ მახსენდება. როდესაც იურისპრუდენციას ვსწავლობდი, ხელშეკრულებების კურსზე პროფესორმა ასეთი იდიომა ახსენა - Elaphant Rule – "სპილოს წესი"... ჩემს მეტმა ყველამ გაიგო, რაზე იყო საუბარი. ლექციის მერე დავრჩი და პროფესორს ვკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს. მან თქვა, ეს არის ხატოვანი გამოთქმა, რომელიც შემდეგ სურათს გულისხმობს: დიდი, უზარმაზარი სპილო და მის კუდზე ხელჩაჭიდებული პატარა ადამიანი. ამ სურათზე ეს დიდი სპილო არის ბიზნესი, პატარა ადამიანი კი კანონმდებელიო. წინ მიდის დიდი გამოცდილება და შემდეგ მიჰყვება კანონმდებელი, რომელიც კანონებს ამ გამოცდილების და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით იღებს. კანონს ხომ ადამიანი იღებს და არა სპილო. ეს გამოცდილება კი უნიკალურია. ამის გარეშე წარმოუდგენელია, კანონი იყოს ეფექტური და დაცული. გამოცდილების გაუთვალისწინებლად მიღებული კანონი წარმოშობს მოტივაციას, რომ ადამიანებმა კანონის გვერდის ავლით, რეალობასთან მიახლოებული წესებით იცხოვრონ.

> **მე ამ გამოცდილების მქონე ადამიანებთან ინტენსიური შეხვედრები დავიწყე. ხვალაც და ზეგაც ასე იქნება და სანამ ყველაფერს პირადად არ გავეცნობი, ვერ ვიტყვი, რომ მე აქ სერიოზული მუშაობა დავიწყე.**

დიდი გამოცდილება ყველა სფეროშია – კინო, თეატრი, მუსიკალური, სახვითი ხელოვნება, სპორტის სამყარო - მე ამ გამოცდილების მქონე ადამიანებთან ინტენსიური შეხვედრები დავიწყე. ხვალაც და ზეგაც ასე იქნება და სანამ ყველაფერს პირადად არ გავეცნობი, ვერ ვიტყვი, რომ მე აქ სერიოზული მუშაობა დავიწყე.

- 90-იან წლებში ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის გარანტია ქართული ჩაი და კულტურა უნდა გამხდარიყო, ეს იყო ჩვენი მთავარი ექსპორტი, ამ დარგებით ვაპირებდით გადარჩენას...

- ეს იყო არასერიოზული შეხედულება. ჩვენ გადასარჩენი არაფერი გვჭირს... ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოება, საგარეო პირდაპირი ინვესტიციები, საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება... დღეს კი, უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიად დანარჩენ მსოფლიოში საქართველოს იმიჯი მიმაჩნია, ჩვენი მაქსიმალურად პოზიტიურ პლანში წარმოჩენა. საქართველოს ამის გაკეთებას კულტურისა და სპორტის გარეშე არ შეუძლია. მე ამას უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები, ამაში მონაწილეობა ჩემთვის პრივილეგია და პატივია. ჩვენ ბევრი მარგალიტი გვაქვს, რომლითაც მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ კაცობრიობის საერთო კულტურულ სალაროში.

- პატარა ერი ვართ, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ აქამდე ჩვენი უმდიდრესი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის მიუხედავად, მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში გამოჩენა სათანადო დონეზე ვერ მოვახერხეთ...

- იმიტომ, რომ დიდი ხანი იზოლაციაში ვიყავით, რკინის ფარდა იყო ჩამოფარებული და წარმოუდგენელია სხვა ბაზრებზე გავსულიყავით, რეჟიმი ამას კრძალავდა. იყო რამდენიმე რეჟისორის, მხატვრის, მუსიკოსისა და სპორტსმენის გამობრწყინება, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევა იყო. ზოგადად ქართული კულტურა კი იზოლირებული გახლდათ. ჩვენი ძირითადი ბაზარი საბჭოთა კავშირი იყო, იმის იქით ფრაგმენტულად გავდიოდით – სუხიშვილები, რუსთაველის თეატრი... თუმცა, ეს თავისთავად, ბრწყინვალე იყო, მაგრამ მთელ ქართულ კულტურას იგივეს გაკეთების საშუალება არ ჰქონდა.

დღეს თანამედროვე ენაზე ლაპარაკი უნდა ვისწავლოთ. უნდა ვნახოთ პროდუქცია, რისი გატანა შეიძლება და რისი – არა. რაც გვაქვს, კარგად დავიცვათ, ხელი შევუწყოთ თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებას, მემკვიდრეობისა და თანამედროვე ნიმუშების გატანა მოვახერხოთ. გატანა მხოლოდ საღლაც საგამოფენო დარბაზში წაღება არ არის, ეს არის პროცესი, რომელიც შედგება კონკრეტული მოსამზადებელი სამუშაოებისგან, მნიშვნელოვანი მარკეტინგული უნარ-ჩვევებისგან. ქართველმა ხელოვანებმა პროდუქტი მსოფლიოს სწორად უნდა მიაწოდონ და ჩვენ ამაში დავეხმარებით. ეს არის პროცესი, რომელიც მაღალ თანამედროვე სტანდარტებს მოითხოვს.

- როდესაც თქვენ დღეს საწყის განათლებაში არსებულ პრობლემებზე საუბრობთ, ამის გაკეთება ძალზე რთულია. ჩვენ არტმენეჯმენტში სრულიად გამოუცდელები ვართ.

- გეთანხმებით. კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, რომ ვინმეს გული არ ვატკინო, მაგრამ, რამდენიმე თვის წინ ევროპაში აქედან გამოფენები წაიღეს. ძალიან საინტერესო კი იყო, მაგრამ...

- ეროვნული მუზეუმიდან?

- არა, არა. ეროვნულმა მუზეუმმა სწორედაც რომ იცის თავის წარმოჩენა, რადგან დავით ლორთქიფანიძე პროფესიონალია. მას კონტაქტები აქვს ცნობილ სამუზეუმო ქსელებთან და ამის გაკეთება იცის.

ლაპარაკია ერთ-ორ გამოფენაზე, რომელიც თავისთავად ძალზე საინტერესო და კარგი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ პაკეტის შეფუთვა და სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარდა, გამოფენა ისე ჩამოვიდა, რომ იქ ვერავინ შეამჩნია. ეს ძალზე დასანანია.

- მოკლედ, ეს ხელობა არ ვიცით.

- ეს ხელობა შედგება არამხოლოდ პროდუქტის შექმნისგან, არამედ მისი შემდგომი შეფუთვის უნარ-ჩვევებისგან და ეს გასაკეთებელია. რეფორმების და განვითარების პრეზიდენტთან არსებული ფონდი აქამდე იურისტების, ფინანსისტების, ბიზნესის ადმინისტრაციის სპეციალისტების, ბოლო დროს - არქიტექტორების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სპეციალისტების განათლებას აფინანსებდა. დღეს ჩემს მეგობრებთან ერთად ვცდილობ, ამ ჩამონათვალს დაემატოს არტმენეჯერთა სტიპენდირების საკითხი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ სპეციფიური განათლების და მონაცემების გარეშე გაგვიჭირდება ჩვენი კულტურის თანამედროვე ენაზე მიწოდება. თავს ნუ მოვიტყუებთ, აქ ამას ვერ ვასწავლით. გასატანი მართლაც ბევრი გვაქვს, არაადეკვატურად ბევრი ჩვენი პატარა ქვეყნისთვის. საქართველოს სახელს მრავალ ადგილზე შეუძლია გაბრწყინება, თუ ამას თანამედროვე ხერხებით გავაკეთებთ.

- თქვენ საუბრობთ კულტურაზე, და როგორც წესი, თბილისი იგულისხმება. რეგიონებში კი, სადაც ამის დიდი და უნიკალური ტრადიციები არსებობდა, ყოველგვარი კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია.

- ასე არ არის. ვერ ვიტყვით, რომ ყოველგვარი კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია, რადგან ჩამკვდარი ნიშნავს, რომ გაცოცხლება არ შეგვიძლია. არის კერები, რომელიც ენთუზიაზმის ხარჯზე ცოცხლობს და ფეთქავს. მათ მხოლოდ და მხოლოდ წახალისება ჭირდება. ჩვენ რეგიონული თეატრების მდგომარეობაზე ვსაუბრობთ...

- ამ მხრივ დიდი ტრადიციები გვაქვს.

> **უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიად დანარჩენ მსოფლიოში საქართველოს იმიჯი მიმაჩნია, ჩვენი მაქსიმალურად პოზიტიურ პლანში წარმოჩენა. საქართველოს ამის გაკეთება კულტურისა და სპორტის გარეშე არ შეუძლია.**

- დიახ. გორში იყო კარგი თეატრი, ახალციხეში.

- ზესტაფონში...

- დიახ, არის ადგილები, სადაც ამ ყველაფრის დახმარება შეიძლება. თეატრის სფეროს რამდენიმე წარმომადგენელთან საუბრისას, დედაქალაქის დასების რეგიონული გასტროლების იდეაც გაჩნდა, ასეთი არდადეგების მოწყობაც შეიძლება. რეგიონული თეატრების გაცოცხლებაში ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ.

- ეს ძალიან კარგი იქნება, რადგან უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე იქ ცხოვრობს თაობა, რომელიც არც კინოთეატრში ყოფილა და არც ცოცხალი თეატრი უნახავს.

- ეს ბევრ ახალგაზრდას შეაყვარებს ხელოვნებას, ფიგურალურად რომ ვთქვათ, კულტურულ ინექციას გაუკეთებს და ხელოვნებას შეაყვარებს. დიახ, არის ადგილები, სადაც ისეთი თაობაა, ვინც კინოში არც კი შესულა. ეს ასე მოხდა, რა ვქნათ, დაინგრა ეს ბოროტების იმპერია საბჭოთა კავშირი...

- კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში რამდენიმე გახმაურებული საქმე ირჩევა – ვგულისხმობ, მწერალთა კავშირის შენობას მაჩაბლის ქუჩაზე და ფიზკულტურის ინსტიტუტს... ამ ორივე საქმეზე თავდაპირველი იდეა შეიძლება, კეთილშობილური იყო, მაგრამ სახელმწიფო ჩინოვნიკთა კომუნიკაციის, თუ სხვა რამ მიზეზის გამო, სამინისტრო მისივე კურირების სფეროს მუშაკებს დაუპირისპირდა. რა პოზიცია გაქვთ ამ საქმეებთან დაკავშირებით?

- ვცდილობ, ორივე საქმეს გავეცნო. ამ საზოგადოების ნაწილს უკვე შევხვდი და ნაწილს მალე შევხვდები. მწერალთა კავშირის ამბავი ჩემმა წინამორბედმა გაარკვია. აქ ცალსახაა - მწერალთა კავშირი თავისთავად, შემოქმედებითი კავშირია, რომელიც აბსოლუტურად სიცოცხლისუნარიანი შეიძლება იყოს, ეს მისი ნებაა და მიბმული არ უნდა იყოს რომელიმე შენობასთან. ორიოდე დღის წინ ინგლისის ელჩმა მკითხა - უცნაურია, მაგრამ ზოგი შემოქმედებითი კოლექტივი მაინცადამაინც რომელიმე შენობასთან ასოცირდება, შემოქმედებითი პროცესი რატომ არის საკუთრებასთან მიბმული. მე ავუხსენი, რომ ეს საბჭოთა მემკვიდრეობაა და მან ეს გაიგო.

რაც შეეხება ამ შენობას - აქ იქნება მწერალთა სახლი, რომელიც ყველა მწერლის იქნება. ისინი მოაწყობენ დისკუსიებს, საღამოებს, წიგნის პრეზანტაციას, უმასპინძლებენ სტუმრებს. მწერალთა სახლს დამოუკიდებელი ადმინისტრაცია ეყოლება... იქ არიან მწერალთა ჯგუფები, რომლებიც ვერ თანხმდებიან. მათ უნდა მოილაპარაკონ. ეს ადამიანები ძალზე ავტორიტეტული ადამიანები არიან. მეორე მხარე, რომელიც ამბობს, რომ იქ კაბინეტები უნდა ჰქონდეთ, ეს ადამიანებიც მეტნაკლებად ცნობილნი არიან საზოგადოებისთვის, ზოგი მათგანი ძალიან ცნობილი და მოსაფრთხილებელია. ყველას შეთანხმებისკენ მოვუწოდებ.

- რაც შეეხება ფიზკულტურის ინსტიტუტს?

- ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება არ არის ისეთი ეფექტური, რომ მისი რაიმენაირად შეცვლა არ შეიძლებოდეს. მე ყველა დაინტერესებულ მხარეს შევხვდები. რაიმე ტიპის სპეციალური უმაღლესი სპორტული განათლების ინსტიტუცია უნდა არსებობდეს. შემიძლია, მაგალითისთვის, აშშ-ს პრაქტიკა მოვიყვანო, სადაც ყველა პოტენციურად ნიჭიერ, დამწყებ სპორტსმენს აქვს სერიოზული შეღავათები უნივერსიტეტში ჩაბარებისას. NBA-ს, ან პროფესიული ლიგის სუპერვარსკვლავები საუნივერსიტეტო გუნდებიდან მოდიან. ამიტომ, ჩემი აზრით, პრიორიტეტი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სპორტის აღორძინება, რომელიც ახლა სრულიად ჩამკვდარია. უნივერსიტეტის რექტორებთან ამ თემაზე ჯერ-ჯერობით არ მილაპარაკია, მაგრამ ვაპირებ.

- "თავდაცვის ხაზი კულტურაზე გადის" – ეს სიტყვები პრეზიდენტმა თქვენი დანიშვნისას თქვა. ასევე საუბარია რუსეთში კულტურის დღეების ჩატარებაზე და საერთოდ, კულტურული ურთიერთობების აღდგენაზე...

- კულტურის სფეროში ზოგადად, არაფერი გვაქვს გასაყოფი. ჩვენ გვიყვარს რუსული კულტურა - ერთ-ერთი უცხოური მდიდარი ტრადიციების მქონე ფენომენი. ასევე გვიყვარს ევროპული კულტურა - ფრანგული, ესპანური. გვიყვარს აზერბაიჯანული კულტურაც, სომხურიც და ამერიკულიც. რუსული კულტურა არის მდიდარი და არა პრივილეგირებული. იმ შემთხვევაში, როდესაც კულტურა მომიზეზებულია პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად, ქვეყნის სუვერენიტეტისა და მისი უსაფრთხოებისთვის რისკის შექმნის იარაღად არის გამოყენებული, მაშინ მე ასეთ კულტურულ ურთიერთობაზე, რომელიც სინამდვილეში არაფერია, თუ არა საბოტაჟის იარაღი - უარს ვიტყოდი.

> **გასატანი მართლაც ბევრი გვაქვს და არაადეკვატურად ბევრი ჩვენი პატარა ქვეყნისთვის. საქართველოს სახელს ბევრ ადგილზე შეუძლია გაბრწყინება, თუ ამას თანამედროვე ხერხებით გავაკეთებთ.**

რუსეთმა, რა თქმა უნდა, უშედეგოდ აღმართა ხელი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. მან აღიარა ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. მან საელჩოები გახსნა, რაც სრულიად უპრეცედენტო ქმედებებია და ამ გადაწყვეტილების გამო იზოლაციაში აღმოჩნდა დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსგან. ასეთ მომენტში ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენ ამ ყველაფრის დავიწყებით, ინტენსიური კულტურული ურთიერთობების გაბმა შეგვიძლია. ჩვენ, რა თქმა უნდა, რუსეთიდან მივიღებთ კულტურის ყველა წარმომადგენელს, ვისაც საქართველოში ჩამოსვლა უნდა, მაგრამ ყველას შევახსენებთ ამ ფაქტებს, რეაგირებას და პოზიციის დაფიქსირებას მოვთხოვთ იმაზე, რასაც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს.

- ამ კრიზისის ფონზე, რაგორ იმყოფინებს ახალი მინისტრი ბიუჯეტს, როგორი იქნება მოთხოვნა?

- "ახალი მინისტრი" - რომელიმე ტომის ინდიელივით საკუთარ თავზე მესამე პირში ვერ ვილაპარაკებ. ამ საკითხზე დეტალურად ჯერ ვერაფერს გეტყვით. მე ყველა პრობლემას შევისწავლი. ამავე დარგის წარმომადგენლებთან ერთად ჩამოვაყალიბებთ გარკვეულ მიმართულებებსა და პოლიტიკას. ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შევეცდები რესურსების მოპოვებას რეალიზაციის განსახორციელებლად.

თავისთავად, თუ ხედვა არ გაქვს, რაც უნდა დიდი გქონდეს ბიუჯეტი, ეფექტური არ იქნება. რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ შეხვედრისას მითხრა - ჩვენ ნორმალური ბიუჯეტი გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს ინფრასტრუქტურა. თუ ინფრასტრუქტურა არ გვექნა, ბიუჯეტი არაფრის მომცემია, ფაქტობრივად, გადაგდებულია. ფული ხედვის გარეშე და ხედვა ფულის გარეშე, ერთი კომპონენტი მეორის გარეშე – შედეგს არ იძლევა. აქ საჭიროა კომპლექსური მიდგომა და ამიტომ, ჩემი აზრით, პროფესიული ხედვისა და გამოცდილების მქონე ადამიანებით დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭოებია აუცილებელი. ამ საბჭოებს საკონსულტაციო სახე ექნება, მაგრამ მათგან გამოცდილებაზე დაფუძნებული უნიკალური ინფორმაცია მოვა. ოპტიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ რესურსს, მაგრამ, ეს რესურსი დიდი არ იქნება, რადგან ეს არის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიღებული ომის შემდგომი ბიუჯეტი. მაგრამ, ამ ბიუჯეტს მაქსიმალურად ყაირათიანად და ეფექტურად დავხარჯავთ.

- შიგნით, სამინისტროში გრანდიოზული ცვლილებები იქნება?

- ვერ გეტყვით, რომ ვგეგმავ... დარწმუნებული ვარ, აქ კარგი საქმეების კეთება შემეძლება და იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფერში გამბედავი და ინოვაციური ვიქნები.

ბიზნესი

„თიბისი ბანკი" 2008 წლის შედეგებს აჯამებს

ნათია ყიფიანი

წლის ბოლოს "თიბისი ბანკმა" 2008 წლის შედეგები გამოაქვეყნა. მსოფლიო ფინანსური კრიზისის და აგვისტოში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, "თიბისი ბანკის" ყველა ძირითადი მაჩვენებელი წლის დასაწყისთან შედარებით გაზრდილია და ბანკმა შეძლო აღედგინა ის ფინანსური მაჩვენებლები, რაც აგვისტოს მოვლენებამდე გააჩნდა.

2008 წლის ბანკის ფინანსური შედეგები ასე გამოიყურება: "თიბისი ბანკის" აქტივები 230 მილიონი ლარით, ანუ 15%-ით არის გაზრდილი, მთლიანი დეპოზიტების პორტფელი 34 მილიონი ლარით, ანუ 5%-ით გაიზარდა. საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 319 მილიონი ლარით, ანუ 30%-ით, მოგება დარეზერვებამდე 46%-ით არის გაზრდილი. 2008 წლის განმავლობაში "თიბისი ბანკმა" 23 ახალი ფილიალი გახსნა, ასევე 3 ახალი სერვისცენტრი და მთელი საქართველოს მასშტაბით 80 ახალი ბანკომატი დადგა.

რაც შეეხება უცხოური ბაზრებიდან მოზიდულ რესურსებს, 2008 წლის განმავლობაში "თიბისი ბანკმა" მოიზიდა 206 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ფინანსური რესურსი, კერძოდ: DEG 10.000.000, FMO Mortgage 15.000.000, Merrill Lynch 100.000.000, RoseMount 16.500.500, OTP 10.000.000, Banco Internacional 3.000.000, EBRD 7.500.000, OPIC/CITI 44.000.000. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული რესურსებიდან, "თიბისი ბანკს" 2009 წლის 1 ნახევარში უწევს დაახლოებით 100 მილიონი დოლარის დაფარვა. პარალელურად, 2009 წლის იანვარ-თებერვალში ბანკის მიერ 220 მილიონი დოლარის მოზიდვა მოხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ვალდებულებების გასტუმრება ბანკის ლიკვიდურობას არავითარ პრობლემას არ შეუქმნის.

2008 წელს "თიბისი ბანკმა" 10-მდე ახალი პროდუქტი დანერგა. ბანკის მიერ განხორციელებული საქველმოქმედო და მეცენატური პროექტების ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 1 მილიონ ლარს, რომელიც შემდეგი მიმართულებით დაიხარჯა: ისტორიული ძეგლების და ეკლესია-მონასტრების რესტავრაცია 28%-ი, სოციალური პროგრამები და ერთჯერადი დახმარებები 16%-ი, კულტურის, ხელოვნების, სპორტის დაფინანსება 41%-ი, ხელმოკლე ახალგაზრდების განათლების დაფინანსება 15%. გარდა ამისა, აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულთა დახმარების მიზნით, "თიბისი ბანკმა" 5 მილიონი ლარი გამოყო და "თიბისი ფონდი" დააფუძნა. უკვე დაწყებულია "თიბისი ფონდის" ორი მასშტაბური პროექტის განხორციელება.

აგვისტოში "თიბისი ბანკის" ანაბრების პორტფელი 11%-ით შემცირდა; მთლიანად ბაზრებზე ეს მაჩვენებელი შემცირდა 13%-ით, ანუ "თიბისი ბანკს" ეს ტენდენცია შედარებით ნაკლებად შეეხო. სექტემბრიდან დაიწყო ანაბრების უკან დაბრუნების პროცესი – დღეს "თიბისი ბანკის" ფიზიკური პირების დეპოზიტების პორტფელი თითქმის გაუთანაბრდა 31 ივლისის მაჩვენებელს. აგვისტოს თვეში "თიბისი ბანკმა" შეაჩერა სესხების გაცემა, სექტემბერ-ოქტომბერში სესხები შეზღუდვით გაიცემოდა, ხოლო ნოემბერში ბანკის საკრედიტო პორტფელი 126 მლნ ლარით გაიზარდა. ბანკის ანტიკრიზისული სტრატეგია გულისხმობს: "თიბისი ბანკმა," ბაზარზე გაზრდილი რისკების გათვალისწინებით, გაამკაცრა დაკრედიტების პოლიტიკა. შეზღუდვები შეეხო როგორც სამომხმარებლო და იპოთეკურ, ისე ბიზნესსესხებს. ამავდროულად, ბანკმა გაითვალისწინა კლიენტების წინაშე მდგარი პრობლემები და იმ მსესხებლისთვის, რომელთა ბიზნესი სიცოცხლისუნარიანია შეცვლილ გარემოში, განხორციელდა სესხების რესტრუქტურიზაციები (გადავადება). "თიბისი ბანკის" სტრატეგია მიმართულია კომპანიის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისაკენ, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ხარჯების დაზოგვას გულისხმობს. ამ მიმართულებით ბანკში საკმაოდ მძიმე რეორგანიზაცია განხორციელდა.

2009 წელს "თიბისი ბანკი" აქტივების 10%-ით გაზრდას გეგმავს, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების პორტფელი გაიზრდება 70 მილიონი ლარით (15%). დეპოზიტების პორტფელი - 100 მილიონი ლარით (10.5%) 2009 წლის ბოლოს ბანკის წმინდა მოგება იქნება 40 მლნ ლარი.

"თიბისი ბანკის" პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე: "კრიზისის დაწყებისთანავე დავიწყეთ მუშაობა, არ დაველოდეთ მოვლენების შემდგომ განვითარებას, ყველა პროგნოზი სწორად გავთვალეთ და ვიცოდით, რომ მომავალი თვეები რთული იქნებოდა. ასევე რთული იქნება 2009 წელი. ჩვენ ყველა წინასწარი ნაბიჯი გადავდგით. მაქსიმალურად შევამცირეთ ხარჯები და მეტი თავისუფლებით შევხვდებით 2009 წელს. მსოფლიო კრიზისის ფონზე, ჩვენ აქცენტი გაკეთებული გვაქვს კომერციული სესხების მოზიდვაზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. საკრედიტო საქმიანობის გამარტივებას 2009 წლის მეორე კვარტლიდან დავიწყებთ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული თანხები მიმართული იქნება ფიზიკური პირების ფინანსირებაზე."

"ასეთ რთულ ვითარებაში "თიბისი ბანკმა" ძალიან კარგად იმუშავა და წარმატებით გაართვა თავი ყველა იმ ამოცანას და წინააღმდეგობას, რომელიც ბაზარმა მოგვიტანა. ეს იყო ომის შემდგომი პერიოდი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ბანკი არის კარგ ფორმაში და 2009 წელს საკმაოდ მობილიზებულები და დიდი იმედებით ვხვდებით. შესაძლებელია, ეკონომიკური კრიზისი მთელი 2009 წლის განმავლობაში გაგრძელდეს და ამიტომ ჩვენ 10-დან 15%-იან ზრდას ვგეგმავთ. ეკონომიკური კირზისი არ გვაშინებს," – აღნიშნავს "თიბისი ჯგუფის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიება თაღლითობის მუხლით

კარდენახის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების ორგანიზატორი, საზოგადოება "გზა უფლისაკენ" ხელმძღვანელი ოთარ ხონელი ამტკიცებს, რომ ხატი, რომელიც რესტავრაციისას აღმოჩნდა, ფრაგმენტების სახით, გურჯაანის პოლიციას წარუდგინა. ხატის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა იოსებ მღვდლიაშვილმა ცოტა ხნის წინ გაავრცელა. მანვე განცხადებით მიმართა შს გურჯაანის სამმართველოს და ხატის დაკარგვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ღვთისმშობლის მე-7 საუკუნის ხატი 200 ათას ლარად გაიყიდა და ის საზღვარგარეთ იყო გატანილი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება თაღლითობის მუხლით დაიწყო. გამომძიებელმა მარინა ფოცხვერაშვილმა უკვე დაკითხა ოთარ ხონელიც და არქიტექტორი ნოდარ მინდორაშვილიც. ხონელი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ სახლი, სადაც ცხოვრობდა, დაეწვა და ხანძრის შედეგად ხატიც დაზიანდა. ამიტომაც, მან გამოძიებას ხატის ფრაგმენტები წარუდგინა.

სპეციალისტების განცხადებით კი ხონელის მიერ გამოძიებისთვის წარდგენილი ხატი სხვაა და ის არ არის, რომელიც კარდენახში ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოჩნდა. ისტორიკოს თამაზ მარკოზაშვილის თქმით, თვითმხილველებმა მას აცნობეს, რომ ხატი შესრულებული იყო ვერცხლზე და ხანძრის შედეგად ის არ უნდა დამწვარიყო. ხატი რომ ვერცხლზე იყო შესრულებული, ამას ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ მობილური ტელეფონით გადაღებული ფოტოც ადასტურებს.

მედიანიუსი

ამკაცრებული წესები მეტროპოლიტენში

მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევის გამო მგზავრებს, შესაძლოა, ჯარიმა დაუწესდეს. დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა ლაშა თორდიამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შესახებ ისაუბრა და განმარტა, რომ თუ პარლამენტი ინიცირებულ კანონპროექტს დაამტკიცებს, მეტროპოლიტენის გასასვლელ საკონტროლო პუნქტებში სუროგატების ან გადახდისუუნარო მონეტების ჩაშვება 15 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს, მეტროპოლიტენით ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო გაზის بالونების გატანა - 40 ლარის ოდენობით დაჯარიმებას, ხოლო მეტროპოლიტენის სადგურის ვესტიბიულის, გადასასვლელების, ბაქნების, ვაგონის სალონის, ესკალატორისა და ლიანდაგის დანაგვიანება-გაჭუჭყიანება, აგრეთვე მეტროპოლიტენის სადგურებსა და ვაგონებში თამბაქოს მოწევა - 20 ლარის ოდენობით დაჯარიმებას ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ დაჯარიმებული პირი არ გადაიხდის დარიცხულ ჯარიმას, 30 დღის გასვლის შემდეგ მას დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, რომელიც საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს. ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, პირი დაისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პირველი

ფრანგული ენის კურსები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორებისთვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სამი ლექტორი, საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით, დიუმას ცენტრში გადამზადებას გაივლის.

სასწავლო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნატო გუგავას ინფორმაციით, ფრანგული ენის კურსის დასრულების შემდეგ ლექტორები საფრანგეთის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის სკოლაში გაემგზავრებიან, სადაც გამოცდილებას გაიღრმავებენ. დიუმას ცენტრში გადამზადებისათვის შეირჩნენ ის ლექტორები, რომელთაც ფრანგულის საბაზისო ცოდნა აქვთ. ორი ქვეყნის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ლექტორების გადამზადებასთან ერთად, ფრანგი კოლეგები ქართველებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის გადამზადებაშიც დაეხმარებიან.

ჯი-ეიჩ-ენი

უზენაეს სასამართლოში სტაჟიორები დასაქმდნენ

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი სასამართლოში სტაჟირებაგავლილ იურისტებს შეხვდა და მათ სერთიფიკატები გადასცა.

შეხვედრა სტაჟირებაგავლილ იურისტებთან.

სტაჟირების პროცესი უზენაეს სასამართლოში 2007 წლიდან ტარდება. სასამართლო წინასწარ განსაზღვრავს იმ კონტინგენტს, რომელიც, სტაჟიორად ჩარიცხვის შემთხვევაში, რეალურად შეძლებს სასამართლოში პრაქტიკული ცოდნის მიღებას.

"უზენაეს სასამართლოში სტაჟირება ყოველთვის ხორციელდებოდა, მაგრამ 2007 წლიდან ის უფრო ორგანიზებულად და მიზანმიმართულად ტარდება. ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური დებულება სტაჟიორების მიღებასა და საქმიანობასთან დაკავშირებით. სასამართლო წინასწარ განსაზრვრავს იმ კონტინგენტს, რომელიც სტაჟიორად ჩარიცხვის შემთხვევაში რეალურად შეძლებს სასამართლოში პრაქტიკული ცოდნის მიღებას", - განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

უზენაეს სასამართლოში სტაჟირების სრული კურსი ერთ წელს ითვალისწინებს. სასამართლოში მუშაობის 6 თვის თავზე, კურსი თავად სტაჟიორის სურვილის შემთხვევაში ერთ წლამდე გრძელდება.

სტაჟიორებისთვის კურსის გავლის დამადასტურებელი სპეციალური სერთიფიკატების გადაცემა წელს პირველად განხორციელდა.

აღნიშნული სერთიფიკატები სხვადასხვა უწყებებსა თუ დაწესებულებებში მუშაობის დაწყების მსურველი იურისტებისთვის მნიშვნელოვანი "რეკომენდაციის" საფუძველიც შეიძლება გახდეს. ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ 41 მათგანმა გაირა სტაჟირება და 19-მა სტაჟიორმა უკვე დაიწყო მუშაობა, როგორც სასამართლოში, ასევე სხვადასხვა სამართალდამცველ სტრუქტურასა და კერძო კომპანიებში.

"აღნიშნული სერთიფიკატები სხვადასხვა უწყებებსა და დაწესებულებებში მუშაობის დაწყების მსურველი იურისტებისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეიძლება გახდეს," - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

შეხვედრის დასასრულს, უზენაესი სასამართლოს სახელით, ყოფილ სტაჟიორებს საჩუქრად იურიდიული შინაარსის ლიტერატურა გადაეცათ.

ახალგაზრდა იურისტების წახალისებას და მათთვის პრაქტიკული სამუშაოს შეთავაზებას უზენაესი სასამართლო მომავალშიც გააგრძელებს. სასამართლოში უკვე გამოცხადებულია სტაჟიორთა ახალი ნაკადის მიღება. მსურველებს დაწვრილებითი ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდის მეშვეობით შეუძლიათ მიიღონ.

მკვლელობაში ბრალდებული ჰოლკოვნიკი ვადამდე ადრე თავისუფლდება

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, რუსული არმიის პოლკოვნიკი იური ბუდანოვი სააახლწლოდ ციხიდან გათავისუფლდება, შესაძლოა, ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყების მიზეზი გახდეს. საქმე ისაა, რომ იური ბუდანოვი 18 წლის ჩეჩენი გოგონას მკვლელობისთვის არის გასამართლებული და ის სასჯელისგან ვადამდე ადრე თავისუფლდება. ეს საახალწლო საჩუქარი პოლკოვნიკს ულიანოვსკის ოლქის სასამართლომ მიუძღვნა. სასამართლომ ჩათვალა, რომ პოლკოვნიკმა ჩადენილი დანაშაული გულწრფელად მოინანია და პატიმრის თხოვნა ვადამდე ადრე გათავისუფლების თაობაზე დაკმაყოფილა. პოლკოვნიკის მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ ჩეჩნეთში უკვე დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

ბუდანოვი ციხეს ვადამდე ადრე. 2009 წლის 11 იანვარს დატოვებს.

ვადამდე ადრე გათავისუფლების მოთხოვნით, ბუდანოვმა სასამართლოს ამჯერად უკვე მეხუთედ მიმართა. ბოლოს მას ეს თხოვნა ჯერ კიდევ ორი თვის წინ არ დაუკმაყოფილეს. "მისი მონანიება არაგულწრფელია," – ამ მოტივით ბუდანოვს ვადამდე ადრე გათავისულებაზე ოთხჯერ უთხრეს უარი.

პროკურატურამ ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლების საფუძვლად ამჯერად მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება, დანაშაულის მონანიება და გამოძიებასთან თანამშრომლობა დაასახელა. გარდა ამისა, გათავისუფლების საფუძვლად მსჯავრდებულის მშობლების მდგომარეობაც დასახელდა. სასამართლოს ინფორმაციით, მსჯავრდებულს მძიმედ დაავადებული დედ-მამა ჰყავს, რომლებიც დღე-დღეზე გამოესალმებიან სიცოცხლეს.

1998 წლიდან 2000 წლამდე, ჩეჩნეთის ომის დროს, იური ბუდანოვი სატანკო პოლკს მეთაურობდა. პოლკოვნიკის წოდება მან 2000 წელს მიიღო. სწორედ ამ დროს ჩაიდინა მან დანაშაული. 2000 წლის 27 მარტს ის ჩეჩნეთში, ტანგი-ჩუს დასახლებაში, ერთ-ერთ ოჯახში შეიჭრა, საიდანაც 18 წლის ელზა კუნგაევა გაიტაცა. გატაცებული გოგონა პოლკოვნიკმა სამხედრო ნაწილში წაიყვანა და მისგან ჩეჩენი სნაიპერების თაობაზე ინფორმაცია მოითხოვა.

დაკითხვის დროს პოლკოვნიკმა გოგონა სასტიკად სცემა, ბოლოს კი გაგუდა. მოკლული ახალგაზრდას ცხედარი ბუდანოვმა სამხედრო ნაწილთან ახლოს ჩამარხა, თუმცა მეორე დილას განცხადება დაწერა და ჩადენილი დანაშაული დეტალურად აღწერა. ის მკვლელობიდან მეორე დღეს დაიკავეს.

მომხდარის თაობაზე მაშინვე საქმის კურსში ჩააყენეს რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. "არმიის კოლექტივიდან ფესვიანად ამოსაძირკვია ისეთი ნაძირალა, როგორიც იური ბუდანოვია," – განუცხადა ვლადიმერ პუტინს გენშტაბის ხელმძღვანელმა ანატოლი კვაშნინმა.

სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, 2002 წლის დეკემბერში, მსჯავრდებული ბუდანოვი შეურაცხადად გამოცხადდა და ის სასამართლომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა, რამაც, როგორც ჩეჩნების, ასევე რუსეთის გარკვეული წრეების აღშფოთება გამოიწვია.

ამის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სასწრაფოდ შეცვალა და შეურაცხადად გამოცხადებული პოლკოვნიკი ახლიდან დაადანაშაულა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, ადამიანის გატაცებასა და განზრახ მკვლელობაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბუდანოვს ჩამოერთვა პოკოვნიკის წოდება. ასევე ჩამოერთვა "სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის" მიღებული მედლები. ბუდანოვი ციხეში დააბრუნეს. ციხეში დაბრუნებულმა კი, ცოტა ხანში შეწყალებაზე დაწერა განცხადება. ეს სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც ჩეჩნეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა რამზან კადიროვმა ტელევიზიით განაცხადა, რომ მოძებნიდა შესაძლებლობას და ბუდანოვს ჩადენილი დანაშაულისთვის გაუსწორდებოდა.

"ბუდანოვის საქმე" ჩეჩნეთისთვის წლების განმავლობაში "წითელ ლაქად" ითვლებოდა, ამიტომაც, მის ხელახლა გათავისულებლებას რუსული მართლმსაჯულება ვერ ბედავდა. "ბუდანოვმა ახალგაზრდა გოგონას მკვლელობით ერთხელ უკვე იგრძნო სისხლის სუნი, თავისუფლებაში მყოფს, ასეთი დანაშაულის ჩადენის სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრდება," – აცხადებდნენ ჩეჩენი ადამიანის უფლებათა დამცველები, რომლებიც ბუდანოვის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებზე საუბრობდნენ და მტკიცებულებების შეგროვებით იყვნენ დაკავებულიები, რათა ბუდანოვის კიდევ ერთხელ გათავისუფლების შემთხვევაში, მისი ციხეში დაბრუნების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

რა მტკიცებულებები არსებობს იური ბუდანოვის სხვა დანაშაულების შესახებ, უცნობია. ფაქტი კი ის არის, რომ ბუდანოვი ციხეს ვადამდე ადრე, 2009 წლის 11 იანვარს დატოვებს.

ერეკლეს ბიბლიოთეკა

ბარაკ ობამას საგარეო-პოლიტიკური გუნდი

AFP © 2008

ბარაკ ობამამ თავისი საგარეო-პოლიტიკური გუნდის ფორმირება დაასრულა.

შეერთებული შტატების მომავალმა პრეზიდენტმა, "დემოკრატმა" ბარაკ ობამამ სახელმწიფო დეპარტამენტსა და ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოში მმართველ თანამდებობებზე სასურველი კანდიდატების დანიშვნით თავისი საგარეო-პოლიტიკური გუნდის ფორმირება დაასრულა. ქვეყნის სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილეებად ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მაღალი ჩინის მქონენი - ჯეიმს სტეინბერგი და ჯეიკობ ლიუ დაინიშნენ.

კლინტონის ადმინისტრაციის კიდევ ორი ყოფილი თანამშრომელი - ტომ დონილონი და ენტონი ბლინკენი ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწეების თანამდებობებს დაიკავებენ.

სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კი ბარაკ ობამამ საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილ მეტოქესა და ამერიკის ყოფილ პირველ ლედის ჰილარი კლინტონს ანდო.

ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ბარაკ ობამას თანაშემწე ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გადამდგარი გენერალი ჯეიმს ჯონსი გახდება.

"დემოკრატი" პრეზიდენტი თავის ერთ-ერთ მთავარ მრჩეველს საგარეო პოლიტიკაში სიუზან რაისს გაერო-ში შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე წარადგენს.

"გუნდი, რომლის ფორმირებაც დავასრულეთ, საუკეთესოა ამჟამინდელი მსოფლიო გამოწვევების წინააღმდეგ სამუშაოდ," – განაცხადა ბარაკ ობამამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის რანგში ფიცს მომავალი წლის 20 იანვარს დადებს.

"ძველ სახეებს" მომავალი დემოკრატიული ადმინისტრაციის "ძალოვან ბლოკშიც" ვიხილავთ. შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ხელმძღვანელობის ყოფილი მეთაური, გადამდგარი ადმირალი დენის ბლერი ნაციონალური დაზვერვის დირექტორის რანგში უხელმძღვანელებს ქვეყნის 16 სპეცსამსახურს. თავდაცვის მდივნის პოსტზე დარჩენას დათანხმდა რობერტ გეითსიც, რომელიც ამ თანამდებობაზე ჯორჯ ბუშის მეორე ვადით პრეზიდენტობისას დაინიშნა.

„მწვანე შუქი" ისრაელის არმიისთვის

ხათუნა გაბიევი

ისრაელის მთავრობა დიდი სჯაბაასის შემდეგ მივიდა გადაწყვეტილებამდე, 24 დეკემბერს ღაზას სექტორში მსხვილმასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატაროს, ცხადია იმ შემთხვევაში, თუ "ჰამასი" ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით სარაკეტო-ნაღმსატყორცნი ჭურვებით იერიშებს არ შეწყვეტს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მასმედიას ოფიციალურად ეკრძალება სხდომის დეტალების შესახებ პუბლიკაციების გამოქვეყნება.

ისრაელის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, 24 დეკემბერს, დაახლოებით, 80 რაკეტა და ნაღმსატყორცნი ჭურვი აფეთქდა, რომლებიც ღაზას სექტორიდან იყო ნასროლი. შოკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად სასწრაფო სამედიცინო ჩარევა, დაახლოებით, 50 ადამიანს, ძირითადად, ქალებსა და ბავშვებს დასჭირდათ.

საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია "The Israel Project"-ის მონაცემებით, გასული 5 დღის მანძილზე, როცა ისრაელსა და პალესტინას შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ვადა ამოიწურა, ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით 100-ზე მეტი იერიში განხორციელდა.

მთელი წლის მანძილზე კი სამხრეთ ნეგევას რაიონში მშვიდობიანი ისრაელელი მოსახლეობის წინააღმდეგ 3000-ზე მეტი რაკეტა და ნაღმსატყორცნი ჭურვია ნასროლი. დაღუპულია 4, ხოლო დაჭრილია 270-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე.

იმ შემთხვევაში, თუ ისრაელის ხელისუფლება ღაზას სექტორში საწვავისა და საწარმოო პროდუქციის შესატანად 25 დეკემბრისთვის საზღვარზე საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს არ გახსნიდა, პალესტინელები "იერიშის რადიუსის" გაფართოებით დაიმუქრნენ. მუქარის მიუხედავად, ისრაელის თავდაცვის სამინისტრო სრული ბლოკადის რეჟიმს არ ცვლის. ისრაელის თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ საგუშაგოები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიხსნება, თუ ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით იერიში სრულიად შეწყდება.

ხუთშაბათს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციპი ლივნიმ კაიროში ეგვიპტის პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქთან გამართა მოლაპარაკებები. როგორც შეხვედრამდე მასმედიისთვის გახდა ცნობილი, ეგვიპტელი ლიდერი შეეცდებოდა "კადიმას" თავმჯდომარის დარწმუნებას, რათა იგი პალესტინელებთან დათმობებზე წასულიყო ანუ ღაზას სექტორში საქონლისა და ჰუმანიტარული ტვირთის შესატანად სასაზღვრო პუნქტები გაეხსნა, რითიც ავტომატურად შესრულდებოდა "თაჰდიის" (მშვიდობის) აღსადგენად "ჰამასის" პირობა.

პალესტინელი ბოევიკების ლიდერები კი აცხადებენ, რომ მათ არ ეშინიათ ისრაელის არმიის ოპერაციის და მზად არიან საპასუხო ზომებისთვის. "მშვიდობის" ნახევარწლიანი პერიოდის განმავლობაში "ჰამასის", "ისლამური ჯიჰადის", "სახალხო წინააღმდეგობის კომიტეტებისა" და სხვა დაჯგუფებების ბოევიკებმა რაკეტებისა და სხვა ტიპის შეიარაღების მარაგი საკმაოდ შეივსეს. ბოევიკთა ლიდერების მტკიცებით, ღაზას სექტორში მიწისქვეშა სიმაგრეებისა და კომუნიკაციების ისეთი სისტემა შეიქმნა, როგორიც "ჰეზბოლას" მეორე ლიბანური ომის დროს ჰქონდა. ამ ინფორმაციას ისრაელის სპეცსამსახურებიც ადასტურებენ. ამასთან, რადიკალები ისრაელის ტერიტორიაზე თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით ტერაქტების განახლებითაც იმუქრებიან.

პე-ეს-პე ჯგუფის საბავშვო გამოფენა - "ჩემი ოჯახი"

პე-ეს-პე ჯგუფმა საბავშვო სამხატვრო კონკურსის გამარჯვებული გამოავლინა

ეკა ბიკვაიძე

პე-ეს-პე ჯგუფის ინიციატივით ახალი პროექტი განხორციელდა. საბავშვო ხატვის კონკურსი თემაზე - „ჩემი ოჯახი", დაახლოებით ერთი თვის წინ გამოცხადდა და მასში თბილისის ყველა სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. კონკურსში მონაწილე ყველა ბავშვის ნახატი სამხატვრო აკადემიას გადაეგზავნა, სადაც სამხატვრო აკადემიის ლექტორებისგან შემდგარმა ჟიურიმ 200საუკეთესო ნამუშევარი გამოფენისთვის შეარჩია.

განათლების სამინისტროსა და პე-ეს-პე ჯგუფის მიერ ორგანიზებული კონკურსში შერჩეული ნამუშევრების საბავშვო გამოფენა 23 დეკემბერს, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიმართა, სადაც წარმოდგენილი 200 ნახატიდან, სამხატვრო აკადემიის რექტორმა და პე-ეს-პე ჯგუფის წარმომადგენლობა 5 საუკეთესო ნამუშევარი დაასახელეს. გამარჯვებული ნახატები ქალაქში მდებარე პე-ეს-პე-ს ბილბორდებზე გამოიფინება. კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ: მაგდა რუხაძე (67-ე საშუალო სკოლა), ბარბარე პატარასძე (პირველი საჯარო სკოლა), მარი ფარსიმაშვილი (171-ე საშუალო სკოლა), სანდრო სანაკოსვილი (156-ე სკოლა) და კარინა კარამიანი (131-ე საშუალო სკოლა). საუკეთესო ნამუშევრების გამოვლენისას, ჟიურიმ ნამუშევრის კომპოზიციური მთლიანობა და ფერის ინტენსივობა გაითვალისწინა, რომლის საშუალებითაც ბილბორზე გამოსახული ნახატი აღქმის საშუალებას უკეთ იძლევა. გამარჯვებული ნახატების ავტორები პე-ეს-პე ჯგუფმა სახატავი ნაკრებებით, ალბომებითა და სხვა საჩუქრებით დააჯილდოვა, სახატავი ნაკრები მიიღო ასევე, გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატების ყველა პატარა მხატვარმა . „ ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენმა ინიციატივამ, ასეთი დაინტერესება გამოიწვია ბავშვებში. მე ვპიქრობ, რომ ჩვენი პროექტი წარმატებული აღმოჩნდა, რომლის მსგავსი პროექტების განხორციელებას მომავალშიც ვაპირებთ და იმედი მაქვს, რომ ბავშვებიც ასეთივე ენთუზიაზმით ჩაერთვებიან ჩვენ მომავალ პროექტებში", -აღნიშნა პე-ეს-პეს წარმომადგენელმა მარიკა ლომთაძემ.

სამხატვროაკადემიის საგამოფენო დარბაზში გამართული საბავშვო გამოფენასთან დაკავშირებით, „ბასტი-ბუბუ-ს" სტუდიიდ ბავშვებთან ერთად, ჯგუფმა „მგზავრებმა" სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის დაწერილი ჰიმნი ჩაწერეს, ხოლო კონკურსის ორგანიზატორმა **Five Lines Prodaction**-მა ამ სიმღერაზე კლიპი გადაიღო. აღნიშნული კლიპის პრეზენტაცია გამოფენის გახსნაზე გაიმართა.

პე-ეს-პე ჯგუფის მიერ ორგანიზებული გამოფენა, სამხატვრო აკადემიაში ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინეას სამხედრო ხუნტა მართავს

24 საათიანი ულტიმატუმი მთავრობის წევრებსა და გენერლებს

გვინეელმა პუტჩისტებმა ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით გასცეს ბრძანება, რომ მთავრობის წევრები და გენერლები ოთხშაბათს საღამოდან, 24 საათის განმავლობაში, სამხედრო ბანაკში გამოცხადებულიყვნენ. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი ქვეყნის მასშტაბით წმენდის ჩატარებითა და გამოუცხადებელი პირების მიმართ სასტიკი ანგარიშსწორებით დაიმუქრნენ.

გვინეის პრეზიდენტ ლანსანა კონტეს გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში ქვეყანაში, ფაქტობრივად, სამხედრო გადატრიალება დაიწყო. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პარლამენტის სპიკერი აბუბაქარ სომპარე და პრემიერ-მინისტრი აჰმედ ტიდიანი, რომელთა ხელშიც უნდა გადასულიყო ძალაუფლება, დააპატიმრეს. იქამდე კი სამხედროების ჯგუფი მთავრობის წევრებსა და გენერალიტეტს, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მთავარ სამხედრო ბანაკში შეკრებას ურჩევდა.

სამხედრო ხუნტას სათავეში უდგას "დემოკრატიისა და განვითარების ეროვნული კომიტეტი", რომელსაც კაპიტანი მუსა დადი კამარა ხელმძღვანელობს. მასში 26 სამხედრო შედის, მათ შორის - ერთი გენერალი, ცხრა პოლკოვნიკი და ვიცე-პოლკოვნიკი და ექვსი სამოქალაქო პირი. კომიტეტმა სამინისტროების დეპარტამენტების ხელმძღვანელებს თავიანთი უწყებების მუშაობის უზრუნველყოფა სთხოვა იქამდე, ვიდრე ახალი მთავრობა არ ჩამოყალიბდება.

მუსა დადი კამარამ მთავრობის წევრებსა და გენერალიტეტს 24 საათიანი ულტიმატუმი წაუყენა.

თავის პირველ პრესკონფერენციაზე მუსა დადი კამარამ განაცხადა: **"დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მე – "დემოკრატიისა და განვითარების ეროვნული კომიტეტის" ხელმძღვანელი – გახლავართ ქვეყნის პრეზიდენტი."** მისი თქმით, "ჯერჯერობით მთავრობის არც ერთი წევრი დაპატიმრებული არ არის, რადგან ისინი თავიანთ სახლებში არ აღმოჩნდნენ". როგორც გვინეის მთავრობა აცხადებს, სამხედრო-მოსამსახურეების უმრავლესობა პუტჩისტებს მხარს არ უჭერს.

ოთხშაბათს სამხედრო ხუნტამ მის მიერ კონტროლირებად რადიოსადგურზე განაცხადა, რომ 2010 წელს "თავისუფალი და გამჭვირვალე" არჩევნების ჩატარებას აპირებს. პუტჩისტების თქმით, მთავრობის ერთგული ზოგიერთი გენერალი "მეზობელი ქვეყნებიდან დაქირავებული მებრძოლების შემოყვანას გეგმავს."

აჯანყებულებმა პირობა დადეს, რომ პარასკევამდე კომენდატის საათს არ შემოიღებდნენ, რათა მოსახლეობისთვის შობის აღნიშვნის საშუალება მიეცათ.

აფრიკულმა კავშირმა პუტჩისტების ქმედებები დაგმო და განაცხადა, რომ ქვეყანაში აუცილებელია კანონიერი ხელისუფლების აღიარება. ოფიციალური პარიზის განცხადებით კი, საფრანგეთი თავის ყოფილ კოლონიაში სახელმწიფო გადატრიალების ნებისმიერ მცდელობას წინ აღუდგება.

უკრაინა რუსეთთან საზღვრის ცალმხრივ დემარკაციას აპირებს



ვლადიმირ ოგრიზკო.

[illegible] საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადიმირ ოგრიზკომ განაცხადა, რომ უკრაინას შეუძლია, ცალმხრივად დაიწყოს რუსეთთან საზღვრის დემარკაცია. ოგრიზკოს თქმით, უკრაინა უკვე შეუდგა ევროკავშირთან მოლაპარაკებებს უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი მთავარი პირობა უკრაინის საზღვარზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა გახლავთ. **"შესაბამისად, ჩვენ იძულებულნი ვართ, გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ევროკავშირთან მოლაპარაკებები ჩვენ მიერ განსაზღვრული ტემპებით წარიმართოს,"** – განაცხადა ოგრიზკომ.

აღსანიშნავია, რომ თითქმის წელიწადნახევრის მანძილზე სადემარკაციო კომისიის მუშაობის დაწყების საკითხი მოუგვარებელი რჩება, თუმცა, იმავდროულად, ჩატარებულია უკრაინა-რუსეთის საზღვრის დელიმიტაციის პროცესი და ყველა საჭირო დოკუმენტიც მომზადებულია.

მინისტრის თქმით, პრობლემას ქმნის ის, რომ რუსეთში შიდასახელმწიფოებრივ დონეზე უფრო რთულად მიმდინარეობს შეთანხმების პროცესი დოკუმენტზე, რომელიც ქაღალდის ერთ ფურცელზე ეტევა.

რუსეთსა და უკრაინას შორის შავი და აზოვის ზღვებისა და ქერჩის სრუტის გაყოფის შესახებ მოლაპარაკებები დიდი ხანია, მიმდინარეობს. კერძოდ, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას აზოვის ზღვაში შუა ზოლის გავლებაზე.

2003 წლის დეკემბერში რუსეთმა და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას აზოვის ზღვისა და ქერჩის სრუტის გამოყენებისას თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც დადგენილია, რომ ზღვის აკვატორია შიდა წყლებად განიხილება.

შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი მოლაპარაკებები ქერჩის სრუტეში საზღვრის დელიმიტაციაზე. რუსეთი სთავაზობდა აზოვის ზღვის ერთობლივ გამოყენებას სასაზღვრო ზოლის გაუვლებლად, ყოფილი საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან საბჭოთა რესპუბლიკებს შორის შიდა წყლები განსაზღვრული არ ყოფილა. უკრაინული მხარე მოითხოვდა, რომ საზღვრის ზოლი საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ზუსტად შუაში გავლებულიყო, რაც, თავის მხრივ, რუკებზეც აღინიშნებოდა.

როგორც უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო აცხადებდა, ეს გახლდათ ერთადერთი ადგილი, სადაც არსებობდა ადმინისტრაციული საზღვრის გაგება და საბჭოთა კავშირის რუკაზეც ქერჩის სრუტე ყოველთვის აღნიშნული იყო, როგორც ადმინისტაციული საზღვარი რუსეთსა და უკრაინას შორის. უკრაინული მხარე მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გასწვრივ შესაძლებელია დელიმიტაციის ჩატარება და ეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს პასუხობს.

ქართული
ბიბლიოთეკა

რევიუ

"მედიატორი" "ოსკარის" რიგში

ამერიკის კინოაკადემიამ უცხოენოვანი ფილმების შერჩევა გაამკაცრა

ია ვეკუა

"ოსკარის" ჯილდოს არსებობის განმავლობაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც კინოაკადემიის წევრთა გადაწყვეტილება მიკერძოებულად და უსამართლოდ მიუჩნევიათ. ამ მხრივ ყველაზე მეტი საყვედური უცხოენოვანი ფილმების ნომინაციის მისამართით ისმის, რადგან პრესა და მაყურებელი მიიჩნევს, რომ აკადემია ფილმს მისი მწარმოებელი ქვეყნის მიმართ ამერიკის ინტერესისა თუ სიმპატიის მიხედვით არჩევს. სწორედ ამ ჭორების გაქარწყლების მიზნით ამერიკის კინოაკადემიამ უცხოენოვანი ფილმების ნომინაციის წესების შეცვლა და გამკაცრება განიზრახა - ამიერიდან ფილმებს არა 30, არამედ ორმოცდაათამდე კინოაკადემიკოსი შეარჩევს. ფილმების რაოდენობა კი ცხრიდან ექვსამდე შემცირდება, რასაც არააკადემიკოს კრიტიკოსთა ჯგუფი თავის სამ რჩეულს დაუმატებს - მათგან კი მხოლოდ ხუთი დარჩება. ახალი წესები ქართულ ფილმსაც შეეხება - დიტო ცინცაძის "მედიატორს", რომელიც "ოსკარის" ნომინაციაში მოხვედრას თვეზე მეტია ელის.

2008 წლის განმავლობაში ქართველმა მაყურებელმა სამი სამამულო წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი იხილა: ზაზა ურუშაძის "სამი", დიტო ცინცაძის "მედიატორი" და ძმები ჯაჭვლიანების "სვანი". ფილმი გადაიღო ნანა ჯორჯაძემაც (ჩვენება თბილისში ჯერ არ შემდგარა), თუმცა მისი "ცისარტყელას შემქმნელი" ალბათ ნაკლებად არის ქართული წარმოების, რადგან რამდენიმე ევროპული ქვეყნის კოპროდუქციაა. მიუხედავად ამისა, "სვანისა" და "მედიატორის" გარდა 2009 წლის "ოსკარზე" გასაგზავნად ჯორჯაძის ფილმიც იყო წარდგენილი. საბოლოოდ "მედიატორს" გაუმართლა, ურუშაძის "სამი სახლი" კი რატომღაც ამ კონტექსტში არავის გახსენებია. თუმცა ამ შემთხვევაში "ოსკარზე" წარსადგენი კომისიის (მის შემადგენლობაში ხუთი წევრია - რეჟისორები და მსახიობები) დადანაშაულება ნაკლებად ლოგიკურია, რადგან საკუთარი ფილმის პრომოუშენზე "სამი სახლის" მწარმოებლებს ალბათ თავადვე უნდა ეზრუნათ.

ასეა თუ ისე, წლევანდელი "ოსკარის" რიგში ცინცაძის 'მედიატორი" ჩააყენეს. რამდენად აქვს ფილმს ფინალში გასვლის შანსი, ამაზე დღეს ალბათ ყველა კინომოყვარული საუბრობს, რადგან მათი აზრი ამ ფილმთან მიმართებაში დიდი ხანია ორად გაიყო - ზოგისთვის თანამედროვე კინოენით მოთხრობილი და უაღრესად საინტერესო ნამუშევარია, დანარჩენებისთვის კი უბრალოდ კარგად გაპიარებული საშუალო ფილმი. სხვათა შორის, "მედიატორის" ნომინაციაში მოხვედრას ფილმის პროდიუსერი გუკა რჩეულიშვილიც სკეპტიკურად უყურებს, პრესკონფერენციაზე კი ფილმის ფინალში გასვლის შანსი ნახევარ პროცენტად შეაფასა.

კვლავ ახალ წესებს დავუბრუნდეთ. როგორც უცხოენოვანი ფილმების შერჩევის კომიტეტის ხელმძღვანელი მარკ ჯონსონი ამბობს, მის მისამართზე უკვე შემოსულია რამდენიმე საჩივარი, სადაც კომისიის წევრების მიკერძოებაზეა საუბარი: "ჩვენ გვდებენ ბრალს, რომ ფილმებს საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით ვირჩევთ და ბევრ ნამუშევარს საერთოდ უყურადღებოდ ვტოვებთ. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო საქმეში დამატებითი ძალების ჩართვა".

ცვლილებების შეტანისა და შერჩევის გამკაცრების გადაწყვეტილება აკადემიამ შარშან მიიღო, როდესაც აღმოჩნდა, რომ ფრანგული ანიმაციური შედევრი "პერსეპოლისი" და 2007 წლის რამდენიმე ფესტივალის ფავორიტი, კანის ფესტივალის გამარჯვებული რუმინული "4 თვე, 3 კვირა და 2 დღე" საერთოდ ვერ მოხვდა ნომინაციაში. შარშან ასევე დაიჩაგრა ებრაული "ორკესტრის ვიზიტი", რადგან ფილმის დიალოგების 50%-ზე მეტს ინგლისური ტექსტი შეადგენდა. წელს ეს შეზღუდვაც მოიხსნება.

უცხოენოვან ფილმებს "ოსკარზე" 1947 წლიდან წარადგენენ, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში ეს უფრო პატივისცემის ნიშნად გაცემული პრიზი იყო. სერიოზული ნომინაცია 1956 წლიდან დაწესდა, პირველი გამარჯვებული კი ფედერიკო ფელინის "გზა" იყო. ნომინაციის მთავარი წესი იმაში მდგომარეობს, რომ ნომინირებული ფილმი არ უნდა იყოს გადაღებული ამერიკაში, ხოლო დიალოგის უდიდეს ნაწილს არ შეადგენდეს ინგლისური. ყველაზე მეტი გამარჯვება "ოსკარზე" იტალიურ ფილმებს აქვთ მოპოვებული. იტალიას 12 ფილმით საფრანგეთი მოსდევს, შემდეგ კი ესპანეთია. შარშან ავსტრიულმა "ყალბი ფულის მჭრელებმა" გაიმარჯვა. ამ ფილმის ნახვა კი ჩვენს მაყურებელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შეეძლო.

რაც შეეხება "ოსკარის" ნომინაციაში ქართული ფილმის მოხვედრას, ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა - 1996 წელს, როდესაც ნანა ჯორჯაძის ფილმი "შეყვარებული კულინაკრის 1001 რეცეპტი" ფინალისტებს შორის აღმოჩნდა. მას კონკურენციას ნორვეგიული, ჩეხური, ფრანგული და რუსული ფილმები უწევდნენ, საბოლოოდ კი ჩეხურმა "კოლიამ" გაიმარჯვა.

შეძლებს თუ არა დიტო ცინცაძის "მედიატორი" "შეყვარებული კულინარის" წარმატების გამეორებას, ამის შესახებ მომავალი წლის 22 იანვარს გავიგებთ - "ოსკარის" ნომინანტებს სწორედ ამ დღეს გამოაცხადებენ.

"სახლი სიხარულისა", ანუ ერაფვერი რჩება დაფარული

მზეხა მახარაძე

კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის პრემიერა, რომელიც არის ფილმი ფილმზე და რომლის კადრებიც "ქეთო და კოტეს" სიუჟეტს მიჰყვება... ლეგენდარული "ქეთო და კოტე" უკვე 60 წლისაა... ახალი აღმოჩენაა კინოშედევრის ორი, ანუ რუსული და ქართული ვერსია. ფირის აღდგენა მოსკოვში მიმდინარეობდა, შემდეგი ეტაპი 1947 წლის ძველი ფირის ციფრულ მატარებელზე გადატანა იყო...

"ეს ამბავი, ისეთივე მიხვეულ-მოხვეულია, როგორც ჩვენი თბილისის ქუჩები... ეს ამბავი რომ გაიგო, ამის წინა ამბავი უნდა იცოდე, ის ამბავი რომ მოყვე, წინა ისტორიაა კიდევ საჭირო..." ძველი ტფილისი ერთ დროს ყოფილა ხმაურიანი, მოლხენილი და უდარდელი... რელიკვიური ნანგრევებით მოცული ქალაქი ხან "პეტერბურღს" ბაძავდა, ხან კი ევროპას ემსგავსებოდა თურმე... იმ ვიწრო ქუჩაბანდებიდან შეკრებილი "სულ ნაირგვარი, ალთის და ბალთის ამბები", უცნობი დეტალები, კინოკადრს მიღმა დეტალები და თაობათა მეხსიერებაში დარჩენილი კინოწარსული - ასეა გააზრებული მერაბ კოკოჩაშვილის მხატვრულ-დოკუმენტური კინოსურათი "სახლი სიხარულისა", რომელიც მოგვითხრობს ფილმი-მუზეუმის შექმნის დაუწერელ ისტორიაზე. სცენარის ავტორი აკა მორჩილაძეა... აკა ხომ, XIX საუკუნის ტფილისი მკვლევარი და "ნაირგვარი" ამბების კარგი მთხრობელია?! ფილმის ყოველი კადრი მოგონებებს მიყვება, თავის კონკრეტულ აზრს ატარებს და თავისი შინაარსით აღიქმება, როგორც კინოკლასიკის ხელახლად გახსნილი არქივის ნაწილად.

"ბარათაშვილის დროინდელი ტფილისი", რომელიც ვახტანგ ტაბლიაშვილმა თავის კინოკლასიკაში გადაიტანა, თითქოს გამოგონილიც გვეჩვენება, მაგრამ მაინც გამორჩეული და განყენებული... სიუჟეტი? - ტფილისის ხასიათიდან მოსული ზღაპარი, რომელსაც მოიხსენიებენ ხოლმე "ცოცხლად ამოღებულს წარსულის აწმყოდან".

ძველი თბილისის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მეგზურობას გვიწევს გენიალური რამაზ ჩხიკვაძე. ფილმის მთხრობელი შორიდან უვლის "ქეთო და კოტეს" კინოლეგენდას, მრავალაივნიანი სახლის კიბიდან გვეუბნება, რომ "თბილისი კავკასიაში ერთადერთი ქალაქი იყო, სადაც ეთნიკური შუღლის ნიადაგზე სისხლი არ დაღვრილა..." მერე ძველ თეატრის საგრიმიოროში იხედება, სადაც იყო დრო როცა ულვაშებს გრეხდნენ, ცხვირებს აგრძელებდნენ... გვიყვება იმის შესახებ თუ საიდან შეიძლებოდა "მოსულიყო" აქვსენტი ცაგარელის პიესა, რომელიც სცენაზე აქტუალური დარჩა. ცაგარელმა თურმე სოციალური პროტოტიპები გადმოიტანა კომედიაში, რის გამოც პიესას უწუნებდნენ - ანეკდოტების კრებულიაო. კრიტიკული იყო პრესაც და... მას მიიჩნევდნენ არასერიოზულ დრამატურგად.

1947 წელი... სტალინის დაკვეთით იწყება მიუზიკლზე მუშაობა, რადგან "დასრულდაა ომი და... ტკბილი და უდარდელი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა საბჭოთა ხალხს." ვახტანგ ტაბლიაშვილი ფილმის რეჟისურაზე ჯერ უარს ეუბნება მაშინდელი კინოსტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელს მიხეილ ჭიაურელს, მერე აჩვენეს იოსებ სტალინის ხელმოწერილი გეგმა, რომელშიც მერვე ნომრად იყო "кето и коте" და... "ვახტანგს გონება გაუნათდა" - წერს ის თავის მოგონებაში, სტალინის ხელმოწერამ დააფიქრა, რომ იმ დროს ჩვენ ყველას, ისე უნდა გვეფიქრა, როგორც სტალინი ფიქრობდა,ხან კინოსტუდიის ნაცვლად, ცივ-ცივ მხარეებში მოგვიხდებოდა გასეირნება..." - აქ ირონიულია მთხობელი, - ვახტანგ ტაბლიაშვილთან ერთად ფილმის დამდგმელ რეჟისორად მიიწვიეს გამოცდილი კინორეჟისორი შალვა გედევანიშვილი, რომელიც წლების მანძილზე საფრანგეთის კინოსტუდიებში მუშაობდა დიდი კინორეჟისორის რენე კლერის ჯგუფში, სცენარის ავტორად ცნობილი პოეტი და იუმორისტი სიკო ფაშალიშვილი. კოკოჩაშვილის ფილმიდან არა, მაგრამ არქივებიდან იკითხება, რომ "მაშინ, ქალაქის ცოცხალმა ენციკლოპედიამ - იოსებ გრიშაშვილმა უარი თქვა ფილმის სცენარზე."

გაგრძელება A11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კომენტარები მთავარზე —

25 დეკემბერი - შობა

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲚᲐᲫᲔ

დღეს ერთ ძველ, მაგრამ ყოველწლიურად განახლებად თემაზე მინდა გესაუბროთ.

ვერ გამიგია, ასეთი რა დამსახურება მიუძღვის ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების მიმართ გაიუს იულიუს კეისარს, რომ დღემდე მისი კალენდრის მიხედვით ვზეიმობთ საშობაო დღესასწაულს?

სად იულიუს კეისარი და სად ქართულ-რუსული მღვდელ-მონაზვნობა!

განა აბსურდი არ არის, ჯერ ქრისტე არ დაბადებულა (ქართულ-რუსული ეკლესიების ვერსიის მიხედვით 7 იანვარს) და ჩვენი პატრიარქი კი (აწ მეორე ილიად წოდებული) უკვე 31 დეკემბერს გვილოცავს ახალ წელს?! ახალი წელი, მღვდელნო და მონაზვნო, ხომ სწორედ შობას უნდა მოსდევდეს! ასე არ არის? თუკი, რასაკვირველია, ქრისტიანებად მოგვაქვს თავი და არა - იულიუს კეისრის დარად - იუპიტერის კულტის მიმდევრებად.

ნუთუ ასეთი რთულია, რომ დავთმოთ ძველი, იულიანური კალენდარი და გადავიდეთ ახალ, გრიგორიანულ კალენდარზე?

თუკი მართლმადიდებელ ბერძნებს არ შეეშინდათ შობის 25 დეკემბერს აღნიშვნა, ჩვენ რა, მაინც და მაინც რუსმა სტუმრებმა (ვინმე შვედუკმა და ნ. სვანიდზემ) უნდა გვიბრძანონ ახალ სტილზე გადასვლა? მაინც და მაინც რუსი მღვდლებისგან უნდა მოვიდეს შესაბამისი მითითება? თუ თავად მედვედევისგან?

როგორც ჩანს, აქ პაპ გრიგორიუსშია პრობლემა. ის ხომ კათოლიკე-ქრისტიანია. შესაბამისად, რომაელ იულიუს კეისარზე საეჭვო ფიგურაა. რუსებს კი კეისარი უყვართ. თავს მის მემკვიდრეებად თვლიან (ტყუილად კი არ დაირქვეს "მესამე რომი")! მერე რა, რომ "მეორე რომის", ანუ ბიზანტიის მემკვიდრეებმა, ბერძნებმა, პაპ გრიგორ მე-13-ეს კალენდარი იულიანურზე რაციონალურად მიიჩნიეს, მთავარი რუსებისთვის (და, სამწუხაროდ, ჩვენთვისაც) ხომ ირაციონალური სიჯიუტეა! 31 დეკემბერს - ახალი წელი, 7 იანვარს - შობა, მერე ისევ ახალი წელი... მერე 8 მარტი, 9 მაისი და ა. შ.

ქართველი და რუსი მართლმადიდებელი მრევლის გაუნათლებელი ნაწილი, ალბათ, აბსოლუტურად დარწმუნებულია იმაში, რომ ახალი სტილი რაღაც სატანისეულია. მიდი და უმტკიცე ახლა ამათ, რომ ასტრონომია სატანიზმი არ არის!

პაპმა გრიგორ მე-13-ემ 1582 წელს კეისრის სისტემის რეფორმა განახორციელა. რამ გამოიწვია ეს? აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ რელიგიის ისტორიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო: "იულიუს კეისარმა ქრისტეს დაბადებამდე 45 წელს, ეგვიპტელი ასტრონომის, სიზოგენეს რჩევით, შემოიღო სისტემა, რომლის მიხედვითაც ყოველი მომდევნო სამი წლის ხანგრძლივობა უდრის 365 დღეს, ხოლო ყოველი მეოთხისა - 366 (ესაა ნაკიანი წელიწადი, როდესაც თებერვალი 29 დღე-ღამეს ითვლის). ამრიგად, წელიწადის საშუალო ხანგრძლივობაა 365, 25 დღე-ღამე, რაც ძალიან ახლოა ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობასთან (ერთი ტროპიკული წელი შედგება დღე-ღამეთა არა მთელი, არამედ წილადი რიცხვისგან - 365, 2422 დღე-ღამე ანუ 365 დღე-ღამის 5 საათის 48 წუთისა და 46 წამისგან, ე. ი. ყოველი წლის ბოლოს რჩება, ნაშთის სახით, ზედმეტი დრო - ზედნადები). იულიუსის კალენდარი ქრისტიანულმა ეკლესიამ ხმარებაში შემოიღო 325 წელს. მაგრამ ამით პრობლემა ვერ გადაჭრა. საქმე ისაა, რომ ოთხი წლის მანძილზე დაგროვილი განსხვავება იულიუსის საშუალო და ტროპიკულ წელიწადთა შორის უმნიშვნელოა (44 წთ. და 46 წმ.), საუკუნეთა მანძილზე კი იგი იმდენად შესამჩნევი ხდება, რომ მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია. მაგ. მე-4 საუკუნეში გაზაფხულის ბუნიობა 21 მარტს მოდიოდა, მე-16 ს-ში კი 11 მარტს. ამრიგად, იულიუსის წელთაღრიცხვა მე-16 საუკუნეში უკვე 10 დღე-ღამით "ჩამორჩებოდა ბუნებას". სწორედ ამან მოითხოვა იულიუსის სისტემის რეფორმა. რომის პაპ გრიგორიუსის 1582 წლის დადგენილების თანახმად, დღეთა ანგარიში გადანაცვლებულ იქნა 10 დღით: 4 ოქტომბრის მომდევნო დღე გამოცხადდა 15 ოქტომბრად. ამის შემდეგ გაზაფხულის ბუნიობა კვლავ 21 მარტს დაემთხვა. ანუ, თუ იულიუსის კალენდარში სამი დღე-ღამის ცდომილება ანუ სამი ზედმეტი (ზედნადები) დღე გროვდებოდა ყოველ ოთხ საუკუნეში, გრიგორისეულში ერთი-დღე ღამის ცდომილება 3300 წლის მანძილზე დაგროვდება. ეს კი, ფაქტობრივად, კალენდრის პრობლემის გადაჭრას ნიშნავს.

(...) ჩვენთვის ცნობილია, რომ "ახალი სტილის" შემოღების საკითხი საქართველოს წინაშეც იდგა მეოცე საუკუნის ოციან წლებში. საკათალიკოსო საბჭომ რამდენჯერმე მიიღო დადგენილება რეფორმის თაობაზე, რაც დასტურყო მე-4 საეკლესიო კრებამ 1927 წელს. ამ იდეას მხარს უჭერდა სამღვდელოების უმრავლესობა, მათ შორის კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია). ვიცით აგრეთვე, რომ მან პატიმრობის დროს (1923-25) მარხვები ახალი სტილით დაიჭირა (!). თუმცა, მიუხედავად ამისა, სიახლე მაინც ვერ დამკვიდრდა. საკათალიკოსო საბჭო რუსულენოვანი ნაწილის გაგულისებას მოერიდა, რაც სქიზმას ანუ განხეთქილებას გამოიწვევდა."

უთარგმნეთ ახლა ეს შვიდუკს და სვანიდზეს, ქართველი მრევლის გაუნათლებელი ნაწილი მაინც ვერაფერს გაიგებს ამ ტექსტიდან, ამათ კი იქნებ ბრძანება შეგვიცალონ და თუკი აფხაზეთი და ოსეთი არა, 25 დეკემბრის შობა მაინც დაგვიბრუნონ. ჩვენ თვითონ, ჩვენი ძალებით, როგორც ჩანს, ამასაც ვერ შევძლებთ.

ვიდრე მედვედევისგან არ მოგვივა ბრძანება, მანამდე ისევ 7 იანვარს უნდა ვიმღეროთ ხოლმე *ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსა-ო.*

სანამ მეორე გეორგიევსკის ტრაქტატს გააფორმებთ, ჩვენც გვკითხეთ, გვინდა თუ არა?!

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდან ბევრი საინტერესო არაფერი მაგონდება. არც ისე შორეული წარსულია. ჩემი კურსელები ხან შევარდნაძის ბანაკში იყვნენ და სუქდებოდნენ, ხანაც დემოკრატებსა და ნაციონალებში – ახალ-ახალ ოფისებს ხსნიდნენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სიახლოვეს. ისე კი, მგონი მეგობრობდნენ ერთმანეთთან. ყველაფერი ძალიან ერთფეროვანი იყო. ზუსტად ისეთივე ერთფეროვანი, როგორიც მათი ჩაცმულობა: შარვლები, ჰალსტუხები და პიჯაკები. ასე, ძალიან რესპექტაბელურად იდგნენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დილიდან საღამომდე, გამონაკლისი იყო მიტინგობანა მთავრობის სახლთან, ახალი ეროვნული მოძარობა ვართო, - გაიძახოდნენ; მათ კი, ვინც ხვდებოდა, რომ ეროვნული მოძრაობა დიდი ხნის ჩამკვდარი იყო და ეს გამეორება საშიში უფრო გახლდათ, ვიდრე სასაცილო, მათ ეს "პატარა კაცები" ეცოდებოდათ. გამონაკლისი იყო ასევე საზაფხულო გასვლები ჯავახეთისკენ, ან სხვაგან. დიახ, ამასაც ახერხებდნენ. ხან წმინდა ნინოს გზაზე მოდიოდნენ და ხანაც ასურელი მამების. ხშირად ეს გამოცდების დროს ხდებოდა. ალბათ ამ გზაზე ლოცულობდნენ, ღმერთო, ის ფული შეგვარგე, წინა მიტინგისთვის რომ ავიღეთო და თანაც ახლა თბილისს რომ ჩავალთ, გამოცდებიც სულ ხუთებზე დაგვხვდეს ჩაბარებულიო. არ ვიცი, ვინ და რომელი ძალები ეხმარებოდნენ და დღემდე ეხმარებიან, ხუთები ხუთებად და ის ფულიც ისე ერგებოდათ, დღემდე თავს არაჩვეულებრივად გრძნობს ზოგი რომელ პოლიტიკურ შენაერთში და ზოგიერთიც საკრებულოსა და პარლამენტში. მაშინ პირველად მივხვდი, რას ნიშნავდა ფარისევლობა, ოღონდაც ამას მაშინ მივხვდი, როცა ისინი წმინდა ნინოს გზაზე მოდიოდნენ, ოფლს ღვრიდნენ, მე კი თბილისში, სახლში ვიჯექი და მათი განკითხვის ობიექტი ვიყავი.

ლექციებიც ტარდებოდა. სიტყვა ლექციაზე უპირველესად გოგი ხოშტარიას ლექციები მაგონდება. ჰოდა, მგონი მისგან გავიგე პირველად სრულყოფილად ათასი ისეთი ცნების მნიშვნელობა, რომელიც ჩემი პროფესიის ადამიანს უკვე ისედაც უნდა სცოდნოდა. რუსულად ათვისებული სახელოვნებათმცოდნეო ტერმინოლოგიის გადმოქართულება ჩემთვის ნელა-ნელა დავიწყე, ქართველმა მეცნიერებმა, რომლებიც ქართულ კულტურას დითირამბებს უმღერიან (დისერტაციებში), ვერ მოიცალეს, რომ ან წიგნები დაეწერათ, ანდა ეთარგმნათ, ანდა ცოტაც სომხებისთვის მიებაძათ და ინგლისურ ენაზე დაესაბუთებინათ, რომ ტარ საქართველოს ნაწილი გახლდათ და ქართული ხუროთმოძღვრება ქართულია და არა სომხების ქველმოქმედება. მოკლედ, მაშინ გაგებულ-გააზრებულ ტერმინ-ცნებათა შორის იყო " ხ ჭ◊" – გამოსახულება, სახე, ხატება... ამ სიტყვას სახელოვნებო კრიტიკის დროს ისეთი მნიშვნელობაც ენიჭება, რომელსაც ზუსტი ქართული შესატყვისი არ აქვს. ამიტომაც ამბობენ ხოლმე, "მხატვარმა წარმოგვიდგინა სიყვარულის, სიძულვილის, ომის, დედაშვილობის... არაჩვეულებრივი Образ-ი " – მოკლედ ეს გამოდის ძალიან კრებითი, განზოდაგებული სახე-ხატება რაღაც სხვა მოვლენის, განცდის, ცნების. სწორედ ყველაზე ზუსტი და დამაჯერებელი სახე-ხატებების შექმნას ღამობენ ხელოვანები და არა მხოლოდ მხატვრები. ალბათ მხოლოდ ხელოვანებს შეუძლიათ რეალობის ხატოვნად აღქმა. ასეა, მაგრამ ჩვენ, რიგითებიც ვახერხებთ ხოლმე რაღაცას.

აგვისტოში რომ ომი წაგებული გვქონდა, მეც მაშინ მივხვდი, როცა თქვენ და სხვები. გამონაკლისი ნამდვილად არ ვყოფილვარ. მაგრამ ამ მარცხის სახე-ხატება, სურათი არ მენახა დეკემბრამდე. ვნახე დახოცილი ქართველი ჯარისკაცები, დაჩეხილები, დაქუცმაცებულები, მაგრამ ეს ფოტოები გახლდათ ომის, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, უბრალოდ ომის სურათი. ომის და არა მარცხის. რაც აგვისტოს დავშორდით, მარცხი – სხვადასხვა ასპექტში დავინახეთ და ეს მარცხი გაიზარდა, გასივდა და ღამისაა გასკდეს და მხოლოდ ახლა, სამი კვირის წინ ტელეეკრანზე დავინახე ჩვენი მარცხის სახე-ხატება – სურათი. ეს იყო რომელიღაცა საინფორმაციო გამოშვების რეპორტაჟი აეროპორტიდან. ვინმე ვალერი კვარაცხელია ძველებური, ყელმოღერებული მანერით კომენტარს აძლევდა ჟურნალისტს, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა დასძინა, რომ ალექსი მეორის დაკრძალვაზე საქართველოს პატრიარქს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მიჰყვებიან, რათა პატივი მიაგონ რუსეთის სულიერი წინამძღოლის ხსოვნას. სწორედ ამ სიტყვების შემდეგ ცისფერ ეკრანებზე გამოჩნდნენ ვაჟა ლორთქიფანიძე და ვალერი კვარაცხელია. ანუ რაო? ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიო და აგერ ბატონო, მაგალითად ვალერი კვარაცხელია. გაბადრული სახით დიდ რუსეთში მიდის, ძმებს უნდა ჩაეხუტოს და ამით მათ უთხრას, რომ ჩვენ, მეც, თქვენც და კიდევ მთელს საქართველოს სინამდვილეში მათთან მეგობრობასა და უმცროს ძამიკობაზე ნოსტალგია გვკლავს. მარცხის ეს სახე-ხატება დარჩა გონებაში. მაგრამ ეს არ ყოფილა ბოლო სურათი. ამ ხატებების მთელი წყება წამოვიდა ამ დღეებში.

გუშინწინ "ქორთიარდ მარიოტში" ქართველები ისევ რუსებს მასპინძლობდნენ, უფრო სწორად აძღობდნენ. ისევ გამოჩნდნენ ქართული კულტურის წარმომადგენლები და ისევ დაივიწყეს, რომ ერეკლე მეორე მაშინ შეცდა, ისევ დაივიწყეს, რომ საქართველოში უკვე არიან თაობები, რომლებსაც არ ესმით, რას ნიშნავს კარგად ყოფნა რუსებთან ერთად. თუნდაც ამ ყოფაში არ იყოს ჭურვი და სისხლი. იქ მყოფთაგან მხოლოდ გოგი ხოშტარიამ გაბედა ეთქვა, რომ სანამ რუსული ჩექმა საქართველოს მიწაზეა, არანაირ საუბრებს აზრი არ აქვს. ალბათ იგულისხმა, რომ არანაირ საუბრებს - არც ცოდნაზე და არც რწმენაზე. ცხადია, რუსეთის ქცევასა და პოლიტიკაზე ცოდნას, რწმენასა და სხვა ადამიანურ მოვლენებს გავლენა არასდროს ჰქონია. სხვა ყველა დუმდა. აბა რა უნდა ექნათ, თავად მიხეილ შვიდკოიმ განაცხადა, რომ პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებზე საუბარი არ იქნებოდა.

ამ დღეებში ამ რაღაც გაუგებარ პროცესებს, გაუგებარს, მაგრამ ისტორიისთვის ძალიან ნაცნობს სახალხო დიპლომატია დაარქვეს. არადა ხალხის აზრი, მით უფრო ქვეყნის ინტერესები არავის გაუთვალისწინებია, როცა ძალიან გაურკვეველი მისიისა და მიზნების "საზოგადოებრივი კომისია" შექმნეს და ამ კომისიას ისეთი ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში, რომელთა აზრი საპატივცემულოა, რადგანაც ნებისმიერი ადამიანის აზრი და პოზიცია გასათვალისწინებელი თუ არა, მოსმენის ღირსი მაინც არის, მაგრამ მათთვის ერის მოთხოვნების გახმიანების უფლება არავის დაუკისრებია. არც სოსო ჯაჭვლიანისთვის, არც გოგი ქავთარაძისთვის და არც სხვებისთვის, მაგალითად მალხაზ გულაშვილისთვის არ გვითხოვია – წადით და რუსებს იქით სთხოვეთ, საჰაერო მიმოსვლა აღადგინონ, თორემ მოსკოვი გვენატრება და იქ ვერ ჩავდივართო. არადა, რა საოცარიც არ უნდა იყოს, ამ კომისიამ უმთავრეს მისიად რუსებთან დიალოგისას სწორედ თბილისი-მოსკოვის საჰაერო რეისის აღდგენა დასახა. შემდეგ კი ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის აღდგენა. თურმე, დღეს ქართველს ეს საკითხები იმაზე მეტად აწუხებს, ვიდრე ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების ნიველირება რუსეთის მხრიდან, საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე რუსული საელჩოების გახსნა, ლამის გორამდე მოსული რუსული ჯარის შენაერთები. არა, ამ თემაზე საუბარი არ არის. ამ თემაზე ილაპარაკონ სახელმწიფოებმა, ჩვენ კი თურმე ადამიანები ვართ, რომლებსაც სიყვარული, მეგობრობა და რწენა გაგვაერთიანებს. ეს კომისია რუს მეგობრებთან ერთად, ორ ხმაში გამიჯნავს ხალხს და სახელმწიფოებს. თურმე, ჩემი სახელმწიფო მე არ ვარ და თურმე, ჩემი ქვეყანა სხვაგან არის და მე სხვაგან უნდა ვიყო, არც მეტი, არც ნაკლები ვალერი კვარაცხელიასთან ერთად მიხეილ შვიდკოის უნდა ვყავდე გულში ჩაკრული. აი, ეს ნამდვილად არ ვიცოდი, აი, თურმე სად მიდიოდა ქართული ეროვნული მოძრაობა და რა მოიტანა ჩემი კურსელების ახალი ტიპის "პატრიოტიზმმა", მათმა მართმადიდებლურმა ფარისევლობამ. ჩემი სტუდენტობისა და კურსელების მოგონებები ცუდ განწყობაზე კი მაყენებს, მაგრამ ამ კომისიის საყურადღებოდ მაინც ვიტყვი, რომ მოსკოვისკენ მიმავალი თვითფრინავის ბილეთი რომ 35 მანეთი ღირდა და კიდევ დათუნია კამფეტი გემრიელია, ჩემს თაობას სულ აღარ გვაინტერესებს და საერთოდაც, ჩვენ ჩვენს მომავალს ისევე ვერ ვუკავშირებთ რუსეთს, როგორც წარსულს და ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც მე, ერი და სახელმწიფო მეზობელი ქვეყნის ინტერესების გამო არ გავიმიჯნებით.

სიყვარულსა და მეგობრობას, რომელსაც ასე ხშირად გვახსნებენ ჩვენივე თანამემამულენი და რასაც მორჩილად უსმენს ყველა, თურმე ჩვენს შორის მართმადიდებლობა ბადებს, თურმე ამ სიამტკბილობას "საუკუნოვანი ტრადიციები ჰქონია". და რადგანაც ამ ათასგზის მკვდრეთით აღდგენილმა ქართულმა ინტელიგენციამ ამდენი იკისრა, ჩვენს ნაცვლად გადაწყვიტა ყველაფერი, მაშინ მანვე გვიპასუხოს, რამდენჯერ გვიშველა ერთმორწმუნეობამ და როდის გადაგვარჩინა რუსეთთან ძმობამ? რომელ საუკუნოვან მეგობრობაზეა საუბარი? არა, არა, ის რომ კრემლი ბევრად ახლოსაა, ვიდრე თეთრი სახლი, ვიცით, და ის, რომ რუსული ფული უფრო იოლად მოდის, უფრო იოლად გვთავაზობენ, ეგეც ვიცით, მაგას ნუ გვიპასუხობენ, ეგ ისედაც ვიცით. ისიც ვიცით, რომ რუსი მანდილოსნები ქართველ მამაკაცებზე ისევ გიჟდებიან, ეტყობა სისხლის სუნის სცემთ, სისხლი კი რუსების წყალობით გუშინაც ბევრი გვქონდა და გუშინწინაც. ჩვენ ისტორია გვაინტერესებს, ფაქტები. იმიტომ რომ, თანამედროვე ადამიანი ფაქტებს უფრო ენდობა, ვიდრე სიტყვებს. რუსულ-ქართულ ურთიერთობებში კი მხოლოდ სიტყვებია: გაბრაზებული, ფარისევლური, უგნური, აბსურდული, ხანაც სასიყვარულო (საქართველოს მხრიდან), და ძალიან ბევრი ტყუილი სიტყვები. ამ ურთიერთობების ისტორია იცნობს მხოლოდ ერთ ფაქტს – გეორგიევსკის ტრაქტატს. ქართველების დამღუპველ დოკუმენტს.

ნუ დავიჯერებთ კიდევ ერთხელ, რომ რუსული მართმადიდებლობა ქართულის იდენტურია. განა სულ ახლახანს არ ეუბნებოდნენ რუსი ეგზარხოსები ქართველებს ლამაზ სიტყვებს ღმერთსა და ერთმორწმუნეობაზე და თან არ აჩანაგებდნენ ქართულ ეკლესიას და კულტურას? განა თავად უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს არ მოუხდა რუსული ეკლესიისა და ჩექმის მიერ ლამის გადაშენებული ქართული რწმენის აღდგენა? იქნებ მაინც უარი ვთქვათ და არ დავიხრჩოთ თავი ილუზიებში, რომ მეფე ერეკლეს სხვა გზა არ ჰქონდა. სხვა გზა ყოველთვის არის. მაშინაც იქნებოდა და დღესაც გამოჩნდება. ის რომ, დიპლომატიის ენასა და პოლიტიკურ მანევრებს ჩვენ ვერ ვფლობთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ტრაქტატს კიდევ ერთხელ უნდა მოვაწეროთ ხელი - ჩვენ ჩვენი დუმილით და ქართულმა "კულტურულმა ინტელიგენციამ" თავისი ფარისევლობით.

ᲓᲐᲠᲘᲗᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

"ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ", ᲐᲜᲣ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ

ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამბობენ, თითქმის მთელი თბილისი თამაშობდაო ამ ფილმში, მაგრამ საბოლოოდ ყოფილა ამოუცნობი პარადოქსი - 1948 წელს "ქეთო და კოტე" საქართველოში 12-ჯერ აჩვენს მხოლოდ მშრომელ ხალხს, ამის მერე ფირი მთელი 5 წელი თაროზე დარჩა, მაგრამ რატომ? ფაქტია, ეს კინოკომედია საბჭოთა კინოეკრანებზე იმპერიის ბელადის სიკვდილის მერე გაუშვეს... და მაინც, რატომ შეეხო ცენზურა აპოლიტიკურ მიუზიკლს? არსებობს ვერსიები, კინოკლასიკა იოსებ ბესარიონის ძემ ნახა თუ არ ნახა, მაგრამ მაინც, რატომ არ უნდა ენახა, ან რატომ დაიწუნა ეს ფილმი სტალინმა, ან თუნდაც, რატომ არ აჩვენა საბჭოთა საზოგადოებას? ამაზე ფილმის თხრობელი არაფერს ამბობს, ამბობს იმას, რომ "ალბათ ჭიაურელმა სტალინს ეს სურათი არ აჩვენა და ამით განადგურებას გადაარჩინა ფირის ორიგინალი..."

უცნობი დეტალი: ტაბლიაშვილი კინოს იღებდა ორი დუბლით, ქართულად და რუსულად... და ეს გენერალ სიმუსისგან წამოსული დირექტივა ყოფილა, ანუ ფილმის ორი ვარიანტი არსებობდა - ქართული და რუსული. არა რუსულად გახმოვანებული, არამედ რუსულად გადაღებული. გენიალური რამაზ ჩხიკვაძე გვიხსნის: "მიხეილ ჭიაურელმა ძალიან კარგად იცოდა რა უნდოდა ბელადს, ბელადმა კი ის იცოდა, რომ 250 მილიონი საბჭოთა მოქალაქე უკეთ აღიქვამდა რუსულ ენაზე გადაღებულ ქართულ ფილმს, ანუ ფილმი კომერციულიც იქნებოდა და ქართულიც..."

კადრი: ეროვნულ ბიბლიოთეკაში რამაზ ჩხიკვაძე გაყვითლებულ პრესას ათვალიერებს... კიდევ ერთი დაფარული, თუმცა მნიშვნელოვანი დეტალი: 1947 წელი, მაისი... დოკუმენტით, რომელიც სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრის უზაპოვის ხელმოწერილია, მტკიცდება, რომ მიუზიკლიდან ეკლესიაში ჯვრისწერის სცენა უნდა იქნეს ამოღებული. ესე იგი, კომუნისტებს ეს არ მოეწონათ, მაგრამ საოცარია, რომ ოფიციოზში ამ აკრძალული ფინალური ეპიზოდის ფოტოა დაბეჭდილი, რატომ? - გაპარვიათ. უზაპოვი, მაშინდელი სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრი, სკრუპულოზურად ერეოდა რუსული სცენარის დეტალებში, რეჟისორს ნერვებს უშიდა, უფრო მეტიც, ფილმის გადაღებაზე ტაბლიაშვილს, ანუ ცნობილი სახნოვსკისა და ნემირევიჩ-დანჩენკოს "მონაფეს" მითითებებსაც აძლევდა... გვაჩვენებენ, რომ ეს შავ-თეთრი ფრაგმენტები კინოობიექტივიდან გაქრა, თუმცა ეს თითქმის საუკუნოვანი კინოესკიზები, როგორც კადრს მიღმა დარჩენილი უნიკალური ფოტოდოკუმენტები, კინოისტორიას შემორჩა. ალბათ, ეს ესკიზები სასწაულად გადარჩა, სადღაც გადამალეს ჩუმად და მერე და მერე, ხელახლა მიაგნეს... არსებობს სინამდვილე და მითები "ქეთო და კოტეზე", თუმცა უფროსებისთვის ახლაც ძნელია მათი განცალკევება. დიდი დრო გავიდა, მაგრამ შეიძლება თუ არა ყველა პარადოქსის გაშიფვრა? ბევრი რამ თავად კინორეჟისორისთვისაც იქნებოდა ბოლომდე აუხსნელიც და ამოუცნობი...

- "ქეთო და კოტე" ის ფილმია, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი განსხვავებული ემოციით უყურებს. მართლაც სიხარულის სახლია. - ამბობს ფილმის რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი. ალბათ, ამის გამო დავთანხმდი არჩილ გელოვანის წინადადებას. გამიჭირდება მეორე ქართული ფილმის დასახელება, რომელიც ამდენად მასშტაბურად წარმოაჩენს ეროვნული კულტურის მონაპოვარს. ძალიან საინტერესოდ, ხალისით ვმუშაობდით. ჯერ მარტო ჩემს გვერდზე იყო უზარმაზარი გადამღები ჯგუფი - 70 კაცი მონაწილე, ამის გარდა მხატვრები, გამნათებლები, პროდიუსერები და კიდევ სხვები და სხვები - სულ 460 კაცი. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ასე არ მიმუშავია საბჭოთა კავშირის დროსაც.

ფილმში გენიალური რამაზ ჩხიკვაძე აქ არა მარტო მემატიანეა, - მთხრობელიც და არტისტიც, რომელმაც თავისი შინაარსი შემოიტანა სტურუასეული "ხანუმას" სცენურ ინტერპრეტაციაში. დოკუმენტურ კადრებში ასახულია გიორგი ტოვსტონოგოვის "ხანუმაც", ასევე თეატრალური თუ კინოოპუსების მაკეტები, ესკიზები, სარეპეტიციო ჩანაწერები, აფიშები, ფოტოები, მოგონებები... და კიდევ, იქ რეჟისორთან ერთად კამერებიც ჩანს, ოპერატორიც, მიკროფონიც, დეკორაციაც, ფოტოგრაფიც და ყველა ის ხალხიც, ვინც კადრს მიღმა მუშაობს... ანუ რა ხდება? დავით გუჯაბიძე იღებს ფილმს ამ ფილმის შესახებ...

რა იყო 53 წლის მერე? ეს კინოშედევრი, როგორც კი კინოეკრანებზე გამოვიდა, 24 მილიონმა მაყურებემა ნახა... „მოდით, ნახეთ, როგორ ცხოვრობენ ქართველები" - ნიუ-იორკი ასეთი აფიშებით იყო აჭრელებული, უფრო მეტიც, იყო ძალიან დიდ გაქირავებაში... ამერიკაში საბჭოთა მიუზიკლი საუკეთესო ფილმად აღიარეს - „ჰოლივუდს იშვიათად თუ რაიმე შეუქმნია ამ მშვენიერების მსგავსი..." - ამას წერდა „დეილი ვორკერი" 1954 წელს.

- რატომ ავირჩიეთ "ქეთო და კოტე"? ეს არის კინოსტუდია „დამოუკიდებელი კინოპროექტის" სიმბოლური პროექტი, ფილმი ლეგენდა საოცარი მუსიკით, ცეკვებით, სიმღერებით, მსახიობებით, სილაღით და სილამაზით. - პრემიერამდე გამართულ პრეს-კომფერენციაზე ამბობს ფილმის პროდიუსერი არჩილ გელოვანი. - ეს რაც შეეხება ჩემს სუბიექტურ დახასიათებას, ობიექტურად კი მოსკოვში არსებული "ქეთო და კოტეს" ფირი ისეთ მდგომარეობაში დამხვდა, რომ თითქმის იშლებოდა ნეგატივი, მის გადასარჩენად ყოველ წუთს ჰქონდა მნიშვნელობა. მერე გაჩნდა იდეა, გადამეღო ფილმი მისი შექმნის ისტორიაზე... ქართული ფილმების ნეგატივების 80 პროცენტი ინახება მოსკოვში სახელმწიფო ფილმების ფონდში და ეს ნეგატივები ყოველდღიურად ზიანდება. ვფიქრობ, რომ 5-10 წელიწადში თუ არ მივხედავთ, ამ ნეგატივების 30 პროცენტს დავკარავთ. თუკი არსებობდა კინემატოგრაფიული სკოლა იყო ქართული და რუსული, ამიტომ მათ ქართული კინოს ფასი იციან. და კიდევ, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო რთული ხდება კადრების აღდგენა და ფირის მთლიანი რესტავრაცია. რუსეთმა სახლ-მუზეუმად აქცია "ბელიე სტალები", სახლი სადაც ინახება საბჭოთა ფილმები. ამ ფილმის გატანა სამუზეუმო კანონის მიხდვით ჩვენ არ გვაქვს, რადგან ეს საბჭოთა ფილმია, ამიტომ გვიწევს მათი დასკანერება, რაც 90 000 ევრო ღირს და უფრო მეტიც...

- ბატონო არჩილ, რამდენია ფილმის ბიუჯეტი?

- "სახლი სიხარულისა" დაჯდა 540 000 დოლარი, ამ ფილმმა უკვე ამოიღო ის თანხა, რაც ჩავდეთ და რაღაც პატარა "პლიუსში" უკვე ვართ. 7 ქვეყნის ტელევიზიებს უკვე მივაწოდეთ, მათ შორის რუსეთის - "კულტურას" და "მეორე არხს". გაიყიდა უკრაინაში, პოლონეთში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში... რუსეთშიც იქნება რუსული "ქეთო და კოტეს" ჩვენება, მოსკოვში ახალი არბატის ქუჩაზე, კინოთეტრ "ოქტომბერში" 6-7 მარტს იქნება ამ ფილმის - "სახლი სიხარულია" პრემიერა.

ᲝᲞᲔᲠᲐᲨᲘ "ᲜᲐᲑᲣᲥᲝᲡ" ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲐ

4, 6 იანვარს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ჯუზეპე ვერდის ოპერის "ნაბუქოს" პრემიერა (საკონცერტო შესრულებით). თეატრის რეპერტუარში "ნაბუქო" ვერდის მეექვსე ოპერაა ("აიდა", "ტრუბადური", "დონ კარლოსი", "რიგოლეტო", "ატილა", ასევე "რეკვიემი"). სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორია ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

პრემიერებში მონაწილეობენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავები და ჩვენი თეატრის სოლისტები: პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, ზურაბ სოტკილავა, ნინო სურგულაძე, ნანა ქავთარაშვილი, ირინე რატიანი, სულხან გველესიანი, ლეგი იმედაშვილი, ელენა პუტილოვა, გიორგი მახარაძე, მანანა იორდანიშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე, თამაზ საგინაძე და ცხადია, თეატრის გუნდი და ორკესტრი.

თემისტოკლე სოლერას იტალიური ლიბრეტოს და ანისეტ-ბურჟუასა და ფრენსის კორნუს ბიბლიურ ისტორიაზე დაფუძნებული პიესის მიხედვით ჯუზეპე ვერდის მიერ შექმნილი "ნაბუქოს" მსოფლიო პრემიერა 1842 წლის 9 მარტს შედგა მილანის "ლა სკალაში". ოპერას იმთავითვე უდიდესი წარმატება ხვდა წილად და პრაქტიკულად, განსაზღვრა კიდეც ვერდის მომავალი არტისტული კარიერა. საგულისხმოა, რომ თბილისის ოპერის თეატრში "ნაბუქო" აქამდე არ დადგმულა და ამჯერად, პირველად შესრულდება.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲯᲐᲙᲝᲛᲝ ᲞᲣᲩᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ

იტალიაში ჯაკომო პუჩინის დაბადებიდან 150 წლისთავი აღნიშნეს.

22 დეკემბერს, იტალიელი კომპოზიტორის, ჯაკომო პუჩინის (1858-1924) დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. იტალია ამ იუბილეს, ოპერის ახალი დადგმებით, კონცერტებით, სამეცნიერო კონფერენციებით, მუსიკალური კონკურსებით მთელი წლის განმავლობაში აღნიშნავდა.

კვირას რომის სასახლე მადამაში, როემლიც რესპუბლიკის სენატის რეზიდენციაა, საზეიმო წინასაშობაო კონცერტი გაიმართა. კონცერტს იტალიის პრეზიდენტი და ქვეყნის სხვა მაღალი თანამდებობის პირები ესწრებოდნენ. საღამოს პროგარამაში პუჩინის რჩეული ნაწარმოებები იყო ჩართული.

ჯაკომო პუჩინი იტალიური კლასიკური ოპერის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. მისი აღიარებული შედეევრებია: "მანონ ლესკო", "ბოჰემა", "ტოსკა", "მადამ ბატერფლაი" და სხვები. **ჯი-ეიჩ-ენი**

სპილბერგის სტუდია კლინტონისა და ბლერისადმი მიძღვნილ მხატვრულ ფილმზე იწყებს მუშაობას

ცნობილი ამერიკელი რეჟისორის სტივენ სპილბერგის სტუდია DreamWorks-ი მუშაობას იწყებს მხატვრულ ფილმზე "განსაკუთრებული დამოკიდებულება". ეს ფილმი ბილ კლინტონისა და ტონი ბლერის აშშ-ის პრეზიდენტისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობას მიეძღვნება.

განსაკუთრებული დამოკიდებულების ცენტრში კლინტონისა და ბლერის ერთობლივი პროექტი, ლიბერალური ფასეულობების დასაცავად ჰუმანიტარული ინტერვენციის რეალიზაციის ხარჯზე ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნაა.

ამ კონცეფციის გამოყენებამ კოსოვოს მიმართ კრახი განიცადა, სცენარისტების აზრით, კლინტონის პოზიცია მონიკა ლევინსკის სკანდალის გამო მრავალჯერ შეირყა. სურათში ლევინსკიც მონაწილეობს. ფილმის პრემიერა, სავარაუდოდ, 2009 წელს გაიმართება.

პოლიტიკური დრამის სცენარი პიტერ მორგანმა დაწერა, რომელიც ავტორია ფილმებისა "შეთახმება" და "დედოფალი". ამ კინოსეზონში მორგანი "ფროსტი ნიქსონის წინააღმდე" ფილმის სცენარისთვის "ოსკარზეა" წარდგენილი.

შეგახსენებთ, რომ წელს ეკრანზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის შესახებ ფილმი უკვე გამოვიდა. ოლივერ სტოუნის ფილმი, ამერიკის კიმატოგრაფიის ისტორიაში პირველი ბიოგრაფიული მხატვრული ფილმია, რომელიც გაქირავებაში ჯერ კიდევ მაშინ გამოვიდა, როცა მთავარი გმირს თეთრ სახლში მოქმედი პრეზიდენის თანამდებოა ეკავა. **ჯი-ეიჩ-ენი**

Christie's-ᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲡ

2009 წლის იანვარში Christie's-ი ფინანსურ კრიზისის გამო თავისი განყოფილებების რეორგანიზაციის შესახებ გამოაცხადებს, - წერს Bloomberg-ი აუქციონის სახლის პრესსამსახურის განცხადებაზე დაყრდნობით.

მოსალოდნელი ცვლილების დეტალები არ ხმაურდება. თუმცა სააგენტო აღნიშნავს, რომ Christie's-ის ლონდონის განყოფილებაში ღვინისა და წიგნების განყოფილებები უკვე გაერთიანდა. სანადირო იარაღის განყოფილება დახურულია და კომპანია ხუთმა ადამიანმა დატოვა.

Bloomberg-ი ასევე წერს, რომ არც აუქციონის სახლისა და მისი მფლობელი კომპანიის Artemis SA წარმომადგენლები 22 დეკემბერს გაზეთ Financial Times-ში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, რომ Artemis SA-ის მფლობელი ფრანსუა პინო Christie's-ის გაყიდვის შესაძლებლობას განიხილავს კომენტარს არ აკეთებს. ფრანსუა პინომ აუქციონის სახლის 1998 წელს 1,2 მლრდ დოლარად შეიძინა.

ადრე Christie's-ის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მომავალი წლიდან ლოტების საექსპერტო შეფასებებს შეამცირებენ და ფასებზე აუქციონამდელი გარანტიის პრაქტიკაზე უარს იტყვიან. 2008 წლის შემოდგომისა და ზამთრის ვაჭრობამ აჩვენა, რომ მყიდველების მნიშვნელოვანი გადინება მოხდა.

დეკემბრის დასაწყისში Christie's-ის მთავარმა კონკურენტმა Sotheby's-ის სახლმა განაცხადა, რომ რეკონსტრუქციას ჩაატარებს, რომლის მიმდინარეობისას კომპანია 7 მლნ დოლარის ეკონომიის გაკეთებას აპირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ინტერესთა გამოხატვას შპს "რკინიგზის ტელეკომი"-ს (ქვეყნის მაგისტრალური არხის ლიდერი ოპერატორის) 100% ან ნაკლები წილის რეალიზების მიზნით.

- დაინტერესებულმა პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული პირობები (ფასის, ვალუტისა, გადახდის პირობების და სხვა შემოთავაზებების მითითებით) 2009 წლის 31 იანვრამდე დალუქულ კონვერტებში საქართველოს რკინიგზის ქონების მართვის სააგენტოში (თამარ მეფის 15, 0112, თბილისი, საქართველო).

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ინვესტორთა საინფორმაციო ოთახში (თამარ მეფის 15, 0112, თბილისი, საქართველო). მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია რკინიგზის თანხმობით. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია რკინიგზის ტელეკომის ინვესტორებთან ურთიერთობების ვებ-გვერდზე – www.grt.ge/ir.

გამოქვეყნებული პუბლიკაცია და ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება არ ავალდებულებს შპს "საქართველოს რკინიგზას" მიყიდოს ან სხვანაირად გადასცეს შპს "რკინიგზის ტელეკომი" ან მისი წილი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს; არ აძლევს მხარეებს საქართველოს რკინიგზის მიმართ ნებისმიერი სახის პრეტენზიის და რაიმე ქმედების განხორციელების უფლებას. საქართველოს რკინიგზა იტოვებს უფლებას

შპს "საქართველოს რკინიგზა

საკონტაქტო პირები:

სახელი:	მეგი მუმლაძე	დიმიტრი ქემოკლიძე	გიორგი გოთოშია
თანამდებობა:	ქონების მართვის სააგენტოს უფროსი	ბიუჯეტირების, ანალიზისა და ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
კომპანია:	შპს "საქართველოს რკინიგზა"	შპს "საქართველოს რკინიგზა"	შპს "რკინიგზის ტელეკომი"
ტელ:	+995 32 563348	+995 32 563159	+995 32 565684

"Georgian Railway" LLC is announcing expression of interests for parties interested in acquisition of 100% or less share of "Railway Telecom" LLC (The leading telecommunications company in Backbone operations, 100% owned by "Georgian Railway" LLC).

- Interested parties should send their terms (indicating the price, currency, payment terms and any other terms) before January 31st 2009 in a sealed envelope in Asset Management Agency of "Georgian Railway" LLC (15, Tamar Mepe Ave., Tbilisi, 0112, Georgia).

Information about the company is available in the data room at Georgian Railway (15, Tamar Mepe Ave., Tbilisi, 0112, Georgia). Parties willing to get additional information or conduct due diligence are welcome to use the information with the authorization of "Georgian Railway" LLC. The information is also available on the Investor Relations page of the "Railway Telecom" LLC web-site – www.grt.ge/ir.

This announcement of expression of interest is not an obligation of "Georgian Railway" LLC to sell or in any other way transfer "Railway Telecom" LLC or it's share to any interested party. It also does not give the right to use the announcement against "Georgian Railway" LLC in any way. "Georgian Railway' LLC has the right to terminate or change the procedure, exclude any

"Georgian Railway" LLC

Contact persons:

Name:	Megi Mumladze	Dimitri Kemoklidze	George Gotoshia
Position:	Head of Asset Management Agency	Head of Budgeting, Analysis & Reporting	CEO
Company:	"Georgian Railway" LLC	"Georgian Railway" LLC	"Railway Telecom" LLC
Tel:	+995 32 563348	+995 32 563159	+995 32 565684

შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 26 დეკემბრიდან აცხადებს ტენდერს სხვადასხვა მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **სხვადასხვა მარაგ-ნაწილების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2008 წლის **26 დეკემბრიდან** 2009 წლის **16 იანვრის** ჩათვლით **სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტი №	საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი	ერთ.	რაოდ
1	ელმავლის თუჯი სამუხრუჭო ხუნდი	ცალი	3 000
2	ელექტროჯაგრისი 2(8*50*60) (ან ანალოგი)	ცალი	4 000
	ელექტროჯაგრისი ЭГ-61(10*50*56/60) (ან ანალოგი)	ცალი	1 000
	ელექტროჯაგრისი 2(12,5*32*50) (ან ანალოგი)	ცალი	300
	ელექტროჯაგრისი 12,5*25*40 ტ332.05.00 (4-ნ-350821-03) დტ-701-4 (ან ანალოგი)	ცალი	200
	ელექტროჯაგრისი 16*25*40 ტ332.06.00 (4-ნ-350821-07) დტ-706-4 (ან ანალოგი)	ცალი	150
3	საჭრისი დ-12 მმ (ან ანალოგი)	ცალი	2 000
	საჭრისი ფინჯნისებური დ-30,8 მმ (ან ანალოგი)	ცალი	1 000
4	ფირფიტა სპილენძის დენმიმღების თხილამურის 440*6 მმ (ან ანალოგი)	კგ	200
	ფირფიტა ლითონკერამიკული დენმიმღების თხილამურის 44028*8 მმ (ან ანალოგი)	ცალი	4 000

3. **მიწოდების პირობა და ადგილი:** DDP თბილისი;
4. **მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2009 წლის 1 მარტისა;**
5. **პრეტენდენტებმა** საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 16 იანვრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

იურიდიული პირებისათვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ფიზიკური პირებისათვის :

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

7. **ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (წიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, ანგარიშსწორების პირობები (**არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი**);
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან სხვა ვალუტაში **დღგ-ს** გარეშე; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლიფილდს მსაჯებმა გამარჯვება მოპარეს



ჰოლიფილდი მსაჯებმა გაანაწყენეს.

გადაბერებული ევანდერ ჰოლიფილდისა და რუსი ნიკოლაი ვალუევის კრივი მსოფლიო მედიამ ჯერ კიდევ მის გამართვამდე მონათლა სკანდალურად. ყველას მიაჩნდა, რომ 46 წლის ამერიკელის რინგზე დაბრუნება უფრო მასხარაობა იქნებოდა, ვიდრე რეალური კრივი. მართალია ევანდერმა ურიგოდ არ იჩხუბა და ამით სპეციალისტთა პროგნოზები უარყო, მაგრამ ჰოლიფილდ-ვალუევის დაპირისპირებას სკანდალურობა არც ახლა აკლია.

საქმე ისაა, რომ ბრძოლა ქულებით მოიგო ვალუევმა, თუმცა თავად ჰოლიფილდს მიაჩნია, რომ მსაჯებმა მას გამარჯვება მოპარეს და ვეტერანი მოკრივის აზრს უცხოური მედიაც იზიარებს.

მსაჯების გადაწყვეტილებამ უცხოურ მედიაში კრიტიკის მთელი ტალღა გამოიწვია. სხვადასხვა გამოცემებმა საკუთარი ათვლა აწარმოეს და დაადგინეს, რომ შეხვედრა ჰოლიფილდის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო.

დარწმუნებული ვარ ჰოლიფილდმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ელიტის ნებისმიერი სხვა მოკრივე ვალუევის გარდა ჰოლიფილდს იოლად გაუსწორდებოდა. უბრალოდ ვალუევი გამოიყურებოდა იმდენად სავალალოდ, რომ კრივი წესით და რიგით ევანდერის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. WBA-ს პრეზიდენტმა ჰოლიფილდს ბოდიში უნდა მოუხადოს მსაჯების ასეთი გადაწყვეტილების გამო და ვალუევს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვას. მიმაჩნია, რომ კრივის საზოგადოება შეურაცხოფილი უნდა იყოს. ეს არის კორუფციის აშკარა მაგალითი. თუ ვალუევს ტიტული შეუნარჩუნეს ეს კრივის სირცხვილი იქნება, - აცხადებს გამოცემა სპორტ ილუსტრეიდის კრივის მიმომხილველი კრის მენიკსი.

აღსანიშნავია, რომ თავად ჰოლიფილდმა უკვე მიმართა WBA-ს ხელმძღვანელობას და ვალეუვთან გამართული დაპირისპირების შედეგის გადახედვას ითხოვს.

ჩინელები თეთრ ოლიმპიადაზე ფიქრს შეუდგნენ

პეკინში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის შემდეგ ჩინელებს საღერღელი აეშალათ და ახლა ზამთრის თამაშების მასპინძლობაც ამოუჭრიათ გულში. ყოველ შემთხვევაში "ჩაინა დეილის" ცნობით, ჩინელთა საოლიმპიადო მზერას 2018 წელთან მივყავართ.

ჩინელებს თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქად ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქი ხარბინი შეუგულებიათ, რომელიც თავის მხრივ გაისად თებერვალში ზამთრის უნივერსიადის სამასპინძლო სამზადისშია.

სტუდენთა უმთავრესი საასპარეზო არენებეისთვის ჩინელებს დაახლოებით 450 მილიონი დოლარი დაუხარჯავთ. ამბობენ, სწორედ ეს ობიექტები გახდება 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისში ათვლის წერტილიო.

"თუ უნივერსიადის ჩატარება დანარჩენ მსოფლიოში დადებით გამოხმაურებას ჰპოვებს, მაშინ 2018 წლის თამაშების მასპინძლობის უფლებისთვის ბოლომდე ვიბრძლლებთ",- აცხადებს პროვინციის გუბერნატორი, რომლის უმთავრესი ქალაქიც სწორედ ხარბინია, ლი ჩჟანსუ.

სხვათა შორის, ხარბინელთათვის ამგვარი მცდელობა პირველი როდია. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქი 2010 წლის თამაშების მსურველ კანდიდატთა შორის იყო, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ არჩევანი ვანკუვერზე (კანადა) შეაჩერა.

"თუ კვლავაც წარუმატებლობას ვიგემებთ, მთელ ძალისხმევას 2022 წლისკენ მივმართავთ. ვოცნებობთ ჩინეთის ისტორიაში პირველად ვუმასპინძლოთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს", - დასძენს ლი ჩჟანსუ.

...ხუთმილიონიან ხარბინს 2018 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებისთვის ისეთ ქალაქებთან მოუწევს კონკურენცია, როგორებიცაა მიუნხენი და საფრანგეთიდან ნიცა ან გრენობლი (ფრანგებს ჯერ შიგნით აქვთ გასარკვევის საბოლოო კანდიდატურა გამოსავლენი).

ისე კი კანდიდატთა ნუსხა მარტო გერმანიისა და საფრანგეთის კურორტებით რომ არ შემოიფარგლება ცხადია.

მსურველთა რაოდენობა მალე უფრო გაიზრდება.

ფელპსი ბრუნდება

2008 წლის ოლიმპიური თამაშებზე რვა ოქროს მომხვეჭი, მაიკლ ფელპსი სპორტულ კარიერას მომავალი წლის ივლისიდან გააგრძელებს.

ივლისში ფელპსი აშშ-ს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი რომში გასამართ მსოფლიო პირველობაზეც.

ფელპსის მწვრთნელის ბობ ბოუმენის თქმით, მოცურავე ვარჯიშს თებერვალში დაიწყებს. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ შესაძლოა მსოფლიო პირველობისთვის მაიკლმა ოპტიმალური ფორმა ვერ აკრიფოს, თუმცა 2009 წლის შემოდგომისთვის უკვე სრულ მზადყოფნაში იქნება.

თავად სპორტსმენი მიიჩნევს, რომ 7-11 ივლისამდე, როდესაც ინდიანაპოლისში აშშ-ს ჩემპიონატი გაიმართება იგი უკვე სათანადო ფორმაში იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების აზრით ფელპსისთვის უმჯობესი იქნება, თუ იგი კონცენტრაციას 400 მეტრიან დისტანციაზე მოახდენს, მოცურავე აპირებს უფრო მოკლე დისტანციებზე ცურვას. უნდა ითქვას, რომ ცურვის სპეციალისტების აზრით, ფელპსს აქვს რეალური შანსი 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ მოიგოს ოქროს მედლები, ოღონდ 400 მეტრიან დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში.

შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 23 წლის ამერიკელმა მოცურავემ რვა ოქროს მედალი მოიგო და შვიდი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ორი ოლიმპიადის ჯამში კი ფელპსს უკვე 14 ოლიმპიური ოქრო აქვს მოგებული. პეკინში ფელპსმა დაამხო მარკ სპიცის რეკორდი, რომელმაც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე შვიდი ოქრო მოიგო, ამავდროულად ფელპსმა უკან ჩამოიტოვა ისეთი ლეგენდარული სპორტსმენები როგორებიც არიან ფინელი პავო ნურმი, ამერიკელი კარლ ლუისი და რუსი ლარისა ლატინინა. მაიკლი ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან ოლიმპიელად იქცა. თუმცა არის ერთი მიღწევა, რომელიც ფელპსს ჯერ არ დაემორჩილა. მთლიანობაში ამერიკელ მოცურავეს 16 ოლიმპიური მედალი აქვს (14 ოქრო და ორი ვერცხლი), ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ ლატინინა უსწრებს, რომელსაც კარიერის განმავლობაში 18 ოლიმპიური მედალი მოუგია.

აღსანიშნავია, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ფელპსმა თქვა, რომ მომავალში აპირებს საკუთარი ძალების სხვა დისტანციებზე გამოცდას და ამის გამო რამდენიმე საყვარელ და მისთვის საკმაოდ იოლად მოსაგებ დისტანციაზე უარს იტყვის.

შეგახსენებთ, რომ მედლების უმეტესობა მაიკლმა ბატერფლაითა და კომპლექსური სტილით ცურვაში მოიპოვა.

საინტერესოა, რომ სიცოცხლეში ლეგენდად ქცეული სპორტსმენი ბავშვობაში ცურვაზე მხოლოდ იმის გამო შეიყვანეს, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. თურმე ფელპსი სუსტი ბავშვი ყოფილა და ხშირად ავადმყოფობდა. ექიმებმა თავის დროზე ფელპსს დიაგნოზად ჰიპერაქტივობა და ყურადღების დეფიციტი დაუსვეს. ცურვის სექციაზე სიარულით ფელპსმა არა მხოლოდ ჯანმრთელობა გამოისწორა, არამედ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს სპორტსმენადაც იქცა. ზოგიერთი უცხოური საინფორმაციო საშუალების მტკიცებით ფელპსს მსუბუქი ფორმის აუტიზმიც ჭირს. თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს ოლიმპიური ოქროს მოგებაში.

ნინო სალუქვაძე საქართველოს თასის მფლობელია

საქართველოს თასის ღია გათამაშებაში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელსაც ნინო სალუქვაძის სახელობის ტირი მასპინძლობს, გუშინ ქალთა შორის გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ.

ტურნირში ქართველებთან ერთად აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც ასპარეზობენ. სპორტსმენთა საერთო რაოდენობა კი 33-ია, აქედან 11 ქალი და 22 მამაკაცია.

საქართველოს თასის გამარჯვებული, ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე გახდა, რომელმაც საერთო ჯამში 485,5 ქულა დააგროვა. მეორეზე აზერბაიჯანელი ირადა აშუმოვა (471,5) გავიდა. მესამე ადგილი კი 469,0 ქულით სოფიო არეშიძემ ირგუნა.

გუშინ 25 დეკემბერს საქართველოს თასი ვაჟებმა გაითამაშეს, დღეს კი, ტურნირის საზეიმო დახურვა მოეწყობა.

ველოსპორტსმენებმა ფედერაცია ბესიკ ნადირაძეს კიდევ ოთხი წლით ჩააბარეს

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ველოსპორტის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ჩატარდა, რომელმაც პრეზიდენტად მესამე ვადით ბესიკ ნადირაძე აირჩია.

არჩევნებზე პრეზიდენტობის მსურველი სამი კანდიდატიდან ორმა: ომარ ფხაკაძემ და ბიჭიკო ასკურავამ კანდიდატურები მოხსნეს და ასარჩევი მხოლოდ ნადირაძეღა დარჩა, რომელსაც ყრილობაზე დამსწრე 51-მა დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი. ძველმა-ახალმა პრეზიდენტმა ფედერაციის ახალი შემადგენლობაც დაასახელა: პირველ ვიცე-პრეზიდენტად მან ომარ ფხაკაძე დაასახელა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად ბიჭიკო ასკურავა, დავით გელაშვილი და გოგი საყვარელიძე. გენერალური მდივნის თანამდებობა რუსლან ჯაოშვილმა დაიკავა.

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური თასი რუსთავში დარჩა

ლეგენდარული ქართველი კალათბურთელების, ოლიმპიური ჩემპიონების, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ტრადიციული მემორიალური ტურნირი, რომელიც წლეულს მეოთხედ გაიმართა, რუსთავის "ენერჯი ინვესტის" გამარჯვებით დასრულდა: რუსთავის "ქიმიკოსთა" დარბაზში გამართულ ფინალურ შეხვედრაში, ტურნირის მასპინძელმა და საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა "ენერჯი ინვესტმა" 91:60 დაამარცხა ნტდ-"თბილისი" და გამარჯვებულისთვის დაწესებული გარდამავალი თასი მინიმუმ ერთი წლით რუსთავში დაიტოვა.

მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ამპლუაში მოთამაშე საუკეთესო კალათბურთელებისთვის დაწესებული პრიზები გამარჯვებული გუნდის წევრებმა - უკანახაზელმა ლაშა გამყრელიძემ და ფორვარდმა ბესიკ ლეჟავამ დაიმსახურეს.

მემორიალის წინა გამარჯვებული "თბილავიამშენი" ამჯერად საერთოდ არ მონაწილეობდა ტურნირში, რის მიზეზადაც გუნდში არსებული ფინანსური კრიზისი დასახელდა.

დღემდე გამართული ყველა მემორიალის ფინალი:
2006 წელი: რუსთავი - სტუ 106:77
2007 წელი: "ენერჯი ინვესტი" - თსუ 95:75
2008 წელი (გაზაფხული): "თბილავიამშენი" - "ენერჯი ინვესტი" 80:78
2008 წელი (ზამთარი): "ენერჯი ინვესტი" - ნტდ-"თბილისი" 91:60

გაგრელთა დანაკლისი

27 დეკემბერს, ქართლის სტადიონზე, საფეხბურთო კლუბი გაგრა" მიმდინარე წელს ბოლო შეხვედრას გამართავს. ცხინვალთან" მატჩს გაგრელები გარკვეული დანაკლისით ხვდებიან. გაგრას" ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, გუნდს გიორგი გაბედავა და თამაზ ჩარგეიშვილი დააკლდებიან, რომელთაც სიონთან" მატჩში ყვითელი ბარათები მიიღეს და დისკვალიფიცირებულები არიან.

შესაძლოა, შეხვედრაში მონაწილეობა ცენტრალურმა მცველმა გიორგი ტყეშელაშვილმაც ვერ მიიღოს. მან ბოლნისელებთან მატჩში ფეხი იტკინა. ითამაშებს თუ არა ეს უკანასკნელი, თამაშის დღეს გახდება ცნობილი.

გუნდებს შორის გამართულ პირველ შეხვედრაში, ამერის" სტადიონზე, გამარჯვება სპარტაკმა" იზეიმა.

მოურინიო ჟურნალისტებს არ სწყალობს

მილანის ინტერის" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ, მოულოდნელად აღიარა, რომ მას მასმედიასთან ურთიერთობა აღიზიანებს. ერთ-ერთ აპენინურ ინტერნეტ-გამოცემისთვის გაკეთებულ კომენტარში, პორტუგალიელი ამბობს:

მატჩის შემდეგ მთელი საათი პრესასთან ურთიერთობა მიწევს, რაც სერიოზულად მეჯავრება. მიწევს შევეგუო ჩემთვის აუტანელ პროცედურას, რადგან ეს კლუბებსა და იტალიურ პრესას შორის დადებულ ხელშეკრულებაშია გაწერილი. მე ეს არ მომწონს. ჩემთვის ეს გვერდიდან განცდილი ზეწოლის ტოლფასია - განსაკუთრებით მაშინ, როცა რეპორტიორებთან უთანხმოება წარმოიშობა".

რაულს ნაკრებში აბრუნებენ

ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე, რომელმაც გუნდი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ჩაიბარა, ნაკრებში მადრიდის რეალის" ფორვარდ რაულის დაბრუნებას იმედოვნებს.

რაული რეალის" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და ჩინებულადაც გამოიყურება. როდესაც კი შესაფერისი მომენტი იქნება, მის ნაკრებში დაბრუნებას ვეცდები" – აღნიშნა დელ ბოსკემ.

რაულს ესპანეთის ეროვნულ გუნდში 2006 წლიდან არ უთამაშია, რაც მისი და გუნდის მწვრთნელ ლუის არაგონესს შორის არსებული უთანხმოებით გახლდათ განპირობებული.

ძოლა წასვლით დაიმუქრა

ლონდონის ვესტ ჰემის" მთავარმა მწვრთნელმა ჯანფრანკო ძოლამ, რომელმაც ეს პრემიერლიგური გუნდი მიმდინარე სეზონის მსვლელობისას ჩაიბარა, შეიძლება დაკავებული პოსტი საკუთარი ნებით დატოვოს.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბის ხელმძღვანელობა პოზიციებს არ დათმობს და იტალიელი სპეციალისტის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, გუნდის რომელიმე წამყვან მოთამაშეს გაყიდის.

რედნაპს დააჯილდოვებენ

ლონდონის ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი, დამდეგ თებერვალში, ფეხბურთის განვითარებისთვის გაწეული ღვაწლისათვის (Lifetime Achievement Award), ჯილდოს მიიღებს.

რედნაპს აღნიშნულ ჯილდოს ყოველწლიური საქველმოქმედო საღამოს პროგრამის მიხედვით გადასცემენ, საიდან მიღებული შემოსავალიც, გადაირიცხება ორგანიზაციაში, რომელიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ტრავმირებული ბავშვებისა და მოზარდების თერაპიას ახორციელებს.

მონაკომ" ფორვარდს კონტრაქტი გაუგრძელა

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე მონაკოს" ფორვარდმა ფრედერიკ ნიმანიმ, კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა.

20 წლის წარმოშობით ჩადელმა ფეხბურთელმა, გასული სეზონის პირველი ნახევარი იჯარით ლორიენში" გაატარა, ხოლო მეორე - სედანში".

მიმდინარე სეზონში, მონაკოელთა რიგებში მან ოთხი ბურთი გაიტანა.

ბერბატოვი საუკეთესოა

ბულგარეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი, 2008 წლის ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ბულგარული სპორტული გამოცემების ინფორმაციით, ბერბატოვმა ქვეყნის ნომერ პირველი ფეხბურთელი მეხუთედ გახდა და აღნიშნული მაჩვენებლით, ეროვნული გუნდისს და ესპანეთის ბარსელონას" ყოფილ ფორვარდ ხრისტო სტოიჩკოვს გაუტოლდა.

ბერბატოვი მანჩესტერულ კლუბში მიმდინარე სეზონის წინ ტოტენჰემიდან" გადავიდა და პრემიერლიგაში ჩატარებულ 13 შეხვედრაში, ორი გოლი გაიტანა. 27 წლის ფორვარდი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 1999 წლიდან გამოდის და 64 მატჩში მეტოქის კარი 41-ჯერ აიღო.

რონალდინიო გაძარცვეს

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და მილანის" შემტევი ნახევარმცველი რონალდინიო, მძარცველების მსხვერპლი გახდა.

სამშაბათს, გვიან ღამით, ბოროტმოქმედებმა მილანის რაიონ გალიატე ლომბარდოში მდებარე რონალდინიოს სახლში შეაღწიეს და რამდენიმე ათეულ ათასი ფუნტის ღირებულების ძვირფასეულობა გაიტაცეს. აღსანიშნავია, რომ მძარცველებს ფეხბურთელის მიერ კარიერის განმავლობაში მოპოვებული ჯილდოები არ წაუღიათ.

ძარცვის დროს რონალდინიო სახლში არ იმყოფებოდა, ვინაიდან ამჟამად საშობაო არდადეგებს ბრაზილიაში ატარებს.

ინტერს" მილიტო იჯარით უნდა

მილანის ინტერს" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ჯენოადან" მიმდინარე სეზონში სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირის, არგენტინელი დიეგო მილიტოს იჯარით გადაყვანა უნდა.

მილიტო, რომელმაც 2005-2008 წლებში პრიმერადივიზიონში ჩატარებულ 108 მატჩში მეტოქის კარი 51-ჯერ აიღო, ძჯენოაში" მიმდინარე სეზონის წინ გადავიდა და 13 თამაშში 12 გოლი მიითვალა.

29 წლის ფორვარდი არგენტინის ეროვნული გუნდის ღირსებას 2003 წლიდან იცავს და 16 თამაშში საკუთარ ანგარიშზე 4 ბურთი ჩაიწერა.

ვენგერი ფაბრეგასის შემცვლელს ეძებს

ლონდონის არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი, იანვარში გუნდის შემადგენლობის გაძლიერებას შვეიცარიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ გეკჰან ინლერის შეძენით გეგმავს.

ინგლისელები მზად არიან უდინეზეს" შუახაზელის საანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

ვენგერი შვეიცარიელს სესკ ფაბრეგასის შემცვლელად მოიაზრებს, რომელიც მუხლის ტრავმის გამო, ოთხი თვე ვერ ითამაშებს.

ფეხბურთელი, რომლის შეძენა ყველას სურს

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში დიდი სატრანსფერო ომი გაიმართება ვალენსიასა ესპანეთის ნაკრების ფორვარდ დავიდ ვილიაზე. ამ ფეხბურთელის შეძენა ალბათ უკლებლივ ყველა გრანდს სურს. მიუხედავად იმისა, რომ ღამურები კარგა ხანს უარობდნენ ვილიას გაყიდვას, როგორც ჩანს ვალენსიელთა შეფები მაინც დახარბდნენ ფულს და სავარაუდოდ ფორვარდი ზამთარშივე გაიყიდება.

ინგლისურმა გამოცემა The Mirror-მა ის 10 უმნიშვნელოვანესი ფაქტი გამოაქვეყნა, რომელიც გულშემატკივარმა ფეხბურთელის შესახებ უნდა იცოდეს.

საქმე ისაა, რომ ვილიას ინგლისში მოხვედრის შანსი საკმაოდ დიდია.

დავიდ ვილიაზე ნამდვილი ტაცია ობა გამოცხადდა.

1.დავიდ ვილია სანჩესი დაიბადა 1981 წლის 3 დეკემბერს, ესპანეთის ჩრდილოეთი პატარა ქალაქ ლანგრეოში. მისი ზედმეტსახელია El Guaje, რომლის თანრგმანიც "ბავშვს" ნიშნავს. ფეხბურთელის მეუღლეს პატრისია ქვია, მათ გოგონას კი საიდი.

2.19 წლის ასაკში ვილიამ ბარძაყის უმძიმესი ტრავმა მიიღო და შესაძლოა, მისი კარიერა დაწყებამდე დასრულებულიყო კიდეც, თუმცა ის სრულად განიკურნა და მალე კონტრაქტი ხიხონის "სპორტინგთან" გააფორმა.

3.სპორტინგში ვილიამ სამი სეზონი დაჰყო და 50 გოლიც გაიტანა, რითაც უკვე ესპანეთის ელიტარულ დივიზიონში მასპარეზე "სარაგოსა" დაინტერესდა და 2003 წელს ვილიამ ამ კლუბთან კონტრაქტიც გააფორმა. ახალ კლუბში ის უცბადვე ვარსკვლავად იქცა. პირველივე სეზონში ვილიამ 17 გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთმა, კლუბს ქვეყნის თასი მოაგებინა.

4.ვალენსიამ ვილია 2005 წელს 8 მილიონ გირვანქა სტერლინგად იყიდა. ღამურების მაისურით გამართულ პირველსავე სეზონში ფორვარდმა 25 გოლი გაიტანა და ესპანეთის პრიმერადივიზიონის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილიც დაიკავა, ვილია მხოლოდ ბარსელონელ სამუელ ეტოოს ჩამორჩა.

5."ვალენსიაში" გატარებულ პირველსავე სეზონში, ის ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ჰეთ-თრიკის ავტორი გახდა: "ატლეტიკოს" წინააღმდეგ გამართულ მატჩში, მას სამი გოლის გასატანად სულ რაღაც 5 წუთი დასჭირდა.

6.ჰეთ-თრიკითვე აღნიშნა ვილიამ ვალენსიაშ გამართული მეასე საიუბილეო მატჩი.

7.ვილიას მეტოქის კარის დალაშქვრის ფენომენალური ნიჭი აქვს. "ვალენსიას" შემადგენლობაში, მისი შედეგიანობა საშუალოდ ორ თამაშში გატანილი ერთი გოლია. მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 19 შეხვედრაში, მან 15 გოლი გაიტანა, მთლიანობაში კი კლუბის მაისურით გამართულ 334 მატჩში 166 გოლის გატანა მოახერხა.

8.დავიდს საოცარი სილამაზის გოლებიც კარგად გამოსდის. ერთხელ "დეპორტივოს" წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში, ვილიამ მოედნის ცენტრიდან ფანტასტიური გოლი გაიტანა.

9.ესპანეთის ნაკრებში ვილიას დებიუტი 2005 წლის 9 თებერვალს, სან მარინოს ნაკრებთან 5:0 მოგებულ შეხვედრაში შედგა. მას შემდეგ, ქვეყნის უპირველესი გუნდის მაისურით 41 მატჩი ჩაატარა და 24 გოლი გაიტანა.

10.ვილიამ ორ უდიდეს ტურნირზე მიიღო მონაწილეობა და მისი შედეგიანობა იქაც თვალსაჩინო აღმოჩნდა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მან 3 გოლი გაიტანა და ფერნანდო ტორესთან ერთად, ესპანეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 2008 წლის ევროპის პირველობაზე კი უკვე 4 გოლი გაიტანა, ყველა კონკურენტს აჯობა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სამწუხაროდ, დავიდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალი გამოტოვა, რადგანაც ნახევარფინალში მიღებული ტრავმის მოშუშება ვერ მოახერხა.

ბრუნო კონტის საუკეთესოდ ტოტი მიაჩნია

ფეხბურთის სტატიან გულშემატკივარს კარგად უნდა ახსოვდეს ენცო ბეარზოტის იტალიის ნაკრები, რომელმაც 1982 წლის მუნდიალის ფინალურ ეტაპზე საოცრებები მოახდინა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

სკუადრა აძურას რიგებში იმ დროს არაერთი ვარსკვლავი თამაშობდა და მათ შორის იყო რომას ცოცხალი ლეგენდა ბრუნო კონტი, რომელიც ამჟამად უკვე 53 წლისაა და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის ელჩობაც უკისრია. მოგეხსენებათ ფინალს რომი უმასპინძლებს.

კონტი დიდი სიამოვნებით დათანხმდა უეფას ოფიციალური ვებგვერდის წარმომადგენლების შემოთავაზებას და გულშემატკივართა მიერ საიტზე გაგზავნილ შეკითხვებსაც უპასუხა.

- თქვენი აზრით ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის რომაულ ფინალში?

- ფინალში თამაშის ყველაზე მეტი შანსი იმ გუნდებს აქვთ, რომლებიც კარგად არიან დაკომპლექტებულები. ასეთ გუნდებად მე მანჩესტერს, ბარსელონას და ჩელსის მივიჩნევ. იტალიური კლუბებიდან კი ფინალში თამაშის ყველაზე მეტი შანსი ინტერს აქვს.

- რას გაიხსენებდით 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან, რომელიც თქვენ მოიგეთ?

- ასეთი მომენტები არ გავიწყდება. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საკლუბო დონიდან სანაკრებო დონეზე გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯია. ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე ცხადია ყველა ოცნებობს. თანაც იმ მუნდიალზე ძალიან ძლიერი გუნდები დავამარცხეთ. არგენტინა, ბრაზილია, გერმანია, თუმცა თავად გამარჯვების სიხარული იმდენად დიდია, რომ ვის მოუგე ამაზე უკვე აღარ ფიქრობ.

- ფეხბურთელობის პერიოდში თქვენი მთავარი კოზირი სისწრაფე და დრიბლინგი იყო. აქედან გამომდინარე, რას გვეტყოდით კრიშტიანუ რონალდუზე?

- ხალხს სწორედ ისეთი ფეხბურთელები მოსწონს როგორებიც არიან ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუ და რონალდინიო. თანაც ამ ფეხბურთელებს ძალუძთ საკუთარი ნიჭი წარმატების მისაღწევად გამოიყენონ. ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში სწორედ ეს იყო ჩემი კრედო, მეთამაშა ის ფეხბურთი, რომელიც ქომაგს სიამოვნებას მიანიჭებდა და შედეგსაც მოიტანდა.

- ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

- კლაუდიო ჯენტილე. გარდა იმისა, რომ მინდორზე არაფერს თმობდა, აგრეთვე ძალიან ჭკვიანი მცველიც იყო. მისგან ბევრი ვისწავლე. ჯენტილე მე კი არა, თავად მარადონასაც უმწარებდა სიცოცხლეს.

- თქვენი აზრით რომას ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ვინაა?

- ვფიქრობ, ფრანჩესკო ტოტი. თუ გავითვალისწინებთ ჩატარებული მატჩების რაოდენობას და გატანილ გოლებს, ტოტიმ კლუბის ყველა რეკორდი დაამხო. თანაც მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიგო. ტოტი ქარიზმატული ფეხბურთელია და პარტნიორების აყოლიებაც შეუძლია.

- მართალია თუ არა, რომ თქვენ შესაძლოა ბეისბოლის მოთამაშე გამხდარიყავით?

- ამ ისტორიაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არსებობს. ჩემს მშობლიურ ქალაქ ნეტუნოში იტალიაში ყველაზე პოპულარული ბეისბოლის კლუბს უდევს ბინა. ახალგაზრდობაში ზაფხულობით მუდმივად ვთამაშობდი ბეისბოლს და ერთხელაც ამერიკულ უნივერსიტეტ სანტა-მონიკას წარმომადგენლებმა სტიპენდია შემომთავაზეს, თუ მათ გუნდში ვითამაშებდი. თუმცა მამაჩემმა არჩია სახლში დავრჩენილიყავი. ერთი წლის შემდეგ კი რომასთან გავაფორმე კონტრაქტი.

დუნგა ამაურის გარანტიას არ აძლევს

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს დუნგა, მზადაა გუნდში ტურინის იუვენტუსის" თავდამსხმელი ამაური იმ პირობით გამოიძახოს, თუ ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ადგილს არ მოითხოვს. მზად ვარ ამაური ნაკრებში გამოვიძახო, თუ ის სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას არ მომთხოვს. მისთვის უკეთესი იქნებოდა, თავიდანვე საკუთარი ამბიციების თაობაზე კი განეცხადებინა, არამედ, გუნდში ადგილი მოპოვებაზე ეზრუნა. ამაურის ხილვა ნაკრებში ყველას სურს. თუმცა, თუ ის პირველივე შეხვედრას ჩააგდებს", მაშინ, მეორე დღეს უბრალოდ გაანადგურებენ". აღსანიშნავია, რომ დუნგა ტურინელთა ფორვარდის მენეჯერის სიტყვებმა აღაშფოთა, რომლის თქმით, მისი კლიენტი ბრაზილიელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილს დიდი ხანია იმსახურებს. ეროვნული გუნდის ძირითადში", ადგილს პელეც კი არ ითხოვდა. დაეკითხოს ამაური ოქროს ბურთის" მფლობელებს - კაკასა და რონალდინიოს, თუ მოუთხოვიათ მათ როდესმე სასტარტო შემადგენლობაში ადგილი" - თქვა დუნგამ.

ვან დერ ვაარტს იანგი შეცვლის?

რეალის" ხელმძღვანელობა რომ ზაფხულში შეძენილი რაფაელ ვან დერ ვაარტის ასპარეზობით კმაყოფილი არ არის, ეს ახალი ამბავი არ არის. არც ის არის სიახლე, რომ მადრიდელები ჰუნტელაარის და ლასანა დიარას ტრანსფერების შემდეგ ასტონ ვილას" ახალგაზარდა შემტევის, ეშლი იანგის შეძენას აპირებენ. ესპანურმა მედიამ კი ცოტა ხნის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მადრიდელები ინგლისელის ტრანსფერში სწორედ ჰოლანდიელის ჩართვას აპირებენ. როგორც ცნობილია, ბირმინგემელი კლუბი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გაშვებას 32 მილიონ ევროზე ნაკლებად არ აპირებენ და სამეფო კლუბის მესვეურებმაც ფასის დაგდება შესაძლოა მართლაც ვან დერ ვაარტის საშუალებით სცადონ.

ტოტის აბატეც გამოექომაგა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ჯანკარლო აბატეს განცხადებით, იგი ყველაფერს იღონებს, რათა რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშოს. ტოტი დიდი ფეხბურთელია, რომელიც მუნდიალზე ასპარეზობას ნამდვილად იმსახურებს. ფრანჩესკოსა და ნაკრების მწვრთნელ მარჩელო ლიპის ჩინებული ურთერთობა აქვთ, ამდენად, საერთო ენის გამონახვა არ უნდა გაუჭირდეთ", - განაცხადა აბატემ. ტოტიმ სკუადრა აძურას" მაისურით ასპარეზობაზე უარი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მოგების შემდეგ თქვა, რაც გადაღლილობით ახსნა. თუმცა, იტალიის ეროვნული ნაკრების სათავეში მარჩელო ლიპის დაბრუნების შემდეგ, 32 წლის ფრანჩესკოს სკუადრაში" გამოჩენა სულ უფრო რეალური ხდება.

ბარსელონა ვილიას ყიდულობს

ესპანურმა ვალენსიამ" უარი განაცხადა დავიდ ვილიას ბარსელონასთვის" მიყიდვაზე, მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელები ეროვნული ნაკრების ფორვარდის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს იხდიდნენ. ესპანური მედიის ინფორმაციით, ბარსელონელები ამაზე გაჩერებასაც არ აპირებენ და როგორც სჩანს, მალე სანადელსაც მიაღწევენ, რადგანაც ვალენსიელები ვილიას სანაცვლოდ, კატალონიელთა შეთავაზებაზე არცთუ ბევრით მეტს - 40 მილიონ ევროს ითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2008 წლის 29 ნოემბრის გაზეთ „24 საათში" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №3, №5, №7, №8, №14, №15 და №16 სალიცენზიო ობიექტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ ინფორმაციას №3, №5, №7, №8, №14, №15 და №16 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

ობიექტის №	ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა	აუქციონის საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი)	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი)
3	თეთრი წყარო, სოფ. დურნუკი	„დურნუკის" ბაზალტის (საღორღე) გამოვლინება	P	20 წელი	309 000 მ³	10 000	2 000	1 204,2
5	თეთრი წყარო, სოფ. გოხნარი	„გოხნარის" ბაზალტის (საღორღე) გამოვლინება	P	10 წელი	17 000 მ³	10 000	2 000	862,2
7	მარნეული, სოფ. კოტიში	ბაზალტის გამოვლინება	P	20 წელი	277 000 მ³	10 000	2 000	567,20
8	ლაგოდეხი, სოფ. კაბალი	მდ. კაბალის ქვიშა-ხრეშის საბადო	C_1+C_2	5 წელი	359 100 მ³	48 150	9 630	-
14	წყალტუბო, სოფ. სარბევი	მდ. რიონის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	5 წელი	227 100 მ³	30 451	6 090	1 943.4
15	თელავი, სოფ. აკურა	მდ. ვანთისხევის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	2 წელი	60 000 მ³	9 754	1 951	1 082.4
16	ახალქალაქის მიმდებარე ტერიტორია	„ახალქალაქის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	3 წელი	46 000 მ³	7 002	1 400	1 145/4

აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურის ქ.№12; ტელ. 98 20 13, 98 23 62 აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს 11 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს.
ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.	**სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე"-ს** შემოტანის ქვითარი	**„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000
მე-3; მე-5; მე-7; მე-14, მე-15 და მე-16 ობიექტზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური	**სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები	დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. მე-17 ობიექტზე აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია „ფანშეთი"-ს მინერალური წყლის დარჩენილ დებიტზე ახალი ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ხელი არ შეუშალოს ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობაში.
აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს	
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები	გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

სსაქმე №2/8621-2006

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო
2 ოქტომბერი, 2008 წელი ქ. თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე **მაკა ჭედია**
სხდომის მდივანი - თეონა საანიშვილი
მოსარჩელე - ირა ესიტაშვილი
წარმომადგენელი - დავით გიორგაშვილი
მოპასუხე - ვასილ რეხვიაშვილი (არ გამოცხადდა)
დავის საგანი - ფულადი ვალდებულების შესრულება, ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2005 წლის 7 დეკემბერს სარჩელით მიმართა ირა ესიტაშვილმა მოპასუხე ვასილ რეხვიაშვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 234-237-ე, 53-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ირა ესიტაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. ვასილ რეხვიაშვილს დაეკისროს მოსარჩელე ირა ესიტაშვილის სასარგებლოდ ძირითადი დავალიანების 2500 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში და პროცენტის 1050 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში გადახდა;
3. მოპასუხე ვასილ რეხვიაშვილს დაეკისროს მოსარჩელე ირა ესიტაშვილის სასარგებლოდ 159 ლარისა და 75 თეთრის გადახდა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
4. მოპასუხე მხარეს გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით;
5. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მოპასუხისათვის მისი ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივრის წარმოდგენით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

მოსამართლე: მ. ჭედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტალური-დამტვირთველი:
456 HT

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 $მ^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.

მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219)
E-mail: jcb@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

შპს "ბუდა - 95" აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - **2900 კუბ.მ ტევადობის (24000 კუბ. მ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - **ქ. სამტრედია, კაკაბაძის 10** და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).

საჯარო განხილვა მოეწყობა: **ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. 10,** 2009 წლის 19 თებერვალს, 14.00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **შპს "ბუდა - 95"**-ს ადმინისტრაციას.

შპს "ბუდა - 95"

2008 წლის 31 დეკემბერს, 12 საათზე შედგება შპს "გზამშენი-4"-ს პარტნიორთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა;
2. საზოგადოების პარტნიორების შესახებ;
3. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
4. სხვადასხვა.

კრება ჩატარდება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: თბილიში, რუსთავის გზატკეცილი №247

ᲰᲐᲘᲓᲔᲚᲑᲔᲠᲒᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ
HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი" აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

რუსთავის ცემენტის ქარხნისთვის ლენტური ტრანსპორტიორის გორგოლაჭის დამზადებაზე (თანდართული ნახაზების მიხედვით, სიგრძით: L=1150, რაოდენობა 50 ცალი; L=380, რაოდენობა 150 ცალი).

L

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2008 წლის 31 დეკემბერი.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

შეტანილ იქნას ცვლილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ 2008 წლის 25 დეკემბრის გაზეთ „24 საათში" საოფისე და დამხმარე ფართის და მისი მიმდებარე ეზოს მოვლა-დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების მე-3 და მე-5 პუნქტებში:

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო კომისიის აპარატში სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 13 იანვრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 13 იანვრის 13:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შესყიდვების ჯგუფი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

გაზეთ „24 საათი"-ს 2008 წლის 25 დეკემბრის ნომერში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აუქციონის ჩატარების შესახებ შეტანილია **ცვლილება,** კერძოდ ნაცვლად 19 დეკემბრისა აუქციონი ჩატარდება 23 იანვარს.

ᲡᲡᲘᲞ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

სსიპ დაცული ტერიტორიების მიერ, ავტომობილების შესყიდვის მიზნით, მიმდინარე წლის 3 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "სენა ავტო", რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება მიმდინარე წლის 25 დეკემბერს.

გამოშვებულია სს ᲔᲗᲩ ᲔᲡ ᲑᲘ ᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ საქართველოს მიერ

ჯეკრი
ALDAGI BCI INSURANCE COMPANY
BTA BANK • ბითიეი ბანკი

რეალური ყველა

© გაზეთი 24 საათი

ყველა, ვინც სამსახურში მისვლისთანავე ტანსაცმელს იცვლიან, ჩვენი პროდუქციის პოტენციური მომხმარებელია

2

რა ჯდება ქვეყანაში სასურველი ბინის შეძენა

6

რუსეთში სამშენებლო ბუმი დასრულებულია

6

ატმოსფერული ნალექების უმნიშვნელო მატება თბილისში მდგომარეობას დაამძიმებს

7

"მუცოს თორღვაის ციხესა!"

მუცოს სიცოცხლე დავუბრუნოთ

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა, ვინც სამსახურში მისვლისთანავე ტანსაცმელს იცვლის, ჩვენი პროდუქციის პოტენციური მომხმარებელია

ირმა ჩიტაია



სამშენებლო ბიზნესისი განვითარებასთან ერთად სპეცტანსაცმელსა და ეკიპირებას დღითიდღე მეტი ყურადღება ექცევა. ამ ტიპის პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია და იმპორტიორებთან ერთად, ქართული კომპანიები ბაზარს უკვე საკუთარი პროდუქციით ამარაგებენ. კომპანია "უნივერსალ ბიზნეს გრუპმა" საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად ეს სფერო შეარჩია. ისინი ბაზარს როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე უცხოური პროდუქციით ამარაგებენ. "რეალური კაპიტალი" აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრა კომპანიის გენერალურ დირექტორს რომან ბადელიანს.

- რა ადგილი უჭირავს სპეცტანსაცმელსა და ეკიპირებას სამშენებლო სამუშაოების წარმართვაში?

- სპეცტანსაცმელი და ეკიპირება ეს არის ის ძირითადი საშუალებები, როცა ადამიანი მუშაობის დროს არ უნდა გრძნობდეს დისკომფორტს. მაგალითად, გასასვლელ კოსტუმში თუ დააპირებ ბეტონის დასხმას, სულ გექნებათ ფიქრი იმაზე რომ, არ მოისვაროთ და არა იმაზე თუ რას ასრულებთ. ამით მინდა ხაზი გავუსვა სპეცტანსაცმლის და ეკიპირების აუცილებლობაზე ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას, იქნება ეს პედაგოგი, პოლიციელი, ექიმი, მშენებელი, შემდუღებელი, კონდიტერი ან სხვა. როცა ადამიანი აღჭურვილია სპეცტანსცმლით და ეკიპირებით, ის თავის საქმეს ასრულებს იმის ფიქრით, რომ მისი შესრულებული საქმე შეესაბამებოდეს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ამით ვღებულობთ უფრო ხარისხიანი შედეგის მიღწევას. როცა სპეციალისტი აღჭურვილია, უფრო მეტად გრძნობს თავს გუნდის წევრად და მეტი პასუხისმგებლობით ეპყრობა მოვალეობას. როცა ავალებთ სპეციალისტს სამუშაოს შესრულებას და თუ ეს დაკავშირებულია რაიმე საფრთხესთან, მისი ჯანმრთელობისთვის, აუცილებლად უნდა იყოს სათანადოდ დაცული და აღჭურვილი, რათა მიიღოთ მეტი ეფექტი მუშაობის პროცესში.

- კომპანია, კონკრეტულად, როგორი ტიპის სამუშაო ტანსაცმლებს სთავაზობს მომხმარებელს?

- "ჩვენ გთავაზობთ ნებისმიერი სახეობის სპეციალურ და მოდელურ ფეხსაცმელს და ტანსაცმელს". ეს არის ძირითადი ლოზუნგი, რომელიც გვაქვს გამოყენებული ყველა სარეკლამო თუ საინფორმაციო ბუკლეტებზე და ინტერნეტში. კომპანია, ნამდვილად, ასრულებს ნებისმიერი სახის შეკვეთას, რაც დაკავშირებულია ადამიანების აღჭურვას კონკრეტული ღონისძიებისთვის. მაგალითად: ჩვენ მოგვმართა ერთ-ერთმა მსხვილმა სლოტ-კლუბმა მათი თანამშრომლების აღჭურვაზე და დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, არ გვყავდეს უკმაყოფილო დამკვეთი. ვღებულობთ შეკვეთებს მიუხედავად მისი რაოდენობისა და არ ვეუბნებით უარს იმ კლიენტსაც კი, ვისაც აინტერესებს ერთეულის შეკვეთა. რომ უფრო ვრცლად გაგაცნოთ თუ რა შეგვიძლია შევასრულოთ, გეტყვით, რომ კომპანიაში მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს ნებისმიერი სახეობის სპეციალური და მოდელური ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.

- რა ძირითადი სხვაობაა ჩამოტანილსა და თქვენს მიერ ადგილობრივად წარმოებულ ტანსაცმელს შორის?

- კომპანიის მიერ წარმოებული ტანსაცმელი მიმაჩნია უფრო პრიორიტეტული, ვიდრე ჩვენს მიერ იმპორტირებული. მიუხედავად იმისა რომ იმპორტული სპეცტანსაცმელი არის უფრო მოთხოვნადი ჩვენს ბაზარზე, მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რაც გააჩნია ჩვენს დამკვეთებს. იმპორტული სპეცტანსაცმელი არის შეკერილი მაღალი ხარისხით და საიმედოდ, მაგრამ დამკვეთებს ხშირად სჭირდებათ სპეცტანსაცმლის ისეთი აღჭურვა, რომელიც არ გააჩნია სტანდარტულ მოდელებს. ამიტომ ჩვენს მიერ დამზადებული პროდუქცია მიმაჩნია უფრო პრიორიტეტულად. ხშირად გვიწევს იმპორტირებული სპეცტანსაცმლის გადაკეთება დამკვეთის მოთხოვნისამებრ და წარწერების დატანა.

- რამდენად ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის ყოველმხრივი აღჭურვილობა?

- იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული სპეცტანსაცმელი და აღჭურვილობა არის ხარისხიანი და საკმაოდ იაფი, ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი სამსახურისთვის. ამას გარდა, საქართველოს შრომის კანონდებლობა ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების წესებს, რომელიც ავალებს საწარმოო-სამსახურებს უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლები სპეცტანსაცმლით და უსაფრთხოების აღჭურვილობით. პირველ რიგში, ამით ისინი თავს იზღვევენ ზედმეტი უბედური შემთხვევებისაგან, რომელიც შეიძლება მოხდეს სამუშაოს შესრულების დროს და იცავენ შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობას. ვფიქრობ, როცა საუბარი ეხება შრომის უსაფრთხოებას, აქ უკვე მეორე ხარისხოვანია სპეცტანსაცმლის და აღჭურვილობის ღირებულება, ვინაიდან ის იცავს ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ამას გარდა, ჩვენს მომხმარებელს ვთავაზობთ გადახდის ლიბერალურ წესებს, განვადებას და ა.შ. რათა მათთვის უფრო ხელმისაწვდომი იყოს ის, რაც სჭირდებათ თანამშრომლების უსაფრთხოებისათვის.

- ვინ არიან თქვენი მომხმარებლები ამ მიმართულებით და სთავაზობთ თუ არა მომავალში რაიმე სიახლეს მათ?

- კომპანიის პროდუქციის მომხმარებლები არიან თითქმის ყველა დარგის და სფეროს წარმოებები და სამსახურები, ვინაიდან ჩვენი კვალიფიკაცია და ბაზა გვაძლევს საშუალებას მოვემსახუროთ ყველას, ვინც მოგვმართავს შეკვეთით. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ადგილზე ვერ ვასრულებთ რომელიმე მოთხოვნას, (იმიტომ რომ, საქართველოში არსებული ტექნოლოგიები არ გვაძლევს მაგის საშუალებას), მივმართავთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს და ამით ვინარჩუნებთ ფართო სპექტრის მომხმარებელს. ამიტომ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც იცვლის ტანსაცმელს სამსახურში მისვლისთანავე, არის ჩვენი პროდუქციის პოტენციური მომხმარებელი. მომავალში ჩვენ ვაპირებთ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში დამატებით გავხსნათ სპეცტანსაცმლის და აღჭურვილობის სპეციალიზირებულ მაღაზიას, სადაც შევთავაზებთ მომხმარებელს

არამარტო სპეცტანსაცმელს და აღჭურვილობას, არამედ გამოცდილი სპეციალისტების მომსახურეობას და კონსულტაციებს აღნიშნულ სფეროში. გეგმაში გვაქვს შემოვიტანოთ ისეთი სპეცტანსაცმელი და აღჭურვილობა, რომელიც განკუთვნილია მაღალი რადიოაქტიურ ზონებში მუშაობისათვის.

- რომელ კომპანიებთან თანამშრომლობთ და ძირითადად ადგილობრივი ბაზრით ხელმძღვანელობთ თუ უცხოურ კომპანიებიდან შემოგაქვთ საჭირო მასალები?

- როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენ ვთანამშრომლობთ ფართო სპექტრის ორგანიზაციებთან. ჩვენი კლიენტები არიან: მშენებლები, ექიმები, სპეცსამსახურები, მეშახტეები, კაზინოები, დასუფთავების სამსახურები, კონდიტერები, სკოლები, რესტორნები, სლოტ-კლუბები, მთამსვლელი, სპორტსმენები, ტელესტუდიები, სარეკლამო სააგენტოები, ღვინის ქარხნები, რკინიგზელები, სასტუმროები, ფიზიკური პირები და ა.შ. რომლებსაც ჩვენ ვთავაზობთ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ნედლეულისგან დამზადებულ სპეცტანსაცმელს და აღჭურვილობას.

- რას გვეტყვით მუშა ჯგუფზე და თქვენს მიერ მოწოდებული პროდუქციის ხარისხზე?

- გვყავს საკმაოდ კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომლებიც უწევენ სერიოზულ კონსულტაციებს და რეკომენდაციებს იმ ორგანიზაციებს, ვისაც სურთ სპეცტანსაცმლის და აღჭურვილობის შეძენა ჩვენთან. იქიდან გამომდინარე რომ, აღნიშნული დარგი არის დამოკიდებული არამარტო გამოცდილ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მკერავებზე, არამედ მოდელიორებზე და ტექნოლოგებზე, ჩვენ ვაქცევთ დიდ ყურადღებას მსოფლიოში არსებულ ახალ ტექნოლოგიებს და ვცდილობთ სათანადოდ შევისწავლოთ ისინი, რათა შევძლოთ შევასრულოთ ყველა ის მოთხოვნა, რომელიც უჩნდება ჩვენს კლიენტებს შეკვეთისას. ხშირად მათ თვითონ ვთავაზობთ ახალ ტექნოლოგიებს, ვუხსნით უპირატესობას და ვაწვდით ყველა იმ ტექნიკურ მონაცემებს რაც სჭირდებათ. ჩვენი მუშა ჯგუფი არის მზად მოემსახუროს არამარტო ჩვენთან მოსულ კლიენტებს, არამედ გავიდეს ობიექტებზე, შეისწავლოს არსებული ვითარება, კლიმატური პირობები, გარემოებები და მიიღოს დასკვნა თუ რა სახის სპეცტანსაცმელი და აღჭურვილობაა საჭირო, კონკრეტული დავალებების შესრულებისათვის."

როცა სპეციალისტი აღჭურვილია, უფრო მეტად გრძნობს თავს გუნდის წევრად და მეტი პასუხისმგებლობით ეპყრობა მოვალეობას

რეალური
ყოველკვირეული
რედაქტორი: კახა ჭაბაშვილი;
მთავარი კოორდინატორი: მაია ტაკაშვილი;
დაკაბადონება: ნინო ყაველაშვილი;
"24 საათისა" და "ჯეპრას" ერთობლივი გამოცემა;
☎ 31-93-90; 55-01-99;
სარეკლამო სამსახური: 899 75-71-88
24 საათი ჯეპრა

Editor.ge
ახალი მედია-პროექტები,
ჟურნალ-გაზეთები, საინფორმაციო და
კორპორატიული გამოცემები – თქვენი
ბიზნეს საინფორმაციო მხარდაჭერა.
გრიბოედოვის №12.
ტელ: (995 32) 550199
(995 32) 988344
ჯეპრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მუცოს თორღვაის ციხესა!"

ბელა ჩეკერიგვილი

ხევსურული ციხე-ქალაქ მუცოს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი თანდათან რეალურ სახეს იღებს და თუ ყველაფერი სწორად წარიმართა, 2010 წელს პირველი სამუშაოები დაიწყება. როგორც პროექტის ავტორებმა "რეალურ კაპიტალთან" საუბრისას განაცხადეს, აღდგენითი სამუშაოები ეტაპობრივად, 5 წლის განმავლობაში ჩატარდება და სავარაუდოდ, ორმილიონნახევარი ლარი დაჯდება.

მუცოს რეაბილიტაციის პროექტი კომპანია "არსის" და "თიბისი" ბანკის ინიციატივაა, მიმდინარე წელს კი კულტურის სამინისტროს პრიორიტეტებშიც მოხვდა. მუცოს აღდგენის სრულყოფილი პროექტის გასაკეთებლად სამინისტორომ 125 ათასი ლარი გამოყო. დღეისათვის ეს პროექტი დამუშავებულია და ყველა მიმართულება გათვალისწინებული.

როგორც "არსის" გენერალური დირექტორი გია აბულაძე ამბობს, მუცოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია და მისი აღდგენა არა მხოლოდ ქართველ არქიტექტურთა ღირსების საქმეა, ქვეყნის ტურისტული მომავალისთვისაც დიდად მნიშვნელოვანია. ხევსურეთის ხიბლი ისიცაა, რომ ძალიან ახლოსაა თბილისთან, 3-4 საათში ეგზოტიკურ სამყაროში შეგიძლიათ მოხვდეთ.

მუცო პატარა ციხე-ქალაქია, რომელიც კლდეზეა აშენებული. აქ 6 კოშკი და 25 ციხე-სახლია, გადახურვები არც ერთ მათგანს არ შემორჩა, ბევრი ძალიან დაზიანებულია, ნაწილი კი ჩაშლილი.

რამდენად რეალურია იმ კომპლექსის აღდგენა, სადაც საუკუნეების მანძილზე არავის უცხოვრია?

როგორც გია აბულაძე ამბობს, რა მასშტაბის და როგორი იყო მუცო, ამის მომსწრე არავინაა, თუმცა კი პროექტი მის მთლიან რეკონსტუქციას გულისხმობს. შენობების ნაწილი ძალიან დაზიანებულია, ნაწილი საშუალოდ, ნაწილი შედარებით მსუბუქად. ასეა თუ ისე, ამ ძეგლის აღდგენა შესაძლებელია.

გია აბულაძე: "აღდგენითი სამუშაოების 5 წელზე გაჭიმვა იმასაც გამოიწვევს, რომ იქ მუშახელი დასაქმდება, ადგილობრივები ავლენ, ტურიზმის განვითრება კი დაცლილ ხევსურეთს ისევ დაუბრუნებს ცხოვრებას. ტურიზმის ხიბლი იმაშია, რომ ვითარდება ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ხელსაქმე. ერთ დროს ხევსურეთში რუსი ტურისტები ჩეჩნეთიდან გადმოდიოდნენ, შატილს ნახავდნენ და ისე ჩამოდიოდნენ თბილისში. ამ მხარის ტურიზმი სულ ეს იყო. მე დარწმუნებული ვარ, თუ შიდა ტურიზმი არ განვითრდა, გარედან შემომსვლელიც ნაკლებად დაინტერესდება ჩვენით.

"არსის" პროექტი "ქართული სახლი" ქართული არქიტექტურის ტრადიციების მოძიებას და შეძლებისდაგვარად მის გადარჩენა-შენახვას ემსახურება. პირველი ექსპედიცია მუცოს შესასაწავლად 2004 წელს მოეწყო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ "არსში" 2 ზურგჩანთიანი ახალგაზრდა მივიდა და კომპანიას მუცოს ციხის გადარჩენის პროქტის გაკეთება შესთავაზა. ერთი მათგანი, წარმოშობით მუცოელი, პაატა შეთეკაური იყო, ხოლო მეორე "თიბისი" ბანკის თანამშრომელი ვახო ჯავახიშვილი. და ეს ენთუზიაზმზე დაფუძნებული პატარა პროექტი "არსმა" და "თიბისი" ბანკმა მასშტაბურ მოვლენად აქცია.

პირველი ექსპედიცია მუცოში 2004 წელს წავიდა, რომლის მიზანი იყო ამ ძეგლის დოკუმენტაციის შექმნა, აზომვა, ფიქსაცია, რაც სახავდა მის ფიზიკურ მდგომარეობას. მსგავსი ინფორმაცია ჩამოყალიბებული სახით მანადმე არ არსებობდა.

წელს კი, მუცოს რეაბილიტაციის საკითხი კულტურის სამინისტროს პრიორიტეტებშიც მოხვდა, რისთვისაც გამოცხადდა ტენდერი სარეაბილიტაციო პროექტის გაკეთებაზე. როგორც "ქართული სახლის" ხელმძღვანელმა ნანა მეფარიშვილმა გვითხრა, მათ ამ ტენდერში გასამარჯვებლად სწორედ 2004 წლის ექსპედიციის შედეგები დაეხმარათ.

მუცოს რეაბილიტაციის პროექტი რამდენიმე სხვადახვა პროექტებისგან შედგება. გაკეთდა როგორც არქიტექტურული, ასევე კონსტრუქციული პროექტი, საჭირო გახდა ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა, თავიდან აიგეგმა რელიეფი და შესრულდა ტოპოგრაფია. გაკეთდა ეკოლოგიური დასკვნაც, რაც იმისათვის გახდა საჭირო, რომ გათვლილიყო, რამდენად შესაძლებელია მდინარე მუცოსწყალზე მცირე ჰესის დადგმა, რათა სამომავლოდ მუცოს საკუთარი ელექროენერგია ჰქოდეს. როგორც სპეციალისტემბა გამოითვალეს, ამ მდინარეს საშუალოდ 25 კილოვატის მოცემა შეუძლია, რაც აბსოლუტურად საკმარისი იქნება მცირე ზომის სასტუმროს გასათბობად და ცხელი წლით მოსამარაგებლად. ამის შესაბამისად გაკეთდა ასევე მუცოს გარეგანათების პროქტი. შესრულდა ვერტიკალური გეგმარების პროექტიც, რაც ფიზიკური სამუშაოების წარმოებისათვის არის აუცილებელი.

ნანა მეფარიშვილი: "რასაკვირველია, ყველა პროექტი ძალიან რთული იყო, მუცო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან რთულია ძეგლია, ნაშენია მშრალი წყობით, რთულია მისი რელიეფი, ახლოსაა ჩეჩნეთის საზღვართან და ა.შ. ამიტომ ერთ-ერთი სირთულე იყო ხარჯთაღრიცხვის დათვლა, იმიტომ რომ ის მასალა, ხე თუ ქვა, რაც მუცოს პირვანდელ სახემდე მიიყვანს, ადგილზე არ არის. ასევე არ არის პროფესიონალი მუშახელი, ყველაფერი დიდი სიფრთხილითაა გასაკეთებელი, რომ შენარჩუნდეს მისი ავთენტურობა.

გამოთვლილი თანხა, 2 ნახევარი მილიონი, სავარაუდო თანხაა და როცა სამუშაოები დაიწყება, პირველივე წელს ბევრი რამ დაკონკრეტდება".

ციხე-ქალაქი მუცო კლდეზეა გაშენებული. იმისათვის რომ იქ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყოს და საშენი მასალა აიტანონ, პატარა საბაგირო გზის მოწყობაა საჭირო. ამისთვისაც შეირჩა ადგილი და მოხდა გათვლა. ასევე გაკეთდა ეთნოლოგიური და სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, სპეციალისტებმა მოიძიეს როგორც ლიტერატურა, ასევე შეისწავლეს ადგილობრივებისგან გადმოცემები, როგორი იყო მუცო საუკუნეების წინ, როგორ ცხოვრობდა, როგორი ტრადიციებით, როგორი იყო მისი კოშკების ინტერიერი, რადგან თუ ჩვენ ვაპირებთ მუცოს სიცოცხლე დავუბრუნოთ, ეს ძველის ანალოგით უნდა მოხდეს.

პროექტი "ქართული სახლი" მიიჩნევს, რომ თბილისიდან როგორც არ უნდა მოვინდომოთ, მუცოს აღდგენა უპირველეს ყოვლისა, ხევსურების დახმარებით უნდა მოხდეს. ეს კოშკები და სახლები იმან უნდა აღადგინოს, ვინც დაბადებიდან უყურებს ამ სილუეტს, გრძნობს ქვას, რომლითაც მუცოა აგებული და მის პროპორციასაც. ამისათვის ხევსური ხელოსნებია მოსაძიებელი, ქვის წყობის ძველი ოსტატები, კალატოზები. შესაძლებელია ამ საქმეში ქისტი ოსტატების დახმარებაც.

ნანა მეფარიშვილის თქმით, დაიგეგმა სამუშაოების წარმოების პროქტი და შედგა კალენდარული გრაფიკი. მუცოს რეაბილიტაცია ეტაპობრივად უნდა მოხდეს, რასაც 5 წელი მაინც დასჭირდება. პირველ ეტაპი რამდენიმე კოშკის გადარჩენას ეხება, რომელიც ჩამოქცევის პირასაა. მაგალითად, ერთ-ერთი, 25-ზე კოშკად წოდებული ნაგებობა ბოლო ქვამდე უნდა დაიშალოს და მერე ისევ ხელახლა აიწყოს. არქიტექტორები და კონსტრუქტორები დიდხანს მსჯელობდნენ ამის უსაფრთხოდ განხორციელებაზე, ვინაიდან, ერთმა არასწორად ჩამოვარდნილმა ქვამ შესაძლოა ქვედა ნაგებობების ძლიერი დაზიანება გამოიწვიოს.

ასევე პირველი ეტაპის სამუშაოა ძეგლის გაწმენდა ჩახერგილი ქვებისგან როგორც სახლების შიგნით, ასევე გზებზე და ბილიკებზე. ნანა მეფარიშვილის თქმით, გაწმენდილი შუკები სხვა ინფორმაციას მოგვცემს. ვინაიდან იქ არქეოლოგიური სამუშაოები არასდროს ჩატარებულა, ბევრი რამაა კიდევ გამოსაკვლევი.



პირველი ეტაპის სამუშაო საბაგიროს მოწყობაც, რაც საშუალებას მისცემს მშენებლებს საშენი მასალა აიტანონ. ამ საქმეში სპეციალისტებმა ვირების გამოყენებაც კი იფიქრეს, მაგრამ გარდა ხის მასალისა, ციხეზე ლითონის კონსტუქციის ატანაც მოუწევთ, ამისათვის ისევ საბაგირო არჩიეს, რომელიც გენერატორზე იმუშავებს.

ძეგლის წლევანდელმა შესწავლამ ისიც გამოაჩინა, რომ ტურისტებისთვის ეს ციხე-ქალაქი რაღაც სიმაღლემდე უნდა შეიზღუდოს, ვინაიდან რამდენიმე ნაგებობა უკვე საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისათვის. ამიტომ სასწრაფოდაა გასაკეთებელი მარკირება. მუცოზე არის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ბილიკები და ტურისტების მიერ გაკვალულიც.

"ჩვენი ინიციატივით ვთვლით, რომ მუცოში უნდა გაჩნდეს მცირე ზომის სასტუმრო. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ტურისტთა ნაკადი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ხევსურეთს სტუმრობს. იმ ტურისტულ მარშრუტში, რაც მოიცავს შატილი-მუცო-არდოტი-ხახაბოს აუცილებელია, შატილის გარდა კიდევ იყოს სადმე ღამის გასათევი ადგილი მინიმალური კომფორტით, როგორიც ველურ ტურიზმს შეეფერება. ამისათვის საჭიროა ნარჩენებისა და კანალიზაციის გადასამუშავებელი დანადგარი დაიდგას. ეკოლოგიას ჩვენ არც მიკროჰესით დავაზიანებთ. მდინარეში კალმახია და მისი განადგურება დაუშვებელია, შესაბამისად, არც ნარჩენები უნდა ჩავუშვათ მდინარეში", ამბობს ნანა მეფარიშვილი.

თუკი მუცოში ცხოვრება აღდგება და ციხე ქალაქი თავის სახეს დაიბრუნებს, ალბათ იქ მცირე სასტუმროს მოწყობაც გახდება შესაძლებელი, ასე იყო თუ ისე, ძველი მუცოელები ალბათ სტუმარებსაც იღებდნენ და არც მათი მოსვენება უჭირდათ. მომავალში, მუცოში ასულ სტუმარს ადგილობრივი მასპინძელი უნდა დახვდეს.

კულტურის სამინისტროც და ტურიზმის დეპარტამენტიც მიიჩნევს, რომ პირიქითა ხევსურეთის ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწესრიგებას საჭიროებს და აუცილებელია სხვა სოფლების მიხედვაც. წლევანდელმა ექსპედიციამ აჩვენა, რომ მუცო აღდგება მაშინ, თუკი ის ერთიან ტურისტულ კონტექსტში აღდგება. ეს გულისხმობს იმას, რომ მსგავსი კვლევები უნდა გაკეთდეს არდოტსა და ხახაბოზეც, უნდა იქნეს შესწავლილი ამ სოფლების პოტენციალი, სად შეიძლება მოეწყოს ტურისტული საშუალებები.

2009 წელს კულტურის სამინისტრო კიდევ ერთი ტენდერის გამოცხადებას აპირებს მუცოში ფიზიკური სამუშაოების ჩატარებაზე. იმის მიუხედავად, თუ ვინ გაიმარჯვებს, კომპანია "არსი" და "თიბისი" ბანკი მაინც აპირებს ამ პროქტის გაგრძელებას, ხევსურეთი ამოუწურავი თემაა, ბევრი რამაა ჯერ კიდევ შესასწავლი. არსებული პროექტი კი, ყველას გამოაგდება, ვინც კი ხევსურეთში ფიზიკური სამუშაოებსი ჩატარებას დაიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო აქცია

თქვენთვის და თქვენი მეოჯე ნახევრისთვის

პირველი დეკემბრიდან 30 იანვრამდე საუკეთესო პერიოდია თქვენი საშობაო და საახალწლო შვებულების საზღვარგარეთ გასატარებლად. თუ სამოგზაუროდ წასვლა თქვენს მეორე ნახევართან ერთად გადაწყვიტეთ, ალდაგი ბისიაის სამოგზაურო დაზღვევის პოლისი საჭირო მეგზურობას გაგიწევთ. სწორედ წყვილებისთვის დაიგეგმა საახალწლო აქცია და დაზღვევის სრული პაკეტის შეძენის შემთხვევაში 20%-იანი ფასდაკლება.

სამოგზაურო დაზღვევის სრული პაკეტის შეძენის შემთხვევაში, თქვენ დაცული იქნებით მოულოდნელი "სიურპრიზებისგან", მათ შორის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკებისგან (სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება; გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობა; გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობა; გადაუდებელი სტომატოლოგიური მკურნალობა; გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მკურნალობა; რეპატრიაციის ხარჯები) ასევე, ბარგის დაკარგვის, ბარგის დაგვიანების, ან რეისის გადადების რისკებისგან.

თუ თქვენ გაუთვალისწინებელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდით, სადაზღვევო კომპანიას 24 საათის განმავლობაში უნდა შეატყობინოთ. კომპენსაცია დაირიცხება თქვენ მიერ წინასწარ შეთანხმებულ ანგარიშზე.
სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება ძალიან მარტივი პროცედურაა. სამოგზაურო დაზღვევის ფასი დღეში 60 თეთრიდან იწყება.

დაზღვევა მოქმედებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ: "ევროპა" - სადაზღვევო ლიმიტი 60 000 ევრო, "მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა" - სადაზღვევო ლიმიტი 50 000 ევრო, "სპორტსმენებისთვის" - სადაზღვევო ლიმიტი 5 000 დოლარი. ეს პოლისი სპეციალურად სამოყვარულო და პროფესიული სპორტსმენებისთვის არის გათვალისწინებული. ანაზღაურებას ექვემდებარება სპორტულ სახეობაში მონაწილეობის დროს მიღებული ტრამვების სასწრაფო სამედიცინო ხარჯები



სასარგებლო ინფორმაცია:
ბარგის დაკარგვის შემთხვევაში, თქვენ აგინაზღაურდებათ 20 ევრო თითო კგ-ზე (ლიმიტი-28 კგ), ხოლო რეისის გადადების შემთხვევაში 70 ევრო თითოეულ დამეხე.

სასარგებლო ინფორმაცია:
ალდაგი ბისიაი პირველი სადაზღვევო კომპანიაა საქართველოს ბაზარზე, რომელიც დაარსდა 1990 წელს და მას შემდეგ იბარჩუნებს უბრალო ლიდერის პოზიციას. "ალდაგი" და "ბისიაი" 2006 წელს გაერთიანდა. ამავე წელს გაიხსნა კომპანიის ექსკლუზიური სამედიცინო ცენტრი "ჩემი ოჯახის კლინიკა", რომლის ქსელში 4 ამბულატორიული ცენტრია გაერთიანებული.

სასალისო ინფორმაცია სამოგზაურო დაზღვევის ისტორიიდან:
საბერძნეთში უთოვნის დროს ერთ ტურისტს არაორდინარული საძედიცინო ზარალი შეემთხვა. მამაკაცმა ცხვირი მაშინ გაიტეხა, როდესაც საცურაო კოსტიუმში გამოწყობილ ორ ქერა ქალბატონს უყურებდა და მოულოდნელად ჭურის განათების ბოძს მეეჯახა. სადაზღვევო კომპანიამ მას 7000$-ის კომპენსაცია აუნაზღაურა. წყალოს ცრობით, ზარალი მამაკაცმა შეაფასა...

სასარგებლო ინფორმაცია:
2005 წლის განმავლობაში ალდაგი ბისიაის გაკეთებული სამოგზაურო პოლისების კრება 29, 845 შეადგინა. ყველაზე მეტი პოლისი სექტემბრის თვეში გაიყიდა.

ალდაგი ბისიაი
სადაზღვევო კომპანია
ALDAGI BCI
INSURANCE COMPANY

444 999
www.aldagibci.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეჯის სავაჭრო ცენტრი



გიღოცავთ ახალ წელს







ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. ტელ.: 53 40 00

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჯდება ქვეყანაში სასურველი ბინის შეძენა

ანა ლონდაძე

საქართველოში სამშენებლო კომპანიათა რიცხვი დღითიდღე მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ჯერ ომის ქარცეცხლში გაეხვა შემდეგ კი ეკონომიურმა კრიზისმა შემოგვიტია, მშენებლობები ძველებურად შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ერთ-ერთი ამ კომპანიათაგანი არის "ნიკე", რომელიც მოღვაწეობის ასპარეზზე სულ სამი წელია, 2005 წლიდან გამოჩნდა და არაერთი წარმატებული პროექტის ავტორია.

ნიკე მომხმარებელს, მყარ გარანტიებს სთავაზობს და პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, რაც მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

პირველ რიგში კომპანია კლიენტს არამარტო ბინის შესყიდვას სთავაზობს, არამედ საშუალებას აძლევს მას სასურველი ფართი, საკმარისი თანხის არ ქონის შენთხვევაში, განვადების პრინციპით შეიძინოს, რომელიც 0% შეადგენს.

მისი საქმიანობა მოიცავს სრულ ციკლს, პროექტის არქიტექტურული დამუშავებიდან, დასრულებული შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე.

დასრულებული პროექტებია - საბურთალოზე ცაგარელის ქ. 34-36 და 17 ნომერში მდებარე ნაგებობები. აგრეთვე ვერაზე რჩეულიშვილის 2 ჩიხი 13 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლი.

მიმდინარე პროექტები - საბურთალო ბულაჩაურის №8 და შარტავას №29. სანზონაში გურამიშვილის გამზირი №64. და გუდაური.

სამომავლო პროექტი - რჩეულიშვილის 2 ჩიხი №1.

კომპანია ნიკეს დამფუძნებლები არიან ნიკო ლეკიშვილი და ელდარ კობახიძე.

სამშენებლო კომპანია "ნიკე+" კომპანია "ნიკეს შვილობილი კომპანიაა, რომლის საქმიანობაც მრავალფუნქციური კომპლექსების მშენებლობაა.

ნიკე+ ხარისხი ქართულ ბაზარზე უკვე ცნობილია, რაც უპირველესად ამ კომპანიაში მოღვაწე გამოცდილი და პროფესიონალი მშენებლების დამსახურებაა. ამ დეველოპერული კომპანიის მიერ შემუშავებული მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად ქალაქში საიმედო, მყარი და რენტაბელური ნაგებობები მივიღეთ.

ბულაჩაურის №8-ში მდებარე ორ სადარბაზოიანი საცხოვრებელი სახლი 7-11 სართულიანია და გარდა საცხოვრებელი სახლისა, მსურველს ფართის საოფისედ შეძენასაც სთავაზობს, პროექტი 2008 წლის მაისში სრულდება და მეპატრონეს თეთრი კარკასი ბარდება.

მშენებარე ბინების ჭერის სიმაღლე 3 მეტრია, მიწისქვეშა ავტოსადგომები კი არის როგორც ორი ისე შვიდ დონიანია.

შენობების სეისმომედეგობა კი 8 ბალია.

მეორე პროექტი - საცხოვრებელი სახლი შარტავას №29- ში სრულდება 2011 წლის მაისში, აქაც ბარდება თეთრი კარკასი.

ნიკეს პროექტით კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი გურამიშვილის ქუჩაზე შენდება, რომელიც 2011 წლის აგვისტოში სრულდება, ამ შემთხვევაშიც შემკვეთს თეთრი კარკასი ბარდება.

კომპანიას აქვს ერთი განსხვავებული პროექტი, ეს არის გუდაურში მშენებარე სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი, რომლის დასრულების შემდეგაც კლიენტს არა თეთრი კარკასი, არამედ ბინა სრული რემონტით ბარდება. სახლს საბაგირომდე მისასვლელი ბიგელი და მიწისქვეშა ავტოსადგომი ექნება. მისი მშენებლობა კი 2010 წლის ივნისში სრულდება.

ნიკეს სამომავლო პროექტებია საცხოვრებელი სახლის აშენება რჩეულიშვილის 2 ჩიხის №1-ში. რომელიც იქნება სამ სადარბაზოიანი, 4-8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორ დონიანი ავტოსადგომით. ჩაბარების ვადა კი 2009 წლის იანვარია.

დასრულებული პროექტი - ეს არის რჩეულიშვილის 2 ჩიხის №3-ში მდებარე ოთხ სადარბაზოიანი 4-7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი.

დეტალების უკეთ გასარკვევად, გაზეთი "24 საათი" ესაუბრა კომპანია ნიკეს გაყიდვების მენეჯერს თამუნა მიქაუტაძეს.

თქვენს მიერ აშენებულ საცხოვრებელ სახლში, ბინის მინიმალური და მაქსიმალური ფართი რამდენ კვადრატულ მეტრს შეადგენს?

რაც შეეხება მინიმალური ფართს, მისი მოცულობა 44 კვადრატულ მეტრია, ხოლო მაქსიმალურის შემთხვევაში, თუკი კლიენტის მოთხოვნა იქნება, კომპანიას მისთვის მთლიანი სართულის დათმობა შეუძლია.

როგორც ცნობილია კომპანია საცხოვრებელ სახლებს ან ეტაპზე მხოლოდ საბურთალოზე და სანზონაში აშენებს, აქედან გამომდინარე არის რაიმე სხვაობა ფასში თუ ორივე შემთხვევაში კვადრატული მეტრის თანხა ერთი და იგივეა?

ფასები კომპანიაში განისაზღვრება ადგილმდებარეობის მიხედვით, საბურთალოზე კვადრატული მეტრის ღირებულება განვადების შემთხვევაში 1100 დოლარი ჯდება, ხოლო ერთიანი გადახდის შემთხვევაში 1000.

რაც შეეხება სანზონა, საბურთალოსთან შედარებით კვადრატული მეტრის ფასი შედარებით იაფია, აქ განვადების შემტხვევაში 750, ხოლო ერთიანი გადახდის შემთხვევაშ გადასახადი 700 დოლარს შეადგენს.

განვადების შემთხვევაში, ცლიენტს წინასწარ რა საფასურის გადახდა უწევს?

ამ შემთხვევაში კომპანიასა და კლიენტს შორის ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება ორ წელიწად ნახევრის ვადით, ანუ ეს ის პერიოდია, რა პერიოდიც ესაჭიროება საცხოვრებელი ფართის მშენებლობის დასრულებას. წინასწარი შემოსატანი თანხა კი ბინის ღირებულების 30%-ს შეადგენს, დანარჩენი თანხა კი იფარება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში.

თავის მხრივ კომპანია ნიკე წარმატებულად თანამშრომლობს თიბისი ბანკთან.

რუსეთში სამშენებლო ბუმი დასრულებულია

ანა ახვლედიანი

რუსეთში სამშენებლო ბუმი დასრულებულია - გასული სარეკორდო წლის შემდეგ, როდესაც პოსტსაბჭოურ პერიოდში ქვეყანაში ყველაზედიდი მოცულობის საცხოვრებელი ფართი აშენდა. სპეციალისტები აღიარებენ, რომ საამისო რეზერვი ამ ეტაპზე აღარ არსებობს, რადგან უძრავი ქონების ბაზარი ისედაც გადატვირთულია შეთავაზებით.

2007 წელს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში მთლიანობაში დაახლოებით 700 ათასი საცხოვრებელი შენობა აიგო, რაც 60,4 მილიონ კვ.მ-ს მოიცავს. ანუ წინა წელს სამშენებლო აქტივების ზრდამ, სარეკორდო 19-პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია - ასეთ ნახტომს ვერავინ პროგნოზირებდა. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც უძრავ ქონებაზე ფასების პერმანენტულად მატულობდა, განსაკუთრებით მოსკოვში.

ამასთან ერთად იზრდება მოსახლეობის მსყიდველთუნარიანობა - თუ 2005 წელს რუსეთის მოქალაქეთა მხოლოდ 9 პროცენტს შეეძლო ახალი ბინის ყიდვა, 2007 წლის მონაცემებით, მოსახლეობის უკვე 17 პროცენტს აქვს იმის საშუალება, რომ საცხოვრებელი ფართი შეიძინოს.

სპეციალისტთა ვარაუდით, 2010 წლისათვის უძრავი ქონების ბაზარზე ეს მონაცემი 30 პროცენტამდე ავა, ხოლო 2020 წელს ამ მაჩვენებელმა შესაძლოა აქამდე არნახულ და თვით ევროპისა და ამერიკისათვისაც კი სარეკორდო ზღვარს მიაღწიოს - 12 წლის შემდეგ რუსეთის მოქალაქეთა 60 პროცენტს შეეძლება თავისთვის საცხოვრებელი ბინის შეძენა. იმ დროისათვის ნავარაუდევია ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდის სარეკორდო მაჩვენებელზე - წელიწადში 80 მილიონ კვ.მ-იმ საცხოვრებელ ფართის აშენებაზე ასვლა.

2020 წლისათვის მოსახლეობის 60 პროცენტს შეეძლება ბინის ყიდვა

თუმცა, ამგვარი ოპტიმისტური მონაცემები ქვეყნის მთელს ტერიტორიას არ ეხება, რაც მთავარია პრობლემაა დღევანდელ დღეს. რუსეთის რეგიონები თანაბარ ტემპებში არ ვითარდება და სხვადასხვა მხარეს შორის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი სრულიად სხვაგვარია. ერთგვარი თავკომბალაა დედაქალაქი მოსკოვი, სადაც უძრავ ბაზარზე სრულიად სხვაგვარი ციფრები ფიქსირდება, ვიდრე რეგიონებში.

ამას მნიშვნელოვანწილად ისიც განაპირობებს, რომ დასავლური მსხვილი დეველოპერული კომპანიები ძირთადად ინვესტიციებს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ახოროციელებენ. მათი აქტივობა სწორედ ამ ორი უმთავრესი ქალაქით შემოიფარგლება და პერიფერიებში ამგვარი პროექტების განხორციელება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება. ასეთ მიდგომასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს - დიდი განსხვავებაა მოსკოვისა და ნებისმიერი პერიფერიული რეგიონის მოსახლეობის მსყიდველთუნარიანობას შორის.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს წლებში რუსეთის უძრავი ქონების ბაზარზე სულ უფრო მეტად გაიზრდება დსთ-ს სახელმწიფოთა მოქალაქეების აქტიურობა და ეს პირველ რიგში სწორედ მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგს შეეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიური ოაზისი

ანა ახვლედიანი

ფრენის 20 საათი და თქვენ ისტორიულ ზღაპარში აღმოჩნდებით - მრავალკილომეტრიანი სანაპირო ზოლი და ულამაზესი პლაჟები, ხელუხლებელი ველური ბუნება, მდიდარი ფლორა და ფაუნა ჯერ კიდევ შემორჩენილი იშვიათი ცხოველებითა და ფრინველებით - ეს ყველაფერიბ ავსტრალიაა. ის დრო დიდი ხანია წავიდა, როდესაც აქ მხოლოდ კატორღაში საშიშ დამნაშავეებს ასახლებდნენ - დღეს ავსტრალიაში მხოლოდ თავიანთი ნებით ჩადიან.

ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით, მარტო ბრიტანეთიდან ქვეყანაში ყოველწლიურად 800 ათას ტურისტამდე ჩადის, საიდანაც საშუალოდ 11 200 ავსტრალიაში სამუდამოდ რჩება საცხოვრებლად. პლანეტის ყველაზე მობილური ინვესტორები ამ უზარმაზარ სახელმწიფოში უძრავი ქონების ახალ-ახალ ბაზრებს ხსნიან.

უძრავი ქონების ბაზარზე ნამდვილი ბუმი ავსტრალიამ 2003-2004 წლებში გადაიტანა, როდესაც ფასების ზრდის პიკი იყო. მას შემდეგ ბაზარი არც თუ საუკეთესო პერიოდს განიცდის - საცხოვრებელ ფართზე შეთავაზებამ მოთხოვნილებას გადააჭარბა, რამაც ფასების ზრდა შეაჩერა. სიდნეის ზოგიერთ უბანში კი საერთოდ უკუპროცესი წავიდა და საცხოვრებელი ფართის ღირებულება დაეცა.

სტატისტიკური მონაცემებით, რამდენიმე წლის უკან ფასები ისე გაიზარდა და რომ საშუალო შემოსავლის მქონე ავსტრალიელისათვის ბინის ყიდვა შეუძლებელი გახდა. ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ არნახულად გაიზარდა მოთხოვნილება საარენდო ფართობზე - მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ არენდა ცალკე სეგმენტად ჩამოყალიბდა ყიდვა-გაყიდვის სეგმენტისგან განსხვავებით.

ინვესტორები ცდილობენ, რომ დეველოპერული პროექტები სანაპირო ზოლის სიახლოვეს განახორციელონ, კუნძულ ტასმანიის სიახლოვეს, რადგანაც ავსტრალიის 20-მილიონიანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სწორედ ოკეანესთან სიახლოვეს ცხოვრებას ამჯობინებს და როგორც ჩანს, ეს სურვილი კიდევ დიდი ხანი არ გაქრება. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია დაახლოებით 11 მილიონი მიწის ნაკვეთი, რომლებიც კერძო მფლობელობაშია.

"მწვანე კონტინენტზე" მოდაში მრავალსართულიანი სახლებია

აქ სახლის შეძენა მეტად მომგებიანია ნებისმიერისათვის, რადგანაც ავსტრალიის კანონმდებლობის მიხედვით, სახლის შეძენის შემთხვევაში თქვენს საკუთრებაში ავტომატურად გადმოდის ის მიწა, რომელზეც სახლი დგას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ საცხოვრებელ ფართს მრავალსართულიან სახლში ყიდულობთ, იმ მიწის გარკვეული ნაწილის მფლობელი ხდებით, სადაც ეს სახლი აშენებულია.

გასული წლის მონაცემებით, მიხედვით ყველაზე მეტი მოთხოვნილება სწორედ მრავალსართულიანი სახლების საცხოვრებელ ფართზე შეინიშნება, რასაც ორი მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ ბინის ყიდვა და შემდეგ მისი არენდით გაქირავება მეტად მომგებიან ბიზნესად იქცა ბოლო ხანებში ქვეყანაში. მეორე კი ის, რომ ვილებზე, კოტეჯებზე და კერძო ტიპის სახლებზე ფასები არნახულად ავარდა ზემოთ და ხალხიც მრავალსართულიან სახლებზე გადაერთო.

ექსპერტების გათვლებით, უძრავი ქონების ბაზარი ავსტრალიაში განწირულია განვითარებისა და წინსვლისათვის, რადგანაც ტურისტებისა და ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად დამრჩენთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, რაც მეტად მიმზიდველი ფაქტორია სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად.

ატმოსფერული ნალექების უმნიშვნელო მატება თბილისში მდგომარეობას დაამძიმებს

ლადო გამცემლიძე



თბილისის ყველა უბანში მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა არ შეიძლება, - ასეთ განცხადებას არქიტექტორთა და გეოლოგთა ნაწილი აკეთებს. მათი თქმით, დედაქალაქის ცენტრალური ქუჩების უმეტესობა მხოლოდ 4-5 სართულიან ნაგებობებს გაუძლებს. ასე რომ, თბილისი ცათამბჯენების ქალაქი ვერასდროს იქნება.

სხვაგვარად ფიქრობენ სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები. მათი განცხადებით, მაღალსართულიანი შენობის აგებისას, ისინი საფუძვლიანად ჩატარებულ, შესაბამის გეოლოგიურ კვლევებს ეყრდნობიან. სწორედ ამის შემდეგ წყდება, სად რა და როგორი ობიექტი უნდა აშენდეს. იგივეს ამბობენ ქალაქის მუნიციპალიტეტში. ქალაქის მერიის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე სამშენებლო კოდექსი არ არსებობს, ამ დროისათვის ეს სფერო სხვა კანონებით რეგულირდება. მათ შორის, "არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონით. ასე რომ, სამშენებლო სფეროში დარღვევები თითქმის არ არსებობს. თუ რაიმე ფიქსირდება, ქალაქის მთავრობა მას ოპერატიულად აღმოფხვრის.

დედაქალაქში მაღალსართულიანი შენობების აგება მხოლოდ გეოლოგიური დასკვნისა და გრუნტის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ არის შესაძლებელი.

"ყველა გრუნტს თავისი მზიდუნარიანობა გააჩნია. როდესაც სამშენებლო ტერიტორიას სწავლობენ, იქ, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც ისწავლება - კეთდება პროგნოზი გრუნტის წყლებზე, გეოდინამიკურ პოცესებზე. თუ ყველაფერი კვალიფიციურადაა შესწავლილი და გაკეთებული, პრობლემა აღარ არსებობს ხოლმე. მაგალითად, სოფელ მუხრანში მუხრან ბატონის სასახლე აგურითაა ნაშენი და თიხურ გრუნტებზე დგას. შენობა, დაახლოებით 150 წლის წინაა აშენებული და დღესაც, არავითარი ბზარი არ აქვს. მაშინ საინჟინრო გეოლოგია არ იყო, უბრალოდ, იყო გამოცდილება და კეთილსინდისიერება", - აცხადებს გეოლოგი ედიშერ კაკაძე.

გეოლოგი იმასაც აღნიშნავს, რომ განაშენიანების თვალსაზრისით, თბილისში, მასობრივად მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული არ არის: "მოგეხსენებათ, რომ თბილისი გაშენებულია ქვაბულზე და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის ცირკულაციას, მზის სინათლეს და ა.შ. ამ თვალსაზრისით, თბილისის ყველა უბანში მაღალსართულიანი სახლების აშენება გამართლებული არ არის. იყო ასეთი მცდელობა, რომ თბილისის უბნების სართულიანობა განსაზღვრულიყო, მაგრამ ჯერჯერობით საქმე აქამდე არ მისულა", - აცხადებს გეოლოგი.

მშენებლებს თუ დავუჯერებთ, თბილისში მიმდინარე მშენებლობები ზოგად კანონებს ექვემდებარება. თამაზ შათირიშვილი მშენებელია, იგი სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებთან ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს. "თბილისის ძალიან ბევრ უბანში - დიდუბე-ჩუღურეთში, ავლაბარში, დილომში, ვაჟა-ფშაველას კვარტლებში და ა.შ. მშენებლობისათვის ცუდი გრუნტებია. თუ, შენობებს ნახევრად კლდოვან ან კლდოვან გრუნტებზე ხიმინჯებისა და რკინა-ბეტონის საშუალებით ავაგებთ, მაშინ საშიშროებაც არ იქნება. თუ, მაღალსართულიანი კორპუსი მშრალ გრუნტზე არ აშენდება და საძირკვლის დონეს ხელოვნურად ზემოთ ასწევენ, მაშინ გრუნტი გაწყლოვანდება და მომავალში შენობა დეფორმირდება", - ამბობს შიორაშვილი.

სპეციალისტების განმარტებით, თბილისში მაღალსართულიანი კორპუსების მასობრივად მშენებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ტერიტორიის გრუნტი იქნება საფუძვლიანად შესწავლილი. გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ, უნდა დადგინდეს ფუძე-საძირკვლის სახეობა. შენობის ხანმედეგობა, მედეგობა და სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დატვირთვას მიაყენებს გრუნტს. "შესაძლოა, გრუნტი ორ მეტრზე შემოწმებისას მშენებლობისათვის ვარგისი იყოს. თუმცა, ხშირად გრუნტი შემოწმებას 20-30 მეტრამდეც კი მოითხოვს. გრუნტის შესწავლასთან და გეოლოგიურ დასკვნებთან ერთად, საჭიროა საშენი მასალის - ბეტონის, არმატურის, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ხარისხის შემოწმებაც", - ამბობს არქიტექტორი, გიორგი ლალუნდარიძე. როგორც ირკვევა, დღეისათვის, თბილისში მაღალსართულიანი ობიექტები ისეთ უბნებშიც შენდება, სადაც მეწყერსაშიში სიტუაციაა და არც გრუნტია მშენებლობისათვის ვარგისი.

ჩუღურეთის რაიონი, ნუცუბიძის ტერიტორია, მთაწმინდა, სოლოლაკი, ლოტკინის ტერიტორია, მახათას მთა, მუხათგვერდი, - თბილისის გეოლოგიურად საშიში უბნებიდან ეს მცირედი ჩამონათვალია. საინჟინრო გეოეკოლოგიური კვლევების ცენტრ "სტიქიას" მონაცემებით, დედაქალაქში 60 მეწყერული უბანია აღრიცხული.

"საკმარისია მცირე მიწისძვრა, ატმოსფერული ნალექების უმნიშვნელო მატებაც კი და თბილისში მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდება. ეს კი, მეწყურელ პროცესებს დაჩქარებს. კონკრეტული მშენებლობის შემთხვევაში ტერიტორიების გეოლოგიური მდგომარეობა კარგად უნდა იქნას შესწავლილი, წანაალმდეგ შემთხვევაში უარყოფითი შედეგებისაგან დაზღვეული არავინაა", - აცხადებს ცენტრ "სტიქიის" ხელმძღვანელი, გეოლოგი ემილ წერეთელი.

სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები სპეციალისტები კი აცხადებენ, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევები წლების წინ ხდებოდა. დღეისათვის კი ყველაფერი წესრიგშია და საცხოვრებლად მათ მიერ ნაგებ კორპუსებს, სამშენებლო სფეროში კომპეტენტური არაერთი პირი ირჩევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხედიქსი

სრულყოფილება დეტალებში

ჩვენ ვასრულებთ მშენებლობას

ევროპული სტანდარტების ბინები
A კლასის ოფისები, კომერციული ფართები
დასრულებული ხემონტით
ბიზნეს ცენტრში – BCV

კომპლექსი ბარდება 2008 წლის ბოლოს
დაგვიკავშირდით: (+995 32) 322 333
მისამართი - BCV, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, I სართ.

www.redix.ge

ქირავდება ოფისები